

# სხანი ჟურნალი



ქართული  
ლიბრარი

თვეობრივი 2013 №96  
ფასი 7 ლარი

1439 / 2  
2013

## წლის აღმნიშვნები 2013

ბაბა ჩხეიძე, ნინო ანჯაფარიძე


ინტერვიუ

უღრის ზაიდლი

ისტორიები

ქეთევან ქვიციანიძე  
მარია მარია





# გამოიწერეთ ჟურნალი “ცხელი შოკოლადი”

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

[www.shokoladi.ge](http://www.shokoladi.ge)

ონლაინ გამოწერა

29/67



Papillon  
HOME AND DECOR

# როგორ ავეჯსაც ეძებ კაპილონური იპოვი



## საახალწლო ფასდაკლება 30%-60%

### თბილისი

მისამართი:

ბაქრაძის ქ. N6, დიღომი

ტელ: (+995 32) 2 62 03 03

ფაქსი: (+995 32) 2 62 03 03

### ქუთაისი

მისამართი:

წერეთლის ქ. N163/165

ტელ: (+995 32) 2 62 03 03

ფაქსი: (+995 32) 2 62 03 03

### ბათუმი

მისამართი:

ბაგრატიონის ქ. N109

ტელ: (+995 32) 2 62 03 03

ფაქსი: (+995 32) 2 62 03 03

[info@papillon.ge](mailto:info@papillon.ge)

[www.papillon.ge](http://www.papillon.ge)

  
**Papillon**  
OFFICE





  
**creativehome**

**დეკორატიული  
აქსესუარები  
თქვენი  
ინტერიერისათვის**



**საახალწლო  
ფასდაკლება**

**თბილისი**  
ჭავჭავაძის 34, სავაჭრო ცენტრი  
პიესელი  
ტელ: +995 32 2183507  
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი  
ტელ: +995 32 2145014  
**ბათუმი**  
მემედ აბაშიძის 44  
ტელ: 422 2359004





ეროვნული  
ბიზნისი





ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები  
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS  
BUSINESS LAW FIRM

იურიდიული კომპანია

“ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები”

8 წლისაა!





# სხანი შოკოლადი

№96, დეკემბერი 2013



ყდა: გაგა ჩხეიძე, ნინო ანჯაფარიძე  
ფოტო: ლელი ბლავონაშვილი

	10	რედაქტორის სვეტი
	12	ავტორთა სვეტები
<b>მოვლენები</b>	14	ქვევრის ღვინო – Unesco-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
<b>ანონსი</b>	16	7 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <i>თინათინ ხომერიკი</i>
<b>ინტერვიუ</b>	22	დალოცე ბავშვები, ქალები და ცხოველები <i>დავით ბუხრიკიძე</i>
<b>ქსელი</b>	28	თაიმლანი <i>ლაშა ქავთარაძე</i>
<b>აღმოჩენა</b>	32	მშვენიერი N 5 <i>თეონა ჯაფარიძე</i>
<b>ისტორიები</b>	38	ქეთევან ქემოკლიძე. მე – ოპერის მომღერალი <i>მაია მორგოშია</i>
	48	მარიამ მაჩაიძე. მევიოლინე და მოქალაქე <i>თამარ სუბელიანი</i>
<b>სუცპროექტი</b>	52	ნლის ადამიანები 2013 <i>ბექა მამისურაძე</i>
<b>პროზა</b>	64	სიმღერა თბილისზე <i>ლაშა ბუღაძე</i>
<b>ისტორია ათწლეულებში</b>	76	პაატა შამუგიას 90-იანები
<b>საავტორო</b>	80	ბლუზი მტკვრის პირას <i>ბიძინა მაცაშვილი</i>
<b>რეცენზია</b>	88	პლატფორმა სახელწოდებით „პარირა“ <i>დავით ბუხრიკიძე</i>
<b>მიმოხილვა</b>	90	ნიგნები <i>თინათინ ხომერიკი</i>
<b>მოდა</b>	95	„ცხელი შოკოლადი – მოდა“
<b>მიმოხილვა</b>	102	მუსიკა <i>ლევან ძნელაძე</i>



# საახალწლო აქცია კოსმეტიკის ფრანგულ ბრენდებზე

15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე!

**50% - მდე ფასდაკლება**



**მთავარი რედაქტორი**

მალხაზ ხარბელია

**რედაქტორის თანაშემწე**

თინათინ ხომერიკი

**მოდის რუბრიკის რედაქტორი**

გრეგორი რეჯინი

**სტილი და კორექტურა**

ინა არჩუაშვილი

**ფიზიანი**

თორნიკე ლორთქიფანიძე

**ნომარა მუშაობდნენ:**

თინათინ ხომერიკი, ბექა მაისურაძე, დავით ბუხრიკიძე, ბიძინა მაყაშვილი, ლევან ძნელაძე, ლაშა ქავთარაძე, თეონა ჯაფარიძე, მაია მორგოშია, თამარ სუბელიანი

**ვოტო**

გრეგორი რეჯინი, ლელი ბლაგონრაგოვა, მაკა გოგალაძე

**ილუსტრაცია**

მაია სუმბაძე, გიორგი მარი

**ფირმატორი**

შალვა ჩუბინიძე

**პროექტის მენეჯერი**

ქეთევან ბაბუნაშვილი

**გაყიდვების დირექტორი**

დადუ თადუმაძე

**მარკეტინგის მენეჯერი**

ია შენგელია

**პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი**

ნუცა ქირია

**ფისტრიკული**

მიხეილ მამუჩიშვილი

**რეკლამის განთავსება**

ტელ.: მობ.: 577 579900

**გამომცემლობა**

შპს „ცხელი შოკოლადი“  
მისამართი: თბილისი, თერგის ქ. 14ა  
სხვა გამოცემები  
„ქართული ლენის გზამკვლევი“

**სტამბა**

„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02  
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.



**საახალწლო მილოცვა**

გილოცავთ პარაფირების, სამართლიანობის, 9 წლიანი მონობის დასრულების, ნაციონალების რებრენდინგის, მიჯირყნილობის, მიჭირხნულობის, გაგებით მოყიდების, მონარქისტული იდეების წამოჩინების, მანდილოსნობის, რაინდობის, უკრაინის დროშის ფერებში გადამწყდარი წლის დასრულებას!

გილოცავთ უპრეცედენტო მრავალკანდიდატიანობის, მაგრამ მაინც ყველასგან მიტოვებული, სევდა-მონყენილობაში ჩავლილი არჩევნების, არჩევის შემდეგ გამქრალი პრეზიდენტის (ძლივს ველირსეთ ეგეთს!) და გადარჩევის შემდეგ გამქრალი ექსპრეზიდენტისგან დასვენებული პირდაპირი ეთერების წლის დასრულებას!

გილოცავთ ოლონდაცა რა, ვაიმე-ვაიმე, არ ანთო-არ ანთო წლის დასრულებას!

გილოცავთ ჩმორების, გაბლატავებულების, ბატონი ავთოების, ალექსანდრე ნეველის ძვლის კავალრების, ტაბურეტკიანების, უდიპლომო მინისტრების, ღირსებააღდგენილების, უფლებადამცველების, ექსპერტების, სამოქალაქო სექტორში წამსვლელების, ამ სექტორში წასულთათვის რძის ხარკის ამკრებების, ლატენტური თუ მანიფესტური მიშისტების, გრუზინ-გურჯ-გრუზინელების მაგინებელი ნამდვილი ქართველების, ჩაძირულ ნავში ჩამხტრების წლის დასრულებას!

გილოცავთ სავაშის და ბურჰან ბიძიას, ბარათეონის წლის დასრულებას!  
გილოცავთ გიგანტური პესების, აუნონავი ჯიგრის, 100 და 400 ლარიან ჯარიმებს შორის განსხვავების, ბურჯანაძის 7 პროცენტის, ჩამქრალი ოლიმპიური ჩირაღდნის, ვიდეო-კასრების, 2 ლარიანი კარტოფილის წლის დასრულებას!

გილოცავთ, „პუტინს რა სჭირს სახეზე“, და 2014 წლის აგვისტოს ხელმონერის ისტორიული მოლოდინის ახალ წელს!

გილოცავთ ახალ წელს თქვენ რო გინდათ ისე, იქიდანაც და აქედანაც!

მალხაზ ხარბელია



# ბაძლიჯილი ძლიჯი ბანკთან ჯიჯიჯი!



\*22 22



220 22 22




procreditbank.ge



თამარ სუბელიანი

ეს წერილი რამდენიმე თვის წინ დავწერე, ზაფხულში, როცა მარიამ მაჩაიძე თბილისში იყო. მუსიკა ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, თუმცა იქამდე არასდროს მიფიქრია, რამდენად დიდი შთაბეჭდილება შეიძლება მოეხდინა მუსიკოსთან საუბარს. საყვარელ მუსიკოსსაც შევხვედრივარ, მუსიკოსებთანაც მისაუბრია, მაგრამ არასდროს მუსიკაზე. ნარმოიდგინეთ, მიშელ უელბეკს რომ შეხვდეთ, ან ჰერტა მიულერს და ლიტერატურაზე არ ესაუბროთ... მარიამთან საუბრის შემდეგ ჩემთვის არა თუ მუსიკამ შეიძინა მეტი მნიშვნელობა, ცხოვრებაც კი ნაწილობრივ შემეცვალა. წლების შემდეგ თუ საკუთარ ავტობიოგრაფიას დავწერ, იქაც აუცილებლად აღვნიშნავ, რომ შემეცვალა მარიამ მაჩაიძემ, ჩემში ფერები შემოიტანა, მუსიკალური ფერები... გაეცანით მარიამ მაჩაიძის მუსიკალურ პორტრეტს, და როცა რომელიმე ხელოვანს შეხვდებით, ესაუბრეთ ხელოვნებაზე.

მარიამ მაჩაიძე.  
მევიოლინე და მოქალაქე  
გვ. 48



ბეპო მაისურაძე

ამ პროექტზე მუშაობა იმით გამოირჩეოდა, რომ ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვდით. ჟურნალისტად მუშაობის ერთ-ერთი დიდი პლუსიც ხომ სწორედ ეს არის?!

ინტერვიუები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან, თბილისის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალს დაემთხვა და ცოტა არ იყოს შემეშინდა, ვაითუ ის ფილმები ვერ მენახა, რომელთა გამოც ამ ღონისძიების დაწყება ასე მახარებდა. საბედნიეროდ, მოვახერხე და დრო ისე გავანანილე, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანი არცერთი ფილმი არ გამომიტოვებია. იმაშიც გამიმართლა, რომ წლის ადამიანებად დასახელებულთაგან უმრავლესობას უკვე ვიცნობდი, ნაწილის გაცნობა კი ამ პროექტის ფარგლებში წინ მელოდა. თუმცა კი შორიდან ყველა მათგანს ვადევნებდი თვალს. აბა როგორ?! ისინი ხომ წელს გამორჩეულები იყვნენ თავისი პროფესიული თუ მოხალისეობრივი საქმის შესრულებისას.

ვალდარებ, ყველაზე გემრიელი ინტერვიუ რეჟისორ ნანა ექვთიმიშვილთან მქონდა. აბა სხვა ვინ შემომთავაზებდა შოკოლადისგან დამზადებული პრიზის დაგემოვნებას? რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემი პროფესიიდან გამომდინარეც (კინომცოდნე გახლავართ) ალბათ ნანასთან ინტერვიუ ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა, აქამდე მის ფილმზე ამდენი ჯერ არ გვისაუბრია და არც მას უსაუბრია სამომავლო გეგმებზე არცერთ ჟურნალისტთან.

ყოველთვის მეგონა, რომ მხოლოდ ეის ვენტურასნაირ (ჯიმ ქერის ცნობილი პერსონაჟი ფილმიდან) „გადარეულს“ შეეძლო სახლში პატარა ნოეს კიდობნის მოწყობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველებსაც გვყავს ჩვენი ვენტურა და ნოე, რომელიც წყალდიდობისგან თუ არა შიმშილისა და სიცივისგან იცავს ცხოველებს. უნდა ვაღიარო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს ცხოველები, მე ემი კორტავასავით გაბედული ვერასდროს ვიქნები.

რა თქმა უნდა, რთულია ბევრი საინტერესო ისტორიიდან მხოლოდ ათი ამოარჩიო, მით უმეტეს, დიდია ალბათობა, რომ მკითხველი არ დაგეთანხმოს. თითოეულ ისტორიას ბონუსად ახლავს ახალი ისტორიებიც, რომელიც ამ ადამიანებთან ჩემს ურთიერთობას ასახავს, თუმცა, ვფიქრობ, ეს თქვენთვის ნაკლებად საინტერესო იქნება.


საერთო ჯამში, ამ პროექტზე მუშაობამ ბევრი მასწავლა. რად ღირს თუნდაც ის, რომ თბილისის ქუჩები ავითვისე?! საბოლოოდ, ყველაზე კარგი იმის გაცნობიერებაა, რომ ჩვენს გვერდით ამდენი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს, მე კი მომეცა საშუალება, მათთან მივსულიყავი და ეს ისტორიები თქვენამდე მომეტანა.

წლის ადამიანები 2013  
გვ. 52

დამზადებულია ამერიკაში

# MAXXES

მაქსესი - მაქსიმალური წარმატება  
ინტიმურ ურთიერთობებში!




## რატომ მაქსესი?

- საკვები დანამატი
- 100% ნატურალური
- არულიად უსაფრთხო

მაქსესი - №1 მსოფლიოს 57 ქვეყანაში  
სანუნო ტაბლეტები მამაკაცებისთვის და ქალებისთვის

## იყავი სასურველი შენი პარტნიორისთვის

- ლტოლვის გაძლიერება
- სრულყოფილი სექსუალური ცხოვრება
- ტონუსის და სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება
- სანუნო ტაბლეტები მენტოლის და ნატურალური ხილის არომატით
- შესაძლებელია მიღება ალკოჰოლთან ერთად
- არ იწვევს შეჩვევას!
- სრულიად უსაფრთხო, მცენარეული კომპონენტები: ჟენშენი, ბარბარისი, რეიშის ექსტრაქტი, სურნელოვანი გემები.



# ქვევრის ღვინო

## UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს იუნესკომ არამატერიალური მემკვიდრეობის სახელმწიფოთაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე, ბაქოში, 2013 წლის 4 დეკემბერს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა.

„ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს“ მთელს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ქვევრის ღვინის შექმნის ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა

მეთოდი, როგორც უძველესი ტექნოლოგია, მეცნიერულად დადასტურებულია და საქართველო მსოფლიო მასშტაბით, უკვე აღიარებულია ღვინის დაყენების უწყვეტი, 8000-წლოვანი ტრადიციით. იუნესკომ კონვენცია "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" 2003 წელს მიიღო, რომელსაც საქართველო 2007 წელს შეუერთდა. საქართველოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშები, კერძოდ ქართული მრავალმნიშვნელოვანი ჯერ კიდევ ამ კონვენციის

შექმნამდე ითვლებოდა მსოფლიო მემკვიდრეობის შედეგად.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის ნომინაციისთვის აუცილებელ დოკუმენტაციას იუნესკოში წარსადგენად ორი წლის განმავლობაში ამზადებდა. დოკუმენტზე მუშაობაში მონაწილეობდნენ – „ქვევრის ფონდი“, „ღვინის კლუბი“, ასოციაცია „ქართული ღვინო“, ასოციაცია „ქვევრის ღვინო“, „ელკანა“ და სხვა ორგანიზაციები.



# ვესტელი გილოცავთ ახალ წელს!

შეიძინეთ ვესტელში მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა  
0%-იანი განვადებით მხოლოდ 21 ლარიდან და  
მიიღეთ გარანტირებული სარუქარი



**ვესტელი**

# 7 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი: თინათინ ხომერიკი

## გამოვლენა



### „გახსოვდეს ათასი წვრილმანი“ ქარვასლაში

სად: თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა)

როდის: გახსნა - 15/12/2013

დასაწყისი: 17:00

მისამართი: სიონის ქ.№8

15 დეკემბერს თბილისის ისტორიის მუზეუმში თანამედროვე ქართული გამოყენებითი ხელოვნების პირველ მასშტაბურ საშობაო საქველმოქმედო გამოვლენა-აუქციონს მასპინძლობს. ამ საინტერესო და სასარგებლო გამოვლენა-გაყიდვის ობიექტებია საყოფაცხოვრებო ნივთები - ავეჯი, ჭურჭელი, ღვინოები და ა.შ., რომლებიც საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის მოხატეს და გააფორმეს სხვადასხვა თაობის ცნობილმა ქართველმა მხატვრებმა: ზურაბ ნიჟარაძემ, ყარამან ქუთათელაძემ, გია ჯაფარიძემ, რუსუდან ფეტვიანი, მერაბ ბერძენიშვილმა, დიმიტრი ერისთავმა, გუგა კოტეტიშვილმა, თემო მაჭავარიანმა, ლევან ხარანაულმა, ოთარ ვეფხვაძემ, იური ბერიშვილმა, დათი კაკაბაძემ, ლორეცა შენგელიამ, თამაზ

ხუციშვილმა, თამუნა მელიქიშვილმა, მაია სუმბაძემ, ნიკო ცეცხლაძემ, კონსტანტინე მინდაძემ, კოტე ჯინჭარაძემ, ნინო ჩუბინიშვილმა, გიორგი გაგოშიძემ, გიო სუმბაძემ, გელა კუპრაშვილმა, კოტე სულაბერიძემ, ზაზა ლოდიამ, ეთერ ჭკადუამ და სხვებმა. გაყიდული ექსპონატებიდან შემოსული თანხა მობზარდება სსკ-ს პროგრამებში ჩართულ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარებას. აუქციონის პარალელურად გაიმართება ფოტოგამოვლენა, რომელსაც წარმოადგენს „National Geographic საქართველო“ და გურამ ნიბახაშვილი. ღონისძიებას მუსიკალურად გააფორმებს სიმებიანი კვარტეტი „ლალე“. აუქციონი გაიმართება 15 დეკემბერს, გამოვლენა-გაყიდვა კი 23 დეკემბრამდე გაგრძელდება.

### „ჩემი სივრცე“

ფოტოგამოვლენა

პინოთეატრ „აკოლოში“

სად: კინოთეატრ „აპოლოში“

როდის: 13/12/2013

დასაწყისი: 19:00

მისამართი: აღმაშენებლის 135

1909 წელს გახსნილი კინოთეატრი „აპოლო“ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კინოთეატრი და თბილისის ერთ-ერთი საინტერესო შენობაა, რომელსაც დღეისათვის პირვანდელი ფუნქცია დაკარგული აქვს. სიმბოლურად, სწორედ ამ სივრცეში გაიმართება 13 დეკემბერს ახალგაზრდა ფოტოგრაფის, დინა ოგანოვას პერსონალური გამოვლენა სახელწოდებით „ჩემი სივრცე“, რომელიც საქართველოს ახალ-საბჭოთა კავშირის დასასრულს დაბადებულ და დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გაზრდილ თაობას, ორი საუკუნის მიჯნაზე მცხოვრები ახალგაზრდების პირად ისტორიებს, ყოფას და გარემოს ასახავს.





# Prenatal



იტალიური ბრენდი „პრენატალის“ ქართული ფილიალი, რომელიც აქსისის სავაჭრო ცენტრში, ყაზბეგის #24-ში მდებარეობს, უკვე ერთი წელია, რაც გულმოდგინედ ცდილობს ქართველი მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მალაზია ზამთარ-ზაფხულ მუდმივად ანახლებს კოლექციას ორსულთათვის, ჩვილებისა და 8 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. აქ წარმოდგენილი პროდუქცია ყველანაირი გემოვნების მქონე ადამიანის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და ის ყველასთვის ხელმისაწვდომია.

„პრენატალში“ წარმოდგენილია მომავალი დედის აქსესუარების 2 ხაზი: ორსულობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდისათვის – აქ იხილავთ ნივთებს, რომლებიც ორსულობის პერიოდში მაქსიმალურ კომფორტს შეუქმნის მომავალ დედას, ხოლო მშობიარობის შემდეგ დაეხმარება ჩვეული ფორმის დაბრუნებაში. მალაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ტანისამოსი ნებისმიერი სიტუაციისთვის, თუმცა აღსანიშნავია ჯინსები ორსულთათვის, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე თბილისის მასშტაბით საკმაოდ რთული საშოვნელია.

„პრენატალის“ დიზაინერებმა სამოსის შექმნისას იზრუნეს არა მხოლოდ ორსულთა კომფორტზე, არამედ ახალშობილებზე და განსაკუთრებით – ნაადრევად დაბადებულებზე. პრენატალის ტანისამოსის ხაზი „extra small“ არის სპეციალურად უნაკერო სამოსი შექმნილი უნაზესი ქსოვილისაგან, რათა სამოსის ტარებამ კანზე დამატებითი

გალიზიანება არ გამოიწვიოს.

აღსანიშნავია, რომ „პრენატალი“ ცდილობს უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს ორსულების მიმართ; ამ მიზნით ყოველ კვირას იმართება „მომავალი დედების შეხვედრა“, სადაც ორსულები იღებენ პრაქტიკულ რჩევებს, თუ რა შეიძლება დასჭირდეს ქალს ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდეგ რა აუცილებელი ნივთები უნდა ჰქონდეს ახალშობილს სახლში.

„პრენატალში“ არანაკლები პოპულარობით სარგებლობენ სხვადასხვა აქსესუარები, რომლებიც მხოლოდ ამ ბრენდის ფარგლებში იწარმოება და ვრცელდება.

თებერვლის მეორე ნახევარში „თბილისი მოლოში“ „პრენატალის“ მეორე მალაზია გაიხსნება.

ამჟამად „პრენატალში“ პროდუქციის შექმნა 30%-იანი ფასდაკლებითაა შესაძლებელი. დეკემბრის მეორე ნახევრიდან კი გარკვეულ კოლექციებზე მომხმარებლები 50%-იანი ფასდაკლებითაც ისარგებლებენ.

აღ. ყაზბეგის #24  
ტელ.: (+995 32) 2 31 26 77  
(+995 32) 2 31 26 78  
mail@prenatal.com.ge  
f PrenatalGeorgia



შეზღუდვა

შესაძლებლობები

სად: ექსპო ჯორჯია, მესამე პავილიონი
როდის: 20/12/2013
მისამართი: ნურეთლის №118
დასაწყისი: 18:00

20 დეკემბერს „ექსპო ჯორჯიაში“ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა, რომელსაც ქართველი ხელოვნები „ქალთა ფონდი საქართველოში“ და „GeoAir“-ის მხარდაჭერით მართავენ. ორგანიზატორების მიზანია შემოსული თანხით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა. ღონისძიებაზე დასწრებას თუ ვერ ახერხებთ, ნამუშევრები შეგიძლიათ ვირტუალურად ნახოთ და შეიძინოთ მისამართზე unlimitedabilities.wordpress.com, თუმცა ასეთ შემთხვევაში რეზო კიკნაძის (საქსოფონი) და გიორგი კიკნაძის (კონტრაბასი) მუსიკის მოსმენის საშუალება აღარ გექნებათ.

თანამედროვე ხელოვნების ცენტრი - „ტრანსფორმაცია“

სად: თანამედროვე ხელოვნების ცენტრი
როდის: 27/12/2013
მისამართი: დოდო აბაშიძის №10
დასაწყისი: 18:00

უცნაურია, მაგრამ 2010 წელს დაარსებულ „თანამედროვე ხელოვნების ცენტრში“ მონყობილი პირველი გამოფენის თემა „ჯანმრთელობა“ იყო - ნამუშევრები ჯანმრთელობის შესახებ დაგროვილ ცოდნას ასახავდნენ. უცნაური იმიტომ არის, რომ დაარსებიდან 3 წლის შემდეგ „თანამედროვე ხელოვნების ცენტრი“ „თბოელექტროცენტრალის“ შენობიდან „ქართული მედიცინის მუზეუმში“ გადადის. 27 დეკემბერს გამართული გამოფენის თემა „ტრანსფორმაცია“ - სივრცის, ფუნქციების, მნიშვნელობების ცვლილება და ერთი შეხედვით, ერთმანეთთან კავშირის არმქონე მოვლენების მოულოდნელი გზით ურთიერთდაკავშირება, უწყვეტი განახლება - როგორც ორგანიზმის არსებობის აუცილებელი პირობა. გამოფენის ავტორები ახალგაზრდა არტისტები და კურატორები - „თანამედროვე ხელოვნების ცენტრის“ სტუდენტები არიან.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი

„ყველაზე მოკლე დღე“

სად: თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში
როდის: 21/12/2013
დასაწყისი: 19:00
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №40

21 დეკემბერს, 19:00-დან 21:00 საათამდე, „საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი“ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა“ და თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით წარმოგიდგენთ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალს „ყველაზე მოკლე დღე“. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოდარბაზში თანამედროვე ფრანგი და ქართველი რეჟისორების მოკლემეტრაჟიანი ფილმებს გვიჩვენებენ.



კონცერტი

„არკაპიონეს“ კონცერტი

კონსერვატორიაში

სად: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში
როდის: 18.12.2013
დასაწყისი: 19:00
მისამართი: გრიბოედოვის №8

წლევანდელი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის, „სახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ ფარგლებში 18 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება კამერული მუსიკის კონცერტი ფრანგულ-ქართული სიმებიანი კვარტეტის, „არპეჯიონეს“ შესრულებით - იზაბელ ფლორი (პირველი ვიოლინო), არჩილ ხარაძე (ალტი), ნიკოლას რისლერი (მეორე ვიოლინო), ალექსანდრე ჩიჯავაძე (ვიოლონჩელი). კვარტეტი ბეთჰოვენის, ოძელისა და დებიუსის ნაწარმოებებს დაუკრავს.



დაჯილდოება

მუსიკალური დაჯილდოება

„ელექტრონავტი 2013“

სად: თბილისი Event Hall (ფილარმონია)
როდის: 21/12/2013
მისამართი: მელიქიშვილის №1

21 დეკემბერს თბილისის საკონცერტო დარბაზში ელექტრონული და ინოვაციური მუსიკის მოყვარულებისთვის წლის მთავარი ლოკალური მუსიკალური მოვლენა-დაჯილდოება „ელექტრონავტი 2013“ გაიმართება. 2013 წლის საუკეთესო მუსიკალური ნამუშევრების გამოვლენის შემდეგ, მსმენელებს წელს Red Bull Music Academy-ს მიერ ორგანიზებულ afterparty-ზე დასწრებისა და სპეციალური საკონცერტო პროგრამის ფარგლებში პოპულარული შვედი DJ-სა და პროდუსერის Axel Boman-ის, Cumbo Records-ის არტისტების, გოგი ძოძუაშვილის, Rotkraft-ის, Green Been & Leon-ის, ნიკა და მაქს მაჩაიძეების, მაია დარსმელიძისა და სხვათა მოსმენის საშუალება გექნებათ.



ახალირებს თქვენს ბუნებრივ სილამაზას



# მე 3ნი ბანსახუთხაბუნი



მერცის სპეციალური დრაჟე  
გლუვი ხანი, მგზინვარა თვა

ენიხალური ჯომინატი  
და მბანიცა ფრჩხილაბი

ლაშხალაბალა ბარბანინაბი  
www.merz-spezial.com




თბილისი ფარმაცია  
ABC PHARMACIA



www.abc-pharm.com

გამოყენების წინ გავაღწიეთ ინფორმაციას უსუხაბის უკუჩვენებისა და გუჟილით მოღვენების შესახებ. დეკლუჩი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ უჩიბს.



# დაზღვეული საახალწლო ღამე ნიუ-იორკიდან

ავტორი: ქვენე კანდელაკი

ნიუ-ორკში თაიმს სქვერზე ერთ-ერთ სახლზე ასეთი აბრაა – Event insurance service. ამ კომპანიის საქმიანობაში სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის საახალწლო წვეულებების დაზღვევა და უსაფრთხოდ ჩატარება შედის. დღეს ეს სერვისი ძალიან პოპულარულია ამერიკასა და ევროპაში. არცერთი სოლიდური კომპანია კორპორატიულ წვეულების გამართვას დაზღვევის გარეშე არ გარისკავს. ვის უნდა საახალწლო წვეულების დროს რომელიმე შეზარხოშებულმა სტუმარმა, რომელსაც ცხოვრებაში არ უცეკვია, უცაბედად ჰიპ-ჰოპის ცეკვა დაიწყოს, ლავინის ძვალი მოიტეხოს და თან პარალელურად რესტორნის ძვირფასი ჭურჭლის დამსხვრევაც მოასწროს; ან ფეიერვერკებთან არასწორი მოპყრობის გამო, ხანძარი გაჩნდეს, ან... ან... მოკლედ, ათასი გაუთვალისწინებელი სისუღულე შეიძლება მოხდეს სივრცეში, სადაც ბევრი სხვადასხვა ადამიანი ახალ წელს აღნიშნავს.

Event insurance service ერთ-ერთი წარმატებულია ამ ბაზარზე. კლიენტების მოსაზიდად აქ ასეთი სლოგანი აქვთ მოფიქრებული – „გინდათ, თქვენმა საახალწლო წვეულებამ ისევე კარგად „ჩაიაროს“, როგორც ამას „თაიმს სქვერის ბურთი“ აკეთებს? მაშინ ჩვენთან მოდით“.

ალბათ იფიქრებთ, რა საერთო აქვს „თაიმს სქვერის ბურთს“ ჰიპ-ჰოპის მოცეკვავე კაცის მოუქნელ იღეთებთან? თუმცა იქ – ამერიკაში, ყველაფერი ხომ რაღაც დაუჯერებელი ისტორიით იწყება.

თუ სი-ენ-ენის პირდაპირ ეთერში არა, ალბათ ადგილობრივი ტელევიზიებით მაინც ადევნებთ თვალს ყოველ ახალ წელს იმ საოცარ სანახაობას, რომელიც ნიუ-იორკში, თაიმს სქვერზე ვითარდება. ახალი წლის ღამეს, თორმეტს ერთი ნუთი დააკლდება თუ არა, 23-მეტრიან ფლაგშტოკზე აღმართული უზარმაზარი ბროლის ბურთი ერთი ნუთის განმავლობაში ქვემოთ მოცურავს და ზუსტად 00:00 საათზე თაიმს სქვერზე შეკრებილი ადამიანების ფერხთით ეშვება.

„დროის ბურთის“ (ხშირად ასეც უწოდებენ) ამ ზემოდან ქვემოთ „ჩავლას“ ყოველწლიურად მილიონი ადამიანი ესწრება, ტელევიზიით კი მილიარდამდე მაყურებელი ჰყავს.

სწორედ ეს იყო ისტორიაში პირველი საახალწლო ღონისძიება, რომელიც სადაზღვევო კომპანიებს ოდესმე დაუზღვევიათ. დღეს ნიუ-იორკის სადაზღვევო კომპანიები ბროლის ბურთის თითოეულ დიოდის ნათურას აზღვევენ. დაზღვეულია მისი ზუსტი და უსაფრთხო ერთნუთიანი სვლაც ძველიდან ახალ წელიწადში. სადაზღვევო კომ-

პანიებს სიამაყის საფუძველიც აქვთ – 118 წლის განმავლობაში არცერთი ექსცესი და შეფერხება.

ცოტამ თუ იცის, რომ ეს 5-ტონიანი, ათასობით დიოდით განათებული კრისტალის ფორმის ბურთი, რომელიც სწორედ 118 წელია ნიუიორკული ახალი წლის მთავარ სიმბოლოს წარმოადგენს, საკუთარ არსებობას ნიუ-იორკ-ტაიმსის რედაქციის კრეატიულობასთან ერთად, სწორედ სადაზღვევო კომპანიების ერთ კონკრეტულ კაპრიზს უნდა უმადლოდეს.

ახალი წლის ქუჩაში შეხვედრის ტრადიცია ნიუ-იორკში მე-19 საუკუნიდან არსებობს და ამ ტრადიციას გაზეთმა ნიუ-იორკ-ტაიმსმა ჩაუყარა საფუძველი. მაშინ გაზეთის რედაქცია ქვედა მანჰეტენზე იყო. ქუჩის ფესტივალები, მუსიკოსები, სპექტაკლები – ამ სანახაობას ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ესწრებოდა.

1904 წელს, როდესაც ნიუ-იორკ ტაიმსმა შტაბბინა გამოიცვალა და თაიმს სქვერზე გადავიდა, მასთან ერთად ახალი წელიც „გადაბარგდა“. საახალწლო „ფართი“ კიდევ უფრო „ნიუიორკული“ გახდა – სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად, 12 საათზე გრანდიოზულ ფეიერვერკებს უშვებდნენ. ერთ-ერთ წელს, მოხდა ისე, რომ ფეიერვერკმა თაიმს სქვერზე რამდენიმე სახლში ხანძარი გააჩინა. აღ-



შფოთდნენ სადაზღვევო კომპანიები და ნიუ-იორკის მერიას ფეიერვერკების ხალხმრავალ ადგილას გაშვების აკრძალვა და უსაფრთხოების ზომების გამკაცრება მოსთხოვეს. 1906 წელს მერიამ სადაზღვევო საზოგადოების მოთხოვნები დააკმაყოფილა.

სწორედ ამ აკრძალვით დაიწყო ისტორია, რომელიც უკვე 118 წელიწადს ითვლის.

ნიუ-იორკ-ტაიმსი რისი ნიუ-იორკ-ტაიმსი იქნებოდა, ფარ-ხმალი რომ დაეყარა და საახალწლო ღონისძიებების მოწყობაზე უარი ეთქვა? ასე გაჩნდა გენიალური იდეა – ფეიერვერკების ნაცვლად თაიმს სქვერზე გიგანტური ბურთი აღმართათ, რომელიც ახალი წლის დადგომასთან ერთად ქვემოთ დაეშვებოდა. მაშინ „თაიმს სქვერის ბურთი“ ხის, ლითონისა და „ედისონის ნათურებისგან“ შემდგარი სულ რაღაც 300 კილოგრამიანი კონსტრუქცია იყო...

ვინ იცის, ამ 118 წლის მანძილზე, ახალ წლამდე დარჩენილი ერთი წუთის განმავლობაში რამდენი მილიარდი სურვილის ჩაფიქრება მოასწრეს პლანეტის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა სხვადასხვა რასის, რელიგიისა თუ სოციალური სტატუსის ადამიანებმა... მათთვისაც კი, ვისაც თოვლის ბაბუის დიდი ხანია აღარ სჯერა, ახალი წლის ღამე ჯადოსნური, იდუმა-

ლების საფარველით მოცული ღამეა – ახალი, უკეთესი ცხოვრების იმედი და გაურკვეველი მომავლის შიშით გაზავებული სენტიმენტალური დღესასწაული.

თურმე, ჩვენმა წინაპრებმა ახალ წლის აღნიშვნა ჯერ კიდევ 4000 წლის წინ, შუამდინარეთში დაიწყეს. სამწუხაროდ, მაშინდელი საახალწლო „ფართის“ სტუმართა სია ჩვენს დრომდე არ შემორჩა, თუმცა მეცნიერები იმას დანამდვილებით ამბობენ, რომ მესოპოტამიელები ახალ წელს მარტში – გაზაფხულის ბუნიობისას ხვდებოდნენ, როცა სუსხიანი ზამთრის შემდეგ ბუნება ფერსა და ზნეს იცვლიდა. ახალმა წელმა იანვარში მხოლოდ მას შემდეგ გადმოინაცვლა, რაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 150 წელს რომაელებმა კალენდარი შეცვალეს და იანვარი დაადგინეს თვედ, როდესაც დაიწყებოდა მათი სამოქალაქო წელი – აირჩეოდნენ ახალი სენატორები, ახალი მმართველები. ასე გამოსტაცა ადამიანმა ახალი წელი ბუნებას, დაუქვემდებარა საკუთარ თავსა და სამოქალაქო დღესასწაულად აქცია იგი.


დღეს ახალ მმართველებს საახალწლოდ არავინ ნიშნავს, თუმცა ახალი გეგმებისა და აქამდე განუხორციელებელი იდეების დედლაინი სწორედ ახალ წელს ინიშნება. ყოველ ჩვენგანს ერთხელ მაინც უთქვა-

მს, რომ ახალი წლიდან ამასა და ამას გააკეთებს – სიგარეტის მოწევას დაანებებს თავს, ან ვარჯიშს დაიწყებს, ან ახალი ენის სწავლას... წარმოგიდგინათ, რამდენად უკეთესი იქნებოდა სამყარო ამ საახალწლო დედლაინების ნახევარი მაინც რომ სრულდებოდა?

Event insurance service – ის ოფისის ფანჯრებიდან „ბროლის ბურთი“ კარგად ჩანს. „ძალიან მიყვარს წინასახალწლოდ კლიენტებთან მუშაობა, – ამბობს კომპანიის ერთ-ერთი მენეჯერი ტიმ ლოუკი. – ისინი ისეთ ეიფორიაში არიან... საოცარია, მაგრამ არავინ არასოდეს არის გულგრილი ახალი წლის მიმართ – არც მეფეები და არც ჩვეულებრივი მენაღებები. ახალ წელს ადამიანებს ახალი ცხოვრების დაწყების იმედი და შანსი აქვთ. თან, მომავლის შიშიც აქვთ და ღელავენ იმაზე, თუ რას უმზადებს მათ მომავალი წელი. მათთან საუბარს ყოველთვის ჩვენი კომპანიის დევიზით ვასრულებ – „ნუ ღელავ, მეგობარო, ბროლის ბურთითი მშვიდად ჩაივილის ყველაფერი.“

რუბრიკას წარმოგიდგენთ „ალდაგი“  
[www.facebook.com/aldagi](http://www.facebook.com/aldagi)






# დალოცე ბავშვები, ქალები და ცხოველები

**ულრის გაიდლის არამაკულატურა**

**და სოციალურ-კინემატოგრაფიული საკითხავი**

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

ფოტო: მაკა გობალაძე



თბილისის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალის გამორჩეული სტუმარი უდავოდ ცნობილი ავსტრიელი რეჟისორი ულრიხ ზაიდლი იყო. მისი გახმაურებული „სამოთხის“ ტრილოგია – „სიყვარული“, „რწმენა“ და „იმედი“, ძირითადი კონკურსის პარალელურად სპეციალურ პროგრამაში – „რეჟისორი ფოკუსში“ უჩვენეს.

სამი სრულიად განსხვავებული ქალის ვენება, მისწრაფება და ოცნება ულრიხ ზაიდლს თითქოს სამ ნაწილად გაყოფილ, მაგრამ ერთ გიგანტურ ტილოზე გადააქვს. ტრილოგიის პირველი ფილმის, „სამოთხე: სიყვარული“ მთავარი გმირია საშუალო ასაკის ტერეზა (მარგარეტ ტიზელი), რომელიც სასიყვარულო თავგადასავლების ძიებაში არდადეგებს კენიაში, სექსტურიზმით ცნობილ საზღვაო კურორტზე ატარებს. მეორე ფილმში, სახელწოდებით „რწმენა“, ზაიდლი დოკუმენტური, მაგრამ ხაზგასმული ნეიტრალურობით აღწერს ტერეზას კათოლიკე დის, ანა-მარიას (მარია ჰოფშტეტერი) მისიონერულ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ ვენეციის 69-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმი ფიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

ტრილოგიის ბოლო ფილმში „სამოთხე: იმედი“, რეჟისორი მისთვის დამახასიათებელი შავი იუმორით აღბეჭდავს კაპიტალიზმის მიუღწეველ ჰედონისტურ მისწრაფებებს: იდეალურ სხეულზე მეოცნებე მელანი (მელანი ლენცი), ტერეზას 14 წლის ქალიშვილი, ავსტრიის ერთ-ერთ სპეციალურ ბანაკში ატარებს არდადეგებს, სადაც ჭარბი წონის მქონე მოზარდებმა დიეტა უნდა დაიცვან... ფილმი 2013 წლის თებერვალში ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში უჩვენეს.

ეროტიკული და რელიგიური თემატიკის გამო ტრილოგიის სამივე ფილმს სკანდალური გამოხმაურება მოჰყვა როგორც მაყურებელთა შორის, ისე პრესაში. მაგალითად, ნიუ-იორკის „ვილიჯ ისტ“ კინოთეატრში „რწმენის“ ჩვენება კათოლიკე აქტივისტებმა ტრანსპარანტებით გააპროტესტეს. თავად რეჟისორი ამ ფაქტს ასე ხსნის: „სკანდალი, მგონი, სასარგებლოა. და ეს იმიტომ ხდება, რომ არასდროს ვერიდები ტაბუირებულ თემებს, ვაჩვენებ იმას, რისი

ნახვაც ხშირად შეიძლება არც გვინდოდეს”.

ულრის ზაიდლმა თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე სახელი გაითქვა დოკუმენტური ფილმებით, რომლებმაც მას აღიარება და არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზები მოუტანა. სახელოვანმა გერმანელმა რეჟისორმა ვერნერ ჰერცოგმა ზაიდლი თავის ათ საყვარელ რეჟისორთა შორის დაასახელა. დოკუმენტურ ფილმზე „ცხოველური სიყვარული“ კი ასეთი რამ განაცხადა: „კინოში ჯოჯოხეთი ასე ცხადად აქამდე არასოდეს მინახავს“.

ავსტრიელ რეჟისორს პირველმა სრულმეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა სახელწოდებით „ძალღური სიცხე“ (2001), მოუტანა აღიარება და ვენეციის კინოფესტივალის „ჟიურის დიდი პრიზი“. გარდა ამისა, კანის კინოფესტივალის ოფიციალურ კონკურსში მონაწილეობდა მისი ორი მომდევნო მხატვრული ფილმი – „იმპორტ-ექსპორტი“ (2007) და „სამოთხე: სიყვარული“ (2012).

ულრის ზაიდლი თბილისის კინოფესტივალს სტუმრის სტატუსით პირველად ეწვია და, ცხადია, ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების შემოქმედებითაც დაინტერესდა. მისი შეხედულებები არტჰაუზისა და მეინსტრიმ-კინემატოგრაფის შესახებ, ისევე როგორც, ზოგადად, ხელოვნების, პოლიტიკისა და მედიის შესახებ მისი დამოკიდებულება, ძირითადად მემარცხენე მსოფლმხედველობით გამოირჩევა.

სამოთხის“ ტრილოგია – „სიყვარული“, „რწმენა“ და „იმედი“ უკვე ბევრ კინოფესტივალზე უჩვენეს და ის უკვე თბილისის საერთაშორისო ფესტივალზეც ნახა მაყურებელმა.

**თქვენი ფილმები სხვადასხვა ფესტივალზე და ქვეყნებში უჩვენეს. ეს რაიმეს ცვლის ალქმის თვალსაზრისით? თქვენი აზრით, რა შეიძლება ახალი გაგვეგო ამ ტრილოგიით?**

კინოფესტივალზე, სადაც ჩემს ფილმებს უჩვენებდნენ, სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ვხვდები და მათი მოსაზრებები ყოველთვის მანტერესებს. ალქმის კონტექსტი ყოველთვის იცვლება ქვეყნების სოციალური

და კულტურული გამოცდილების გავლენის ნიშნით. თბილისის კინოფესტივალი ერთგვარად დამეხმარა კიდევ ბევრი რამ ხელახლა შემეფასებინა. ცხოვრება ხომ ყოველთვის მოულოდნელ არჩევანს გვთავაზობს; თუმცა ჩვენ გარდა ამ არჩევანს ვერავინ გააკეთებს. მგონია, რომ საქართველოში უფრო მძაფრი აღმოჩნდა ტრილოგიის სექსუალურ თუ რელიგიურ დონეზე აღქმა...



**თუმცა თქვენს ფილმებს ამერიკაში ბევრად მძაფრი რეაქცია მოჰყვა, სადაც მორწმუნე კათოლიკებმა „სამოთხე: რწმენის“ ჩვენება კინოთეატრთან დემონსტრაციით გააპროტესტეს.**

ეს ნიუ-იორკში მოხდა ფილმის „ვილიჯ-კინოთეატრში“ ჩვენების პარალელურად. სტერეოტიპები და კონსერვატორული შეხედულებები ამერიკაში გაცილებით უფრო მძაფრია, ვიდრე ევროპაში. ასეთი რეაქციის ნაცვლად, მაგალითად, ავსტრიაში, უფრო ირონიული დამოკიდებულება იგრძნობოდა, თუმცა ვენაში, წმინდა სტეფანეს სახელობის ერთ-ერთმა მოძღვარმა გაზეთში ასეთი რამ დანერგა: „კიდევ კარგი ღმერთი ნაკლებად ინტერესდება ისეთი რეჟისორებით, როგორიც ზაიდლია“. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს: საზოგადოებრივი ინსტიტუტები ძალიან მოძველდა.

**სამივე ფილმში მთავარი გმირები ქალები არიან: ტერეზა, ანა-მარია და მელანი. ამ ტრილოგიით რაიმე ახალი გაიგეთ ქალების შესახებ? თქვენი წარმოდგენა შეიცვალა?**

ფილმი კარგ შესაძლებლობას იძლევა გავიგო, როგორ აღიქვამენ სრულიად განსხვავებული ტიპის ქალებს ერთი ოჯახიდან. მქონდა წინათგრძნობა, რომ ბევრ სტერეოტიპს დავანგრევი და, ჩემი აზრით, ფილმში ეს მოვახერხე..

ვმუშაობდი კარგ მსახიობებთან – მარგარეტ ტიხელთან („სიყვარული“ და მარია ჰოფშტეტერთან („რწმენა“). ვერ ვიტყვი, რომ ჩემი იმიჯი და დამოკიდებულება ქალების მიმართ მხოლოდ ამ ფილმით შეიცვალა. ქალები მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა, რადგან უშუალოდ, გულწრფელად მუშაობა შეუძლიათ. ისინი იცავენ ქვეყნისა და აზროვნების რაღაც განსკუთრებულ წესებს, რაც მამაკაცებს არასოდეს შეუძლიათ.

**თქვენ სხვადასხვა ტიპის ქალებს უჩვენებთ ფილმებში. ისინი იმდენად ლამაზები არ არიან, რამდენადაც სილამაზისა და სიყვარულისთვის იბრძვიან.**

არ არსებობს სილამაზის რაღაც ფორმულა და, შესაბამისად, არც რაიმე კონცეფცია. რას ნიშნავს ეს? სა-




მწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც მედია და რეკლამა აწესებენ საკუთარ წესებს სილამაზის შესახებ. მაგრამ ისინი მცდარი და ძალიან ზედაპირულია. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ძირითად თემებს სწორედ მედია უკვეთავს, ქმნის და ამახინჯებს ფაქტებს. მინდა ვაჩვენო, თუ რამდენად განსხვავებული ადამიანები ცხოვრობენ ჩვენს ირგვლივ; მაყურებელს დავანახვო ქალები ში-

ვლეთ ევროპას. დღეს ჩვეულებრივი ქალის იმიჯი სრულიად განსხვავებულ იდეას ეყრდნობა და არა იმას, რასაც სილამაზე, რელიგია ან ფინანსური კრიზისი გულისხმობს.

**ხშირად ფილმებში არაპროფესიონალ მსახიობებს იღებთ. როგორ ახერხებთ მათ დარწმუნებას, რომ კამერის წინ ითამაშონ. ამის გამო პრობლემები არ გექმნებათ?**

ამ ფილმის მოქმედება ხდება წონის დაკლების ბანაკში. ეს არის ე.წ. ბანაკი-დიეტა, სადაც მოზარდ გოგონას მასზე ბევრად ხანდაზმული ადამიანი შეუყვარდება. ვიდრე მელანის ამ როლზე ავირჩევდი, მოვიჩინებულე ლამის ყველა საზაფხულო ბანაკი ავსტრიაში. ვესაუბრე ბავშვებს, გამოვაკარი განცხადებები, მოვიჩინებულე სკოლები... მოკლედ რომ ვთქვა, თითქმის ყველაფერი გავაკეთე, რისი გაკეთებაც შემეძლო.



ნაგანი სამყაროთი და არა მხოლოდ მაკიაჟით. ამ გზით მათ მაყურებელთა სტერეოტიპებისგანაც ვიცავ. ეს აუცილებელია, რათა ყველანაირ მსახიობს მიეცეს კინოში გადაღების საშუალება და არა „თოჯინებს“. ფილმი სილამაზის კონკურსი არ არის! ეს რეჟისორებს კარგად უნდა ახსოვდეთ. გაიხსენეთ ვისკონტის გენიალური ფილმი „ყველაზე ლამაზი“ – ანა მანიანის მონაწილეობით.

**ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ გადაიღეთ „ტრილოგია-თერაპია“ დეპრესიაში ჩავარდნილი ევროპის შესახებ. ახლაც ასე ფიქრობთ?**

ყველთვის არ მახსოვს სად რა ვთქვი, მაგრამ თუ ასეა, მაშინ აღმოსავლეთ ევროპას არ ვგულისმობდი. ეს ეხება ავსტრიას და განსაკუთრებით დასა-

უბრალოდ, წინასწარ განუღი დიდი სამუშაო და გადაღების წინა ეტაპი ამის საშუალებას მაძლევს. ძალიან ღიად და პირდაპირ შემიძლია ვუთხრა მსახიობებს, ანუ არაპროფესიონალებს, რის გაკეთებასაც ვაპირებთ. მერე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და დახლოებით ვიცი, უნდა გაგრძელდეს ურთიერთობა თუ არა. დახლოებით ასე ხდება ბავშვებთანაც. როდესაც ვიღებდი „სანაპიროს ბიჭებსა“ და „სამოთხე: სიყვარულს“ უამრავ ბავშვთან მომიწია მუშაობა. ეს ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესია, რომელიც პირველ რიგში პატიოსნებას ეფუძნება. სხვა პრობლემას მათთან მუშაობაში არ ვანყდები.

**...და ამ გზით იპოვეთ, მაგალითად, პატარა მსახიობი მელანი ლენცი, რომელიც შესანიშნავად თამაშობს „იმედში“?**

ქალები მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა, რადგან უშუალოდ, გულწრფელად მუშაობა შეუძლიათ. ისინი იცავენ ქცევისა და აზროვნების რაღაც განსაკუთრებულ ნებსებს, რაც მამაკაცებს არასოდეს შეუძლიათ.

წონის დაკლება ამ ბანაკებში რეალურად და ნებაყოფლობით ხდება თუ ეს რკინისებური დისციპლინისა და მტანჯველი დიეტის შედეგია?

ავსტრიაში ამ სახის ბანაკები თითქმის ყველგან არსებობს. ზოგან გასამხედროებულიც კი და ძალიან მკაცრი პირობებით. მაგრამ მიზეზები, თუ რატომ მიდიან იქ მოზარდები, სრულიად გასაგებია. დასავლეთში მნიშვნელოვანი გახდა ათასნაირი დიეტის თემაც, რაც მედიამ თავს მოახვია საზოგადოებას.

რამდენად ეთიკურია, რომ კინორეჟისორმა განგებ აურიოს მაცურებელს გონება, დააბნიოს ან მისი პროვოცირება გამოიწვიოს?

ჩემს ფილმებს მართლაც აქვს გარკვეული წინაპირობები იმისათვის, რომ დისკურსი შეიცვალოს ან საკამათო გახდეს, პროვოკაციის ნაპერწკალი გაღვივდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს ეთიკის ნორმის დარღვევას და ხალხისთვის ნერვების მოშლას, რასაც ხშირად მბრალეებენ კიდევ, მინდა უბრალოდ და გახსნილად ვისაუბრო – ჩვენ ვცხოვრო-

მნიშვნელოვანი ხდება გაცხილებით დიდი რეკლამისა და საერთაშორისო რეზონანსის გამო. კანი და ვენეცია ყველას პირზე აკერია, ხოლო დოკუმენტური ფილმების ფესტივალები ნაკლებად იცის ვინმემ, იმიტომ, რომ მას მედია ჰოლივუდის ამბებივით თუ კანის კინოფესტივალის ვით არ აშუქებს. ნარმატება ვენეციის კინოფესტივალზე ჩემთვის განსაკუთრებული არ ყოფილა, რადგან უკვე გადაღებული მქონდა დოკუმენტური ფილმი „ცხოველური სიყვარული“, რომელიც ყველა ჩემს მხატვრულ ფილმზე უკეთესია.



დღეს  
ჩვეულებრივი  
ქალის იმიჯი  
სრულიად  
ბანსხვაგვარულ  
იდეას ეყრდნობა  
და არა იმას,  
რასაც სილაამაზე,  
რელიგია ან  
ფინანსური კრიზისი  
გულისხმობს.

ბთ მსოფლიოში, სადაც თემებს ხშირად მონსტრად ქცეული მედია გეკარნახობს, აგრეთვე ჰოლივუდის მესამეხარისხოვანი ფილმების ნაკადი; და თუ კრიტიკის ან მაცურებლის პროვოცირებას ამ კონტექსტში ვახერხებ, როგორც ჩანს, ეს სასარგებლოა.

თქვენი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე დოკუმენტურ ფილმებს იღებდით, ახლა მხოლოდ მხატვრულს იღებთ. არადა, ნარმატებებს ორივე „ფრონტზე“ მიაღწიეთ...

დოკუმენტურ კინოს აქვს თავისი განსაკუთრებული საზღვრები, რომელთაც თითქმის არასოდეს ვარღვევ. ვცდილობ განსაზღვრულ ჩარჩოებში ვიმოქმედო. რაც შეეხება მხატვრულ კინოს, ის

ქართულ კინოს თუ იცნობთ, უფროსებს ან ახალგაზრდა თაობას?

ნაკლებად ვიცნობ ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების შემოქმედებას, თუმცა, რასაკვირველია, ვიცი იოსელიანის და ფარაჯანოვის ფილმები. მესმის, ეს დიდი ნარსულია, ტრადიციაა, მაგრამ კინო ვერ იცოცხლებს მხოლოდ ნარსული დივიდენდებით. საჭიროა თემების მუდმივი ძიება და ახალი ფორმები. მაგალითად, მომენონა თინა გურჩიანის დოკუმენტური ფილმი, ასევე ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“, რომელიც თბილისის კინოფესტივალის გახსნის საღამოს ვნახე.




კეთილი იყოს თქვენი მობრძანება Seacret-ის სამყაროში.

Seacret-ის კანის მოვლისა და სკა პროცედურების პროდუქტები შედგენილია უძველესი, შეიძლება ითქვას, მისტიკური ტალახის, მარილისა და მინერალებისგან, რომლებიც მთელ დედამიწაზე მხოლოდ ერთ ადგილას – მკვდარ ზღვაში მოიპოვება.

სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის, ევროპის, ინდოეთის, ტაილანდის, იაპონიისა და ისრაელის შემდეგ Seacret-ის ექსკლუზიური წარმომადგენლობითი მაღაზია უკვე საქართველოში, „თბილისი მოლში“, მეორე სართულზე გაიხსნა და მომხმარებელს სახისა და სხეულის კანის, თმისა და ფრჩხილების მოვლის უნიკალურ პროდუქტებს სთავაზობს:

ტალახის თერაპიის სერია ღრმად ასუფთავებს თქვენს კანს ჭუჭყისაგან, არბილებს მას და გიცავთ გამონაყარისა და უსიამოვნო შეგრძნებებისგან.

მინერალური მარილის კოლექცია განიჭებთ არაჩვეულებრივ სკა შეგრძნებებს, ხსნის ფორებს, ღრმად წმენდს კანს, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, კურნავს რევმატიულ და



მეტაბოლურ დარღვევებს. სახლის პირობებში უზრუნველყოფს კანის ღრმა დასვენებასა და მინერალებით სიამოვნებას.

სახის კანის მოვლის კატეგორიაში შემავალი პროდუქტები მოიცავს მინერალებით გამდირებულ დღისა და ღამის დამატენიანებლებს, გამწმენდ და მკვებავ ნიღბებს, ტონიკებსა და ლოსიონებს, მაკიაჟის ფუძეებს და ეს ყველაფერი დამზადებულია სრულიად ბუნებრივ ინგრედიენტებზე, არ შეიცავს პარაბენს, ქიმიურ დანამატებსა და ალკოჰოლს.

ფრჩხილების მოვლის უნიკალური საშუალება განგაცვიფრებთ თავისი შედეგით, როდესაც თავად ნახავთ როგორ დაუბრუნდება თქვენს ფრჩხილებს ბუნებრივი ბრწყინვალება.

ჩვენს მაღაზიაში გაგაოცებთ არა მხოლოდ პროდუქციის შესაძლებლობების ხილვა, არამედ პროფესიონალი კონსულტანტებიც, რომლებიც დეტალურ ინფორმაციას მოგანვდიან თითოეულ მათგანზე, ჩაგიტარებენ სრულიად უფასო დემონსტრაციას, შემოგთავაზებენ კანის დიაგნოსტიკას და თქვენთვის ინდივიდუალურად მორგებულ პროდუქტებს.

# თაიმლაინი

# 2013



ავტორი: ლაშა ქაჭოთარაძე

Update Info View Activity \* ▾

რამდენიმე კვირის წინ Berliner Zeitung-ის ერთ-ერთ ნამყვან ჟურნალისტთან მომიწია მუშაობა. კონტაქტების გაცვლისას, ვუთხარი, როგორ მოვეძებნე ფეისბუქზე. რაზეც მისგან ცოტათი გასაკვირი პასუხი მივიღე. მითხრა, რომ ფეისბუქზე რეგისტრირებული საერთოდ არაა.

ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე, როგორ მუშაობს გერმანელი ჟურნალისტი ყოველდღიურ გაზეთში ისე, რომ არ იყენებს ამ სოციალურ ქსელს. ჩვენთან ხომ ფეისბუქ-სტატუსები ტოპნიუსებია, ადამიანები წიგნებს წერენ ამ ქსელის მეშვეობით (ვინმე სოლომონ თერნალელმა გასულ თვეში ერთი ასეთი „წიგნის“ პრეზენტაციაც გამართა), ინსპირაციას იღებენ ბლოგებზე პოსტების დასაწერად. საერთოდაც, ფეისბუქი ქართული საშუალებების საზოგადოებისთვის (მისი არსებობის შემთხვევაში) მშობელი თუ არა, ნათლია მაინც არის.

რა დასამალია და, ფეისბუქი როგორც მედია ყველა სხვა მედიაარსს მირჩევნია – ქართულსაც და არაქართულსაც.

აქვე ვიტყვი, რომ ყოველთვის იქნებიან „იუზერები“, რომლებიც ყოველ 1-ელ მარტს მოგვილოცავენ გაზაფხულის შემოსვლას, 1-ელ ივნისს გვამცნობენ, რომ ზაფხული დადგა და ა.შ. მერე რა, თუ ჩვენც იმავე გე-

ოგრაფიულ სარტყელში ვცხოვრობთ. მოკლედ, დროებით „დავაჰაილოთ“ ასეთი „ექაუნტები“ და ყოველგვარი ზედმეტი ორიგინალური სტრუქტურის ძიების გარეშე გადავხედოთ 2013 წლის „თაიმლაინს“.

**იანვარში** ჯერ კიდევ ნაბახუსევზე მყოფი ერი შსს-მ პორნოსანახაობით გაანებივრა. თან ითქვა, რომ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთი იყო და შესაძლოა წინა ხელისუფლების რეჟისორობით გადაღებული კიდევ უფრო მეტი პორნო-ჰორორი გვეხილა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილებსაც კი არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ „ოცნებამდე“ საქართველოში ადამიანებს სასტიკად ეპყრობოდნენ, კადრების გამოქვეყნება და ხალხის დაზაფვრა მაინც საჭიროდ ჩათვალეს. ფეისბუქს ისტერიკის ტალღამ გადაურა, ფორუმზე კი კადრებში ადამიანების ამოცნობას შეეცადნენ.

თუმცა ნელ-ნელა ყველა დაშოშმინდა. თან ილია მეორე მოსკოვს ეწვია და იქიდან ძვალი ჩამოაბრძანა. ალექსანდრე ნეველის ძვალი.

**თებერვალში** ჯერ „ნაციონალები“ სცემეს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. ზოგიერთმა საერთოდ მაშინ გაიგო სად იყო ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში. შემდეგ კობა დავითაშვილმა და სერგო რატიანმა არ დაინდეს ერთმანეთი პირდაპირ ეთერში და Huffington post-ზეც მოხვდნენ, როგორც სასაცილო პოლიტიკოსები. თებერვალში ქვეყანაში პრობლემები იმდენად დიდი იშვიათობა შეიქნა, რომ მთავარ საკანონმდებლო ორგანოში დაინყეს მსჯელობა, შეიძლებოდა თუ არა საპარლამენტო სხდომებზე მუზარადებითა და ჩოხა-ახალუხით მისვლა.

იანვარში ჩამობრძანებულმა ნეველის ძვალმა ვერ უშველა „პიერ კარდენის“ მალაზიას ახალციხეში და თებერვალში ისიც დაიხურა.

„არა ოკუპაციას“ ყველაზე ხშირად გამეორებული ფრაზა გახლდათ ამ თვეში ქართულ თაიმლაინებზე. თუმცა სხვადასხვა კონოტაციით. ზოგი ოკუპაციას ეუბნებოდა „არას“, ზოგი კიდევ მათ, ვინც ოკუპაციას უთხრა „არა“. დიდი გაუგებრობა იყო.

**მარტში** ქართულ მითოლოგიაში ჩაენერა ცნება – „წულუკიანის დიპლომი“. ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგაც საკამათო თემად დარჩა იუსტიციის მინისტრის განათლების ხარისხი. მერე იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრისა და პოპ-ფიზიკოს გია დვალის ეპისტოლეებმა დაიპყრო ქართველი „იუზერების“ „ვოლები“.

ამასობაში საქართველოს კათალიკოსმა განაცხადა, რომ „ავადმყოფობა ცოდვიდან იწყება“. ეს ფრაზა განსაკუთრებულად ყურადსაღები მაშინ გახდა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია 1 წლის გოგონა აბაშიძის გარდაცვალების შესახებ. საპატრიარქოში თქვეს, კი ვნუხვართ, მაგრამ ის ბავშვი მუსლიმი იყო.

ეს თვე ერთი რამითაც იყო გამორჩეული, მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად საზოგადოება გაერთიანდა. მათ შორის ფეისბუქ-საზოგადოებაც.

დიდი ვნებათაღელვა იყო აგრარული უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის ნაჩქარევი და უცნაური შეჩერება/დაბრუნების გამოც.

**აპრილში** გუდიაშვილის სკვერი დროებით გავიდა თბილისის იურისდიქციიდან და არაოფიციალურ მე-13 რაიონად იქცა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვკითხულობდით პოსტებს სკვერის მიმდებარე ტერიტორიებზე ნაცემი ადამიანების შესახებ.

სამაგიეროდ, ირმა ინაშვილს გადაეცა „ოქროს ფრთა“. კონკრეტულად რისთვის, ეს ჯერაც დაუდგენელია. აპრილშივე დაისვა წლის რიტორიკულ-გეზისტენციალური შეკითხვა – „აქ რატომ მოვედით, დეფ?“

აპრილში მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ რებრენდინგი. ნუ, თვითონ ასე დაარქვეს ყოველ შემთხვევაში.

**მაისი** წლის და ალბათ, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე არაადეკვატური თვე გამოდგა. ჯერ იყო და ტროტუარზე მიმავალი სტუდენტების დაკავება და მათთვის გამონერვილი 400-ლარიანი ჯარიმები ვიხილეთ; რამდენიმე დღეში კი „ტაბურეტკებით“ მორბენალი სასულიერო პირები, სირბილისას ნარმოქმული „მამაო ჩვენო“, 30 კაცის მოსაკლავად ამხედრებული რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი და მოძალადეებისთვის გამონერვილი 100-ლარიანი ჯარიმებიც;

ხოლო როდესაც 14 000-მა ადამიანმა 17 მაისის დამნაშავეების

ადეკვატურად დასჯა მოითხოვა, ფეისბუქ-გმირი ეკა ბესელია გახდა თავისი არაადეკვატური შეფასებების გამო. ბესელიას ამავე მიზეზით ყურადღება არც ივნისში მოკლებია.

მოკლედ, 2013 წლის მაისიდან 10 მცნება რედაქტირდა. მეექვსე მცნება – „არა კაც კლა,“ სინოდის გადაწყვეტილებით, გადაკეთდა შემდეგნაირად: „არაკაც კლა“. არაკაცად გამოცხადდა ყველა, ვინც არ გაიზიარა შეხედულება, რომ ადამიანები განსხვავებულობის გამო უნდა დახოცო.

**ივნისი** მარიხუანას დეკრიმინალიზების მოთხოვნით დაიწყო. ფეისბუქით დაგვემოდ აქციაზე ისევ ის ხალხი მოვიდა, ვინც ზოგადად აქციებზე დადის ხოლმე და ვისაც უკვე სახეზეც კი ვცნობ ან ჩემს „ფრენდლისტში“ არიან.

შემდეგ იყო ჯიჰადის ვიდეოები და კონსპირაციის ათასი თეორია. მანამდე კი კიდევ რამდენიმე დალუპული ჯარისკაცი ავღანეთში და დისკუსიები ქართული კონტინგენტის უცხო ქვეყნის ტერტორიაზე ყოფნის თაობაზე.

ამასობაში კონტრაცეპტივებსა და ლაგამ-აბჯარ-უნაგირზე ფიქრით დაღლილ პოლიტიკოსებს გაუჩნდათ იდეა, რომ უნივერსიტეტების რექტორები პრემიერ-მინისტრს უნდა დაენიშნა, რასაც კიდევ ერთხელ მოჰყვა აქციების დაგეგმვა სოციალურ ქსელებში და ისევ იმავე ხალხის პროტესტი.

მერე შსს-მ კასრები და ჟურნალისტების, დიპლომატებისა და პოლიტიკოსების ცხოვრების პიკანტური მომენტების შემცველი 12888 ფაილი აღმოაჩინა. საბოლოოდ, რჩეულებს (მათ შორის ოქროს ფრთის მფლობელ ირმა ინაშვილს, დაუდგენელი კომპეტენციის მფლობელ კორკოტას და ა.შ.) კადრების ხილვის ბედნიერება ხვდათ ნილად, საზოგადოება კი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ნაციონალების დროს საქართველოში კინოდოკუმენტალისტიკა აყვავდა. ყველაფერს დანახვა უნდა.

თვის უკეთეს დასასრულს ალბათ

ვერ ინატრებდა კაცი, როდესაც ნაიკითხავ ნიუსს სათაურით „სამთანყაროში მუსლიმი სასულიერო პირის მეუღლე სცემეს“.

**ივლისში** საპრეზიდენტო კანდიდატების ვინაობა გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ბედი გასული წლის ოქტომბერში იყო გადაწყვეტილი, ფეისბუქზე მაინც მოჰყვა მსუბუქი შმუშვნა სახელების გაგებას. პარლამენტში, პარლამენტის პარალელურად კი ფეისბუქზე, ამჯერად სრულიად დაუდგენელ „საზოგადოებრივ ზნეობას“ გადაეკიდნენ და მის შესახებ დაიწყეს მსჯელობა.

ყველა ერთხმად აღშფოთდა, როდესაც სამღვდელოების დაჟინებული მოთხოვნის გამო ასურეთში მუსიკალური ფესტივალი აღარ ჩატარდა. ალბათ იმ „საზოგადოებრივ ზნეობას“ ჰქონდა რამე ხელი ამ ამბავთანაც.

თვის ყველაზე რეზონანსული ამბავი კი, რა თქმა უნდა, ნინი ბადურაშვილი და მისი ქმრის ეპოსი გახლდათ. ბოლოს ლამის ნინიმაც დაიჯერა, რომ სელებრითია. ქართული ყვითელი მედია კი შოკში იყო და იმ ზომამდე მივიდა, რომ ბადურაშვილის ბებუას საპრეზიდენტო კანდიდატები შეაფასებინა.

სამართლიანობა ვერც ამ თვეში აღდგა.

**აგვისტოში** მელორ ვაჩნაძე დააკავეს მესამედ. ან მეორასედ. გიორგი გაბადავაც დააკავეს. 200 ლარში ორივეს ამბავი მოყომარდა, გამოვიდნენ ციხიდან და გააგრძელეს „უფლებადამცველობა“.

აგვისტოშივე დაიხურა კიდევ ერთი მოკლემეტრაჟიანი ტელევიზია „მე-9 არხი“. თვის ფეისბუქ-ისტერიკა კი სერიალ „Prison Break“-ის მთავარი გმირის ე.წ. „ქამინგ აუთი“ აღმოჩნდა. ადამიანი, რომელზეც ნახევარი თუ არა მეოთხედი საქართველო მაინც აფანატებდა, გვი ყოფილა. ასე ინგრევა მითები ნილხვედრში.

აგვისტოში დაფიქსირდა პირველი დაპატიმრებული (შემდეგ უკვე დასაწყობებული) მინარეთი კაცობრიობის



ისტორიაში. ოფიციალური მიზეზი: განუბაჟებლობა. და ამ დროს გაჩნდა სრულიად ლეგიტიმური შეკითხვა – განაბაჟეს თუ არა ალექსანდრე ნეველის ძვალი?

**სექტემბერში** საპრეზიდენტო არჩევნები იყო მთავარი „ჰეშთეგი“ ჩვენს თაიმლაინებზე. ნუ, დიდიც არაფერი, ბაქრაძის კამპანიას დალილის მეტი ეპითეტი არ შეეფერებოდა, მარგველაშვილი უკვე ისედაც გამარჯვებული იყო, თარგამაძე რას აღარ მოედო ელექტორატის გულის მოსაგებად. სამაგიეროდ, ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა ტრიუმფალური დაბრუნების მცდელობა. დაბრუნება მთლად ეფექტური არ გამოუვიდა.

მთელი თვის განმავლობაში ქართველი სამართალდამცავები ბომბებს ეძებდნენ, ხან „რუსთავი 2“-ში, ხან „იმედში“, ხან პარლამენტში. საბოლოო ჯამში, ტერორისტების ნაცვლად მუწუკიანი ბიჭები შერჩათ ხელში.

სექტემბერში კიდევ ერთხელ შეიცვალა საზოგადოებრივი მაუწყებლის ლოგო და ის, შუშანიკის შემდეგ, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ ნამებულად აღიარეს.

**ოქტომბერში** არჩევნების პარალელურად, თვის თემა საზოგადოებრივი მაუწყებელი და მისი მოუწყობლობა იყო. მთელი თავისი თამაზ ტყემალაძისეული ესთეტიკით, ტელევიზიის წინ ნეხვით მორბენალი მემარცხენე კაცებით, კორკოტათი და პაიჭაძე-კვესიტაძით. არჩევნებზე ბევრს არაფერს ვიტყვი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ანუ როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა.

ამ თვის ფეისბუქ-ისტერიკამ კი პიკს გასტრონომიულ განყოფილებაში მიაღწია. ერთ-ერთ ქართულ კვების ობიექტში ნაპოვნი თმა გაცილებით უფრო რეზონანსული აღმოჩნდა, ვიდრე ზეზვა, მზია და მთლიანად დმანისის გათხრები.

ფეისბუქ-აგრესიის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფად კი მწვანე არასამთავრობო ორგანიზაციები იქცნენ ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმ-

დეგ გამოსვლის გამო. შემდეგ ჰიტად უკვე ლიტერატურულ დაჯილდოება „საბაზე“ მწერალ ნაირა გელაშვილის (გიორგი მაისურაძის სიტყვასთან ერთად) წარმოთქმული სიტყვა იქცა.

პოლიტიკიდან წასვლამდე კი ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთი სტანდარტი დანერგა – ჯერ ექსპერტები დაიბარათავისთან, შემდეგ ჟურნალისტები და მიჭირხვნასა და მიჯირყვნას შორის განსხვავება სულ საკუთარ კანზე გამოაცდევინა.

**ნოემბერში** ნეველის ძვალმა ამჯერად მეუფე იაკობი ვერ დაიფარა. მან მხარი მოიტეხა და სამკურნალოდ სა-

პოლიტიკიდან  
წასვლამდე კი ბიძინა  
ივანიშვილმა კიდევ  
ერთი სტანდარტი  
დანერგა – ჯერ  
ექსპერტები დაიბარა  
თავისთან, შემდეგ  
ჟურნალისტები და  
მიჭირხვნასა და  
მიჯირყვნას შორის  
განსხვავება სულ  
საკუთარ კანზე  
გამოაცდევინა.

ზღვარგარეთ წავიდა. აბა აქ ხო არ იმკურნალებდა?

ნოემბერშივე შედგა პრეზიდენტის ინაუგურაცია, სადაც პრეზიდენტზე მეტი ყურადღება პოლიტიკოსების მეუღლეების კაბებმა მიიპყრეს. და საერთოდ, ინაუგურაციის შემდეგ აღარც არავის გახსენებია ახალი პრეზიდენტი.

ნოემბერშივე კონსენსუსი მიიღწა თბილისელებს შორის, რომ ქალაქის მერად მხოლოდ ხოხობი ან ხოხობთან სისხლით ნათესაობაში მყოფი პირი გამოდგება.

საპატრიარქომ მონოპოლია გამოაცხადა ქველმოქმედებაზე და ორგანიზაცია „იდენტობა“ სიკეთის გაკე-

თების სურვილის გამო შეინიშნა.

და, რა თქმა უნდა, პარაფირება შალახოს ჰანგებზე. დღის ბოლოს არავინ იცოდა, რა ჯანდაბა იყო ეს პარაფირება, სამაგიეროდ ყველა შალახოს შესახებ პოსტავდა ფეისბუქზე. ვითომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა რა მუსიკის ფონზე მოენერებოდა რალაც დოკუმენტებს ხელი.

ნოემბერში დაიწყო აქციები უკრაინაში, რომელსაც სოლიდარობა, რალა თქმა უნდა, ქართველებმაც გამოვუცხადეთ. აქვე კიდევ ერთხელ წამოყვეს თავი მორალისტებმა და ჩაარაკრაკეს რიტორიკა „ახლა რომ გადიხართ აქციაზე, მაშინ რატომ არ გახვედით“, „ახლა რომ უცხადებთ სოლიდარობას, მაშინ რატომ არ გამოუცხადეთ“ და ა.შ.

**დეკემბერში** კი ერმა ბოლომდე შეიგრძნო „უპატრონობის“ სიმწარე და სიტკბოება. აღარც მიშა, აღარც ბიძინა. 31 წლის პრემიერ-მინისტრი, 28 წლის შსს მინისტრი. ამასობაში ილია მეორე ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებით დაინტერესდა და თვითმმართველობის კანონპროექტი დაიწუნა. ჯაჭვლიანმა ისევ გაუხსენა კეთილი ნათესავები გია ბარამიძეს და სრულიად ნაციონალურ მოძრაობას. ჩვენც კიდევ ერთხელ მოვხვდით BBC-ზე, როგორც ეგზოტიკური ნაცია. წლის მიწურულს შევიტყვეთ ისიც, რომ მოსახლეობის 34%-ს ქალის ცემა ნორმალურ მოვლენად მიაჩნია. ჰო, აი, საქონელივით ცემა.

თუმცა დეკემბერში კარგი ამბებიც მოხდა. დაპატიმრებული მეჩეთი გაათავისუფლეს სოფელ ჭელაში, ხელისუფლება როგორც იქნა მოეგო გონს და უსახლკაროთათვის თავშესაფრები გახსნა. ბოლოს და ბოლოს, პირველი თოვლი მოვიდა.

ამასობაში ახალი წელიც მოახლოვდა. დარწმუნებული ვარ, ბოლო წლების ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევ და 2014 წელსაც ალბათ ფეისბუქის სქროლვაში შევხვდები. ისე, გირჩევთ, თქვენც გადახედეთ საკუთარ თაიმლაინებს, იმაზე მეტ კარგად დაინყებულ ძველს აღმოჩენთ, ვიდრე ელთ.

# COHÉRENCE

ტერმალინის მიკროკრისტალებითა და ჰიალურონის მუავით გამდიდრებული პროდუქტი COHERENCE ლიერაკისგან, ებრძვის ღრმა ნაოჭებს და მოშვებულ კანს! ეფექტურობა დამტკიცებულია კლინიკურად :

- მცირდება ღრმა ნაოჭები 73%
- იმატებს კანის სიმკვრივე და ელასტიურობა 85%
- ჯანსაღი ელფერი და ბზინვარება 95%
- კანი ხდება გლუვი 73%





# მშვენიერი № 5

ავტორი: თეონა ჯაფარიძე





„მშვენიერი“ და თან „№5“ რომ უწოდეს, პირველი ასოციაცია Chanel №5-თან გამიჩნდა. (ყველამ იცით ეს ისტორია – კოკო შანელმა 10 არომატიდან სწორედ ის რომ ამოირჩია, რომელიც №5 ფლაკონში იყო და თავის სახელგანთქმულ სუნამოს მარტივად №5 რომ დაარქვა. სწორედ ასე მარტივად მონათლეს ახლად აღმოჩენილი თავის ქალაც №5-ად, რადგან ის დმანისის კოლექციიდან რიგით მე-5 თავის ქალა იყო). შემდეგ დემიენ ჰირსტიც გამახსენდა. იმიტომ, რომ როცა სიტყვები – Beautiful skull (ასე უწოდეს დმანისის აღმოჩენას მეცნიერებმა) „დავფუგლე“, დემიენ ჰირსტის ბრილიანტებით მოოჭვილ თავის ქალასთან ერთად National Geographic-ის სტატიაც ამოვარდა სახელწოდებით „Beautiful Skull Spurs Debate on Human History“, და გასაკვირიც არაფერია: – ისევე როგორც ჰირსტის და კოკო შანელის ქმნილებები, დმანისელი ჰომინიდის ეს თავის ქალაც დღეს უკვე საერთაშორისო ბრენდია. პირველი ორი პოპკულტურის პროდუქტია, ეს უკანასკნელი კი – მეცნიერების.

ბრენდად ან პოპვარსკვლავად რომ იქცე, აუცილებელი არ არის აკადემიურ სამყაროს მიეკუთვნებოდე ან შოუბიზნესის წარმომადგენელი იყო. დღევანდელ შემოქმედებებში მსოფლიოში თამაშის წესები ერთნაირია და პოპულარობას ფართო წრეებში, საბოლოო ჯამში, ცნობილი გამოცემების ყდებზე და მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში მოხვედრა განსაზღვრავს. ჰოდა, ერთ დღესაც (კონკრეტულად 18 ოქტომბერს) მსოფლიოში ყველაზე აკადემიური გამოცემის – Science-ს ყდაზე დმანისელი ჰომინიდის ეს თავის ქალა გამოჩნდა. რამდენიმე საათში კი მას უკვე თავის ძვირადღირებულ ნუთებსა თუ ფურცლებს უთმობდნენ the NY Times, The Guardian, The Economist, Le Figaro, CNN, BBC და მათ შორის Science-ის კონკურენტი Nature-ც კი.

თუ შოუბიზნესის კრიტიკრიუმებით მივუდგებით ამ ფაქტს, სავარაუდოდ 1,5 სიმალის ახალგაზრდა მამაკაცმა, მასიური ყბებით, მოზრდილი კბილებით, პატარა მოცულობის ტვინითა

და შეზღუდული აზროვნების უნარით, პოპულარობის რეკორდიც კი მოხსნა და იმ მომენტში „ვარსკვლავად“ იქცა. ყოველ შემთხვევაში National Geographic-ი ტოპმოდელის სტანდარტების მსგავსად აქვეყნებს მის პარამეტრებსა და იმიჯს – „პატარა ზომის ტვინი – მსგავსი Homo Habilis-ის, სახის მოყვანილობა – მსგავსი Homo Erectus-ის და განიერი კბილები – მსგავსი – Homo Rudolfens-ის“.

მაინც ვინ არის ეს „პოპვარსკვლავი“ დმანისიდან, უფრო სწორედ კი კაცი 1,8 მილიონი წლის წინანდელი პრეისტორიული ეპოქიდან, რომლის „იმიჯიც“ დღეს ელვის სისწრაფით გავრცელდა ციფრულ სამყაროში? – ყველაფერი მართლაც მისი „მშვენიერი“ თავის ქალას ბრალია. საქმე იმაშია, რომ პალეოანთროპოლოგებისთვის ეს პირველი თავის ქალაა პრეისტორიული ეპოქიდან, რომელიც ასე საღად და მართლაც „მშვენივრად“ არის შემონახული. მანამდე, აფრიკასა თუ მის გარეთ აღმოჩენილი ნამარხები, მხოლოდ ფრაგმენტების ან ძალზე დაზიანებული სახით იყო მოღწეული და მეცნიერებს კვლევისა და დასკვნების გამოსატანად ამხელა ფუფუნება არ ჰქონდათ. ამიტომაც დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ, როცა ადრეული ჰომოს ეპოქაში პირველი ადამიანის სახეობა (Homo Habilis) წარმოიშვა, დედამიწაზე ერთდროულად ჰომინიდთა რამდენიმე სახეობა დასეირნობდა (Homo Ergaster, Homo Rudolfensis, Homo Erectus...) დმანისის № მე-5 თავის ქალამ კი დაამტკიცა, რომ სინამდვილეში არანაირი „რამდენიმე სახეობა არ არსებობდა“ და რომ ადრეული ჰომო ერთი, საერთო სახეობისგან წარმოიშვა. თითქმის 8-წლიანი კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ახლად აღმოჩენილი თავის ქალას, Homo Habilis-ის პატარა ზომის ტვინი, Homo Erectus-ის სახის მოყვანილობა და Homo Rudolfus-ის განიერი კბილები, სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტულად № მე-5 თავის ქალას მეპატრონის ინდივიდუალური ნაკვთები, რომლითაც ის ისევე განსხვავდება აფრიკაში თუ სხვაგან აღმოჩენილი ამავე პერიოდის ნამარხი

ჰომოებისგან, როგორც ჩვენ ყველანი ინდივიდუალურად განვსხვავდებით ერთიმეორისაგან“. ეს იგივეა, რაც მომავალში მეცნიერმა რომ NBA-ის მოთამაშის ფეხის ძვალი და უოკეის მკლავის ძვალი გათხაროს და ისინი სხვადასხვა სახეობებს მიაკუთვნოს – წერს New York Times-ი ჰომოს რამდენიმე სახეობის არსებობის თეორიის კონტრარგუმენტად.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ № მე-5 თავის ქალა ორ ნაწილად აღმოჩნდა: – ყბა და კბილები 2000 წელს იქნა აღმოჩენილი; შემდეგ კი 2005 წელს იმავე არქეოლოგიურ ფენაში აღმოჩენილი თავის ქალას ნაწილი ზუსტად ჩაჯდა 2000 წელს აღმოჩენილ ყბაში. „ჩვენ რომ ეს ორი ნაწილი ორ სხვადასხვა ადგილზე, ცალ-ცალკე (მაგ. აფრიკასა და დმანისში) აღმოგვეჩინა, ვიფიქრებდით, რომ ის ორი სხვადასხვა სახეობის ფრაგმენტებია“ – აღნიშნავს უურნალ Science-ში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის თანავტორი კრისტოფ ცოლიკოფერი (ციურისხის უნივერსიტეტი). შეგახსენებთ, რომ Science-ში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიას, რომელიც 8-წლიანი კვლევის შედეგია, ქართველ ავტორებთან (დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა, ანი მარგველაშვილი) ერთად უცხოელი თანავტორები ჰყავს – კრისტოფ ცოლიკოფერი, მარსია პონცე ლეონი (ციურისხის უნივერსიტეტი), ფილიპ რაიტმაიერი (ჰარვარდის უნივერსიტეტი) და იოელ რაკი (თელ-ავივის უნივერსიტეტი).

„საერთოდ, როცა დმანისში აღმოჩენილი ხუთივე თავის ქალას კვლევის შედეგები შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ ხუთივე მათგანი ერთმანეთისაგან ისევე და იმდენად განსხვავდება, რამდენადაც ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს ხუთი შემთხვევით შერჩეული ადამიანი ან ხუთი შიმპანზე“ – ამბობს კრისტოფ ცოლიკოფერი.

ერთი სიტყვით, №5 თავის ქალას აღმოჩენამ, როგორც ცნობილი გამოცემები წერენ, „ევოლუციის ხეს ტოტები გადაუჭრა“, ერთ ხაზზე ჩამოამწკრივა და ერთ სახეობაში გაერთიანა ჰომოს ადრეული განვი-



პალეო ანთროპოლოგიის ექსპოზიციის დანიშნული და დავით ლორთქიფანიძე

თარების საფეხური (Homo Habilis) ჰომოს ბოლო საფეხურამდე (Homo erectus), საიდანაც შემდეგ თანამედროვე ადამიანი მივიღეთ. „ამ აღმოჩენითვე მტკიცდება, რომ ემიგრაცია აფრიკიდან გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ჩვენ ამას ვვარაუდობდით და გაცილებით პრიმიტიულმა ჯგუფმა ჩაიდინა ეს“ – ამბობს კვლევის ავტორი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენ. დირექტორი – დავით ლორთქიფანიძე.

„დენი დევიტო, მაიკლ ჯორდანი, შაკილ ო'ნილი – ეს ხომ ერთი და იგივე სახეობაა“ – უმაღლეს აიტაცა და ელვის სისწრაფით გაავრცელა Associated Press-მა დავით ლორთქიფანიძის ეს ფრაზა, რომელმაც მოკლე დროში №5 თავის ქალას იმიჯთან ერთად ინტერნეტსივრცე და საინფორმაციო საშუალებები დაიპყრო, და რამაც ჩვენი „მშვენიერი“ ჰომინიდი დმანისიდან კიდევ უფრო პოპულარული გახადა.

ყველაზე წარმატებული მიგნება მაინც №5 თავის ქალასი და მთლიანად დმანისის კოლექციის ენდი უორჰოლის „დროის კაფსულით“ შე-

**„დენი დევიტო,  
 მაიკლ ჯორდანი,  
 შაკილ ო'ნილი – ეს  
 ხომ ერთი და იგივე  
 სახეობაა“ – დავით  
 ლორთქიფანიძის  
 ამ ფრაზამ მოკლე  
 დროში №5 თავის  
 ქალას იმიჯთან ერთად  
 ინტერნეტსივრცე  
 და საინფორმაციო  
 საშუალებები  
 დაიპყრო.**

ფუთვავა: დავით ლორთქიფანიძე №5 თავის ქალას ტრიუმფიდან მალევე პიტსბურგში – ენდი უორჰოლის მშობლიურ ქალაქში გაემგზავრა, იქ, სადაც უორჰოლის მუზეუმი, ლექციით „დმანისი, როგორც „დროის კაფსული“.

დმანისში დრო ისეა გაჩერებული, როგორც უორჰოლის 100-ობით მუყა-

ოს ყუთში. ოღონდ იქიდან 70-იანები გვიყურებს, დმანისიდან კი – კაცობრიობის ისტორიის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი – ჰომო-ჰაბილისიდან ჰომო-ერექტუსზე გადასვლის მომენტი, ანუ „ეკოლუცია მოძრაობაში“, როგორ მას უწოდეს. უორჰოლის მუყაოს ყუთებიდან 70-იანების განწყობას ძველი სტატიები, ჟურნალ-გაზეთები, საჩუქრები, უამრავი ნივთი და მოგონებები გვიქმნის, დმანისის „მუყაოს ყუთი“ კი, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიოში უდიდესი პოპარტია 5 თავის ქალათი და პრეისტორიული ფლორისა და ფაუნის ნაშთებით.

შოუბიზნესში ყველა ვარსკვლავს თავისი „იმიჯმეიკერი“ ჰყავს. პრეისტორიული „ვარსკვლავების“ იმიჯებსაც ჯერ მეცნიერები, შემდეგ ეტაპზე კი პალეოანთროპოლოგები ქმნიან. ასე შეიქმნა მსოფლიოში „ცნობად“ ჰომინიდთა იმიჯები – „თუმაი“, „აბელი“, „ლუსი“ და ა. შ. – ეს უკანასკნელი თავისი პოპულარობით ჯერჯერობით პირველ ადგილზეა, იმიტომ, რომ მისი სახელი Lucy „ბიტლზის“ Lucy in the sky with Diamon-



ds-ს უკავშირდება. და ვერ ვითმენ მისი ისტორია კიდევ ერთხელ რომ არ გავიხსენოთ: დონალდ იოჰანსონის პოპულარული წიგნი ლუსიზე დღემდე ლეგენდად რჩება არქეოლოგებში და, საერთოდ, არქეოლოგიის მოყვარულებში. წარმოიდგინეთ, 70-იანების დასაწყისი, მსოფლიო „ბიტლზის“ რიტმებით ცხოვრობს. 1974 წელი. აფრიკა. ეთიოპია. მდინარე ომოს ნაპირებთან ფრანგულ-ამერიკული ექსპედიცია მუშაობს. ექსპედიციას პროფესორი დონალდ იოჰანსონი ხელმძღვანელობს. მის გვერდითაა ტიმ უაიტცი. მაგნიტოფონიდან აქაც „ბიტლზის“ რიტმები იღვრება. სენსაციური აღმოჩენა – ჩონჩხის ფრაგმენტი, რომლის 40% კარგად შენახულია და ეს უნიკალური მოვლენა ანთროპოლოგიაში. ბანაკში აჟიოტაჟია, მაგნიტოფონიდან ხმამალა ისმის „ბიტლზის“ *Lucy in the sky with Diamonds...*

აღმოჩენილი ჩონჩხი ქალისა და, როგორც ჩანს, პირველი ქალის. გადაწყდა, მას Lucy-ს არქმევენ. Lucy მინიატურულია. მისი სიმაღლე მხოლოდ 105 სმ-ია და 27კგ-ს იწონის.

დმანისში დრო  
ისეა გაჩერებული,  
როგორც უორჰოლის  
100-ობით მუყაოს  
ყუთში. ოღონდ იქიდან  
70-იანები გვიყურებს,  
დმანისიდან კი  
– კაცობრიობის  
ისტორიის  
ალბათ ყველაზე  
მნიშვნელოვანი  
ეპიზოდი.

ტვინის მოცულობა 400 კვ. სმ-ია. ის 3,2 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა და 25-30 წლის ასაკშია გარდაცვლილი.

ამ მცირე მუსიკალურ-არქეოლოგიური გადახვევის შემდეგ, ისევ იმიჯმეიკერებსა და პალეოარტიტებს ვუბრუნდები: პრეისტორიული „ვარსკვლავებიდან“ უკვე არანაკლებ ცნობად სახეებს წარმოადგე-

ნენ ჩვენი მზიასა და ზეზვას წყვილიც. მათი იმიჯები კი ცნობილმა ფარანგმა პალეოარტიტმა ელიზაბეტ დენემ (Élisabeth Daynès) შექმნა. მან სახელი გაითქვა ლასკოს მღვიმის მამონტებისა და ჰომინიდათა ჯგუფის რეკონსტრუქციით, National Geographic-ის გახმაურებულ პროექტში – King Tut's Final Secrets – მონანილეობით, სადაც ტუტანჰამონის შესანიშნავი მულაჟი შექმნა ნეანდერტალელთა ოჯახის რეკონსტრუქციითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აინშტაინის მულაჟითაც – საგანგებოდ მადრიდის გრანდიოზული CosmoCaixa-ს მუზეუმისთვის.

დმანისის ახალმა აღმოჩენამ და №5-მა თავის ქალამ ელიზაბეტ დინისთან ერთად ისეთი ცნობილი პალეოარტიტებიც დააინტერესა, როგორებიც არიან ძმები კენისები (Kenniss&Kenniss), ჯეი მატერნესი (Jay Matternes) და ჯონ გურჩი (John Gurche). როგორც ჩანს, ჩვენი დმანისელი მამაკაცი თავისი „მშვენიერი“ თავის ქალათი მწვერვალების დასაპყრობად ემზადება..

ინოვაცია



# ნირვანესკი *Nirvanesque*®



# NUXE

PARIS

## პირველი ნაოჯების საინააღდგომო კრემი ბოტოქსის ეფექტით

მომენტალურად გადაასწორებს მიმიკურ ნაოჯებს, ხსნის კანის სტრესს, უზრუნველყოფს კანის რელაქსაციას.

უკვე 28 დღეში:

- ნაოჯების შემცირება/კანის რელაქსაცია - 80%
- კანის განახლება გატანსაღება - 80%
- ინტენსიური დატენიანება - 83%



4

პაიფილი

# ქეთევან ქემოკლიძე

## მე – ოპერის მომღერალი

ავტორი: მაია მორგოშია

შესავალი ანუ უკან  
კონსერვატორიაში

90-იანი წლების თბილისი, უშუქობა, უგაზობა, უტრანსპორტობა, მხოლოდ არეულობა... გაყინული კლასები, გაყინული პედაგოგები და მოწაფეები... ქიმიკოსების ოჯახში გაზრდილი ქეთი ამდროს სამუსიკო სკოლაში სწავლობს ფორტეპიანოს განხრით და გათოშილ ხელებზე ჩამოცმული გადაჭრილი ხელთათმანებით მეცადინეობს, თან ცოტა ეზარება გულის სიღრმეში თვითმფრინავის პოლიციელობაზე მეოცნებე პატარა გოგოს, მაგრამ ქართული ხალხური სიმღერის წრეზე სიარული მაინც ძალიან ხიბლავს.

ერთხელ, კონცერტზე, დედის გვერდით მჯდომი სრულიად უცხო ადამიანის შეძახილმა: „ნეტავ ამ ბავშვს პატრონი არ ჰყავს? რა გადასარევეად მღერის!“ კონსერვატორიასთან არსებულ ექპერიმენტულ სკოლაში გამოცდების ჩასაბარებლად ქეთის მომზადება განაპირობა. ნოდარ ანდლულაძესთან მისულმა ქართული ხალხური სიმღერები ჩაარჩინა. ნოდარს უთქვამს, მომწონს ეს გოგო. დავალებად კარმენის არია მიუცია. წარმატება. ამის შემდეგ დაიწყო სერიოზული მეცადინეობა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორთან – გულიკო კარიაულთან. მუსიკალურ სასწავლებელთან ერთად სამხატვრო სკოლასა და ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლა ცოტა არ იყოს დამლელი იქნებოდა, ქეთის ჟინი თუ მონდომება რომ არა. შემდეგ კონსერვატორიაში სცადა ჩაბარება, სადაც ვერ მოხვდა სოლფეჯიოში არასაკმარისი ქულების გამო (სამი ქულა დააკლდა), მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა, იღბა-

ლიც გაერია საქმეში: შუა წელიწადში კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით სამი ვერმოხვედრილი ბავშვი დააბრუნეს, მათ შორის – ქეთიც.

კონსერვატორია VS ლა სკალა

დილით – კონსერვატორია, ნაშუადღევს – სამხატვრო აკადემია, საღამოს – ეკონომიკური ფაკულტეტი... რადიკალურად განსხვავებული საქმიანობა ყოველდღე. წლების მატებასთან ერთად (რამაც ხმის „დავაჟკაცება“ თუ „დაღვინება“ გამოიწვია) კონსერვატორიაში სწავლის უპირატესობაც გამოიკვეთა. 2002 წელს კონსერვატორიაშივე შედგა ქეთის წარმატებული სასცენო დებიუტი მადალენას პარტიით ვერდის ოპერიდან „რიგოლეტო“, რასაც მოჰყვა სამემსრულებლო გამოსვლები (ოპერებიდან თუ მუსიკალური ნაწარმოებებიდან): ვერდის „ოტელო“, ჰენდელის „ამადიჯი“, მოცარტის „რეკვიემი“, „მესა-ბრევისი“, პერგოლეზის „სტაბატ მატერი“, შემდეგ – ბეთჰოვენის IX სიმფონია და ჰენდელის „მესიას“ და ბახის „სამობაო ორატორიის“ პირველი შესრულება საქართველოში. ასაკის მიუხედავად თბილისში თითქმის ყველა საკონცერტო დარბაზში ნამღერ მეცო-სოპრანოს სამშობლოში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ ბელვედერის საერთაშორისო კონკურსზე გამარჯვება მოუტანა და იგი ლა სკალას საოპერო თეატრის სპეციალური პრიზით უგამოცდოდ ჩარიცხული, ამავე თეატრთან არსებული აკადემიის სტუდენტობისა (ლირიკული ოპერის ფაკულტეტის განხრით) და თავად თეატრის სცენაზე დგომის ღირსი გახდა. ეს სასწავლებელი, რომელიც ე.წ. „სკალას კადეტთა“ სკოლის მემკვიდრეა,

50-იან წლებში არტურო ტოსკანინის ეგიდით დაარსდა იტალიური ოპერის ტრადიციების გაგრძელებისა და წინსვლის მიზნით და დღემდე ფუნქციონირებს კაზა რიკორდისა (იტალიური მუსიკალური გამომცემლობა) და ლა სკალას მხარდაჭერით. სასწავლებლის მთავარ მიზანს ვოკალური მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდების დახელოვნება წარმოადგენს. მსოფლიო საოპერო ხელოვნების მოღვაწეებთან, ვარსკვლავ პროფესორ-მასწავლებლებთან, როგორებიც არიან ვინჩენცო სკალერა, უმბერტო ფინაცი, ტერეზა ბერგანცა, მირელა ფრენი, კრისტა ლუდვიგი, ლეო ნუჩი, რენატა სკოტო, შირლი ვერეტი, ყოველდღიური მეცადინეობითა და ლა სკალას სპექტაკლებში მონაწილეობით მიღებული გასაოცარი შედეგი უკვე ქეთისა და სხვა მრავალი ნიჭიერი მომღერლის სახით წარმოგვიდგება. ქეთიმაც დაულაღვ შრომაში გაატარა სწავლის ორი წელი: დილით – კონცერტმაისტერი, შუადღეს – პედაგოგები – ლეილა გენჩერი, ლუჩანა სერა, რენატო ბრუზონი, ლუიჯი ალვა – როლის დამუშავება, მხატვრული დახვეწა და საღამოობით – ლა სკალას სპექტაკლებში მონაწილეობა. სკოლა საგანთა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აი, იმ ძირითად დისციპლინათა ჩამონათვალი, რასაც მოწაფეები გადაიან: კამერული მუსიკის რეპერტუარი, ვოკალური დახვეწის (Interpretation) ტექნიკა, სხეულის გამოხატვის ტექნიკა, სცენური მოძრაობა, უცხო ენის ფლობა სწორი გამოთქმის მიზნით და იტალიური (უცხოელებისთვის). თურმე ასეთი საოცარი კურსიც არსებობს – ეს არის მუსიკის გაგება თუ დაფასება, რომელსაც ქეთი მუსიკის ტრფობასაც



ეძახის. სწავლის პროცესში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტების (და მხოლოდ სტუდენტების!) მიერ დადგმულ „აკადემიის პროექტს“, რომელიც ლა სკალას თეატრის რიგით სეზონურ სპექტაკლად ითვლება და სხვა საოპერო თეატრებსაც მიაქვთ თავიანთ სცენაზე. აკადემიის საიტზე თვალის გადავლენისას სიამაყით ავივსე: წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან (დავითვალე კიდეც, ჯერჯერობით 22 სახელია ჩამონერილი) ოთხი ქართველია. მათ შორისაა ქეთევან ქემოკლიძე – ნინო სურგულაძესთან, ნინო მაჩაიძესა და ანიტა რაჭველიშვილთან ერთად.

ვერაფრით გამოიცნობთ, კიდეც როგორ მეცადინეობს ქეთი, თუ გულიკო კარიაულს არ იცნობთ. ძალიან გამაოცა გაკვეთილების ჩატარების ამ მეთოდმა: გაკვეთილები სკაიპით! დიახ, სკაიპით, ჩვეულებრივი, სრულფასოვანი, ორსაათიანი გაკვეთილები. წარმოიდგინეთ, პედაგოგი, რომელსაც ათობით მონაფე ჰყავს ექსპერიმენტულ ათწლეულში და პარალელურად ცხრა მთას იქით ქეთევან ქემოკლიძის გვერდით სხვა ნამონაფარებსაც: ნინო სურგულაძეს, ალა რამინას, სოფო გორდელაძეს, თეონა დვალს, მაკა გეგეჭკორს, მიშა შეშაბერიძეს და სხვებს უანგაროდ უტარებს სიმღერის გაკვეთილს. ქეთი მას დედა ტერეზას ეძახის. ამბობს, რომ ზოგიერთი წარმატებული მომღერალი ორმოცი წლის ასაკშიც ეძებს პედაგოგს, რომელიც ობიექტურად ადევნებს თვალყურს მომღერლის განვითარებას და მკაცრ კრიტიკასაც არ იშურებს მისი მომავალი წარმატებისთვის. მარია კალასის თქმის არ იყოს, განსხვავება კარგა და დიდებულ პედაგოგს შორის ის არის, რომ კარგი – მონაფის საუკეთესო შესაძლებლობებს წარმოაჩენს, დიდებული კი – მონაფის მომავალს განჭვრეტს. ქეთის გაუმართლა და თავიდანვე ასეთი პედაგოგი შეხვდა, გულიკო კარიაულის აზრი და შენიშვნები მისთვის დღემდე უმნიშვნელოვანესია.

ქეთის კიდეც ერთი პედაგოგი ჰყოლია, ოღონდ ისე, რომ თავად პედაგოგმა ამის შესახებ არაფერი იცის: ოლგა ბოროდინა – ლამაზი, რბილი და ხავერდოვანი ხმის პატრონი, პეტერბურგელი მეცო-სოპრანო. „როცა რაიმე ახალი მაქვს

დასამუშავებელი, პირველ რიგში ოლგას ვუსმენ“ – ამბობს ქეთი.

რვა საათი ძილი. ქეთის თქმით, ხმისთვის ბევრი მუშაობა არ შეიძლება, მაგრამ ხმის ლავირების ხარჯზე და არასრული ხმით მღერითაც შეიძლება თურმე მიაღწიო სასურველ შედეგს. თუმცა ხშირად ჩუმად არის, მესიჯებს იშველიებს. მეუღლესაც კი მესიჯებით ესაუბრება ხანდახან.

მაინც ნეტავ რა არის საჭირო იმისთვის, რომ პროფესიონალი ოპერის მომღერალი გახდეს, მარტო ხმა და ნიჭი კმარა?! „ჩემთვის აუცილებელია ილბალი, გნებავთ ღვთის წყალობა, შრომისმოყვარეობა, მონდომება, ჭკუა-

ნელ-ნელა, პატარ-  
პატარა როლებით  
დაძლეული  
ტექნიკური სირთულე  
რეპერტუარში  
წინსვლისა და  
წარმატების  
სანინდარია. ნიჭიერი  
ახალგაზრდა საოპერო  
მომღერლებისთვის  
კონკურსებში  
მონაწილეობისთვის  
საჭირო დახმარების  
ფონდის შექმნაც  
მისასაღმებელი  
იქნებოდა.

-გონება... გონებრივი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია“. ოპერის მომღერალს რა გონებრივი სამუშაო აქვსო, იტყვიო, მაგრამ სიმღერა, ტექსტის ცოდნა, სწორი გამოთქმა, სცენური მოძრაობა, რეგისტრი, დირიჟორთან კავშირი... ქეთის თქმით, დღესდღეობით, ოპერის მომღერალს მძიმე გამოწვევა აქვს. ოპერის მძიმეწონიანი მომღერლის ძველი ხატი სრულიად განსხვავდება ახლისგან. „სპორტული შემართება თუ არ გაქვს, არაფერი გამოგივა“, – ამბობს ქეთი. ალბათ იკითხავთ, მორბენალი საოპერო

მომღერალი როგორღა მღერისო? ხმის ტექნიკური სიძლიერე, რასაც ქეთი ნოდარ ანდლულაძის სკოლის დამსახურებად მიიჩნევს, მას სცენაზე, შეიძლება ითქვას, აკრობატული ილეთების გაკეთებაში ეხმარება.

ბევრი ვეცადე ქეთის ჩვენი სკოლის პრობლემები ელიარებინა და ლა სკალას საუკეთესო სამაგალითო სასწავლო სქემა თუ მეთოდი გაეზიარებინა. კარგი იქნებოდა, თუ ქართული საოპერო სკოლა საოპერო სტუდიის არსებობის შესანიშნავ ტრადიციას დაუდებდა სათავეს, ლა სკალას მსგავსად. საოპერო სტუდია ნიჭიერ და შრომისმოყვარე სტუდენტს სპექტაკლებში მონაწილეობის საშუალებას მისცემდა, გამოცდილება და პრაქტიკა კი ყველაზე კარგი პედაგოგები იქნებოდნენ. თან უკვე შემდგარ მომღერლებთან შედარებით პატარა, მაგრამ მაინც ჰონორარი, არ იქნებოდა ურიგო: ერთი დადგმის თხუთმეტ სპექტაკლში მონაწილეობა 500-600 ევროს ფასად მაშინ, როდესაც პროფესიონალი მომღერალი მსგავს შემოთავაზებაში 5000-დან 20000 ევრომდე იღებს. ქეთის აზრით, ნელ-ნელა, პატარა-პატარა როლებით დაძლეული ტექნიკური სირთულე რეპერტუარში წინსვლისა და წარმატების სანინდარია. ნიჭიერი ახალგაზრდა საოპერო მომღერლებისთვის კონკურსებში მონაწილეობისთვის საჭირო დახმარების ფონდის შექმნაც მისასაღმებელი იქნებოდა.

ქეთისთან საუბრისას, ერთი შესანიშნავი ტრადიცია აღმოვაჩინე. თითქმის ყველა საოპერო თეატრს (უფრო კი პარამში, ვერდის თაყვანისმცემლებს) გულშემატკივართა თავისი კლუბი ჰყავს და მათ შორის იმართება დავა, პაექრობა ისტორიულ და შემოქმედებით საკითხებზე ოპერის გარშემო, კამათი იმაზე, თუ რომელი საოპერო დადგმა თუ ოპერის მომღერალი ჯობს, რატომ, როგორ შეცდომებს უშვებს ესა თუ ის მომღერალი, დირიჟორი... ზოგჯერ მათი დისკუსია მძაფრ შეტაკებაშიც კი გადაზრდილა. ქეთის აზრით, კლუბების შეკრებაზე დასწრება ძალიან საინტერესოა, ბევრი ცხელი ამბის გაგებასთან ერთად, თბილი და ხმაურიანი იტალიური ატმოსფერო ყველა ადამიანზე და განსაკუთრებით კი – შემოქმედებით



პროცესში ჩართულზე, მაგიურად მოქმედებს და ჯანსაღი კრიტიკით დახუნძლული, ქებით გამხსნევებული და დადებითი ემოციებით დატვირთული საქმიანობის უფრო ნაყოფიერად გაგრძელებას ცდილობს. პარმაში სიმღერისას, სადაც იტალიელებს თავი ოპერის ყველაზე დიდ გულშემატკივრად მიაჩნიათ და ცუდად მღერისას შეიძლება ლაყე კვერცხი ან გადამნიფებული პამიდორი ესროლონ მომღერალს, ქეთი ვერდის კლუბის ერთ-ერთ შეხვედრაზე მიუწვევიათ და საჩუქრებითაც გამოუსტუმრებიათ.

### საზოგადოება და მუსიკა

საერთოდ, კლასიკური მუსიკის სმენის ტრადიციას დასავლეთში დიდი ყურადღება ექცევა და ამ უანრისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრნობის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება. მშობლები სხვადასხვა მიზნით „აიტილბენ“ შვილებს კლასიკური მუსიკის მოსმენას: ზოგი სოციალური მიზეზით, ზოგიც თვითდისციპლინის ჩამოყალიბებაში დასახმარებლად, დანარჩენებს კი სჯერათ, რომ კლასიკური მუსიკის შედეგების ცოდნა წარმატებული და განათლებული მომავალი თაობის საძირკველია. 90-იან წლებში მრავალი სტატია თუ წიგნი დაბეჭდილა ე.წ. „მომცარტის ეფექტის“ შესახებ, შემდეგ კი – კვლევების საფუძველზე ბავშვებისთვის ტესტირებაც ჩატარებულა, რის შედეგადაც აღმოჩენილა, რომ იმ ბავშვების ინტელექტის ინდექსი (IQ), რომლებიც კლასიკას (ამ კონკრეტული მაგალითით, მოცარტს) უსმენდნენ, უმაღლეს ქულებს აღწევს. მსოფლიო მუსიკის სამყაროში მიჩნეულია, რომ მუსიკა ადამიანის გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილის ბიოლოგიური საფუძველია და მის გარეშე სულიერად ღარიბდება საზოგადოება. მუსიკა მათემატიკაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, უცხო ენებში, ფიზიკურ აღზრდაში და კიდევ სხვა მრავალ დისციპლინაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ამიტომაც, რომ საზღვარგარეთ სპეციალურად ბავშვებისთვის კლასიკური უანრის აუდიო თუ ვიდეო მასალის აურაცხელი რაოდენობა გამოიცემა. ევროპაში დანყებით სკოლებში ბავშვებს ხშირად სხვადასხვა ინსტრუმენტზე





დაკვრას (არჩევით) ასწავლიან, გუნდებში პატარა-პატარა პარტიებს აძლევენ, უტარდებათ გაკვეთილები, სადაც მუსიკის სამყაროში ფრთხილად შეჰყავთ და ისტორიასაც აცნობენ. ცოტა უფრო მოზრდილ ასაკში კი კლასიკური მუსიკის დამატებით გაკვეთილებთან ერთად მონაწილეობისთვის საინტერესოც არის და სახალისოც სკოლის გუნდსა თუ ორკესტრში ჩართულობა. ჯუნიორ ჰაი სკულში კი მუსიკის გაკვეთილები კურიკულუმის სავალდებულო ნაწილშიც შედის.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტებს, რომლებიც ხელოვნების ფაკულტეტს ირჩევენ, ხშირად მუსიკის თეორიის კურსის გავლაც ევალებათ. მუსიკალური განათლების მიღება ნებისმიერ ასაკში შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წრეებში. კლასიკური მუსიკის პროპაგანდას ყოველნაბიჯზე შეხვდებით: ფილმების, სატელევიზიო პროგრამების, რეკლამებისა თუ სხვადასხვა ღონისძიებების ფონად. მაგ.: „ნესუნ დორმა“ ჯაკომო პუჩინის ოპერიდან „ტურანდოტი“ 1990 წლის ფიფას მსოფლიო თასის მთავარი თემა იყო. მუსიკალური განათლება წარმატებული საზოგადოების წინაპირობად არის მიჩნეული. ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ კლასიკურ მუსიკასთან ზიარება ბავშვობაზე ხდება სხვადასხვა მეთოდით. ერთ-ერთი ასეთი ხერხი პატარების საოპერო სპექტაკლში ჩართულობაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სპექტაკლზე მისულ ბავშვებს ურიგდებთ თაბახის ფურცლებზე დაბეჭდილი ტექსტი და შეუძლიათ აჰყვენ მონღერლებს, რომლებიც შესაძლოა ასევე პატარები იყვნენ; და თუ მშობელი აღმოაჩენს შვილის განსაკუთრებულ ნიჭს, შეუძლია მიმართოს თითქმის ნებისმიერ საოპერო თეატრს, მოითხოვოს აუდიენცია, რომელიც აბსოლუტურად არანაირ წინასწარ მომზადებას არ საჭიროებს, და მონაცემებისა და ინტერესის მიხედვით ხელი შეუწყოს ბავშვის განვითარებას საოპერო მუსიკის განხრით. შექმნილია ბავშვებისთვის სასიამოვნოდ მოსასმენი თუ სანახავი საოპერო სპექტაკლების სარეკომენდაციო ნუსხაც, რომელიც ინტერნეტშიც მრავლადაა. პავაროტის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „თუ ბავშვები არ ეზიარებიან მუ-

სიკას ადრეულ ასაკში, დარწმუნებული ვარ, რომ რალაც ფუნდამენტური ერთმევათ“.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ქართველი ბავშვების დიდი ნაწილი მოკლებულია ამგვარ სიამოვნებას, თუმცა ინტერესი კლასიკური მუსიკისადმი, ოპერისადმი მაინც დიდია. ქეთი ქემოკლიძის და მრავალ სხვათა შრომისმოყვარეობითა და ძალისხმევით თურმე ქართული საოპერო სკოლის შვილებს მსოფლიო სცენაზე სხვათა გვერდით განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, რაც იმითაც გამოიხატება, რომ, როგორც ქეთი ამბობს, არ არსებობს სპექტაკლი, ერთი, ორი, სამი ან მეტი ქართველი მომღერალი არ

**ერთ-ერთი ასეთი ხერხი პატარების საოპერო სპექტაკლში ჩართულობაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სპექტაკლზე მისულ ბავშვებს ურიგდებთ თაბახის ფურცლებზე დაბეჭდილი ტექსტი და შეუძლიათ აჰყვენ მონღერლებს.**

მონაწილეობდესო. კარგი იქნება, მეტი ადგილი დაიმკვიდროს კლასიკურმა მუსიკამ საზოგადოებაში, ჩვენთანაც და არსდეს გულშემატკივართა კლუბები, განვითარდეს საოპერო კულტურა. მათ კი, ვისაც დიდხანს საოპერო ნაწარმოების მოსმენა დასაწყისში ცოტა რთულად ეჩვენება, შემიძლია დავამშვიდო და ვუთხრა, რომ თურმე (ირლანდიელ მწერალ ჯეიმს სტივენსს თუ დაუფერებთ), ოპერის მოსმენის ერთ-ერთი, თან საუკეთესო ხერხი ძილის დროს მოსმენაც ყოფილა. საოპერო მუსიკის მოსმენის დანება აქედანაც შეიძლება. შემსრულებლები თუ არა, კარგი მსმენელები და მყურებლები ხომ გამოვალთ. გვეცოდინება როდის დაუფერათ ტაში თე-

ატრში, როდის გამოვრთეთ მღერის ტელეფონი და სხვა დეტალები.

როლი. სცენა.


„ყველა როლი თავისებურად მიყვარს, მაგრამ კონკრეტულ მომენტში რაზეც ვმუშაობ ხოლმე, იმ დროს ის უფრო მიყვარდება“. თუმცა არის ისეთი როლები, რომლებსაც ქეთი არ აპირებს დაუბრუნდეს: შტეფანო – პაჟის როლი სპექტაკლიდან „რომეო და ჯულიეტა“, ერთ-ერთი ამ როლთაგანია. დაბალი ტემბრის გამო, ქეთის ხშირად ბიჭების როლის შესრულება უნევს, რაც უკვე დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუ არ ჩავთვლით იულიუს კეისრის როლს, რომლის ქალის მიერ შესრულება სიმღერასთან ერთად ვაჟკაცური შესტების დაუფლებას მოითხოვს. ქეთი სცენაზე გასვლის წინ ჯერ კოსტიუმს იცვამს, გაივლის, გამოივლის, სარკეებში დაინახავს თავის თავს, შეეჩვევა სარკიდან მომზირალ პერსონაჟს, გარდაისახება და მხოლოდ ამის შემდეგ იკეთებს მაკიაჟს. „ამის გამო სულ მეჩხუბებიან – მესვრება ტანსაცმელი, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია“ – ღიმილით ამბობს ქეთი. რამაა ქეთიზე ჯადოსნურად მოქმედებს, აინთება თუ არა, ავიწყდება გარშემო არსებული და ხედება იმ სამყაროში, საიდანაც თვითონ უმღერის მაყურებელს. სცენა მისი სამსახურია, კოცნა, ხელის მოთათუნება თუ სხვა რაიმე ეროტიკული მომენტი – მხოლოდ მიზანსცენის ნაწილია. „სცენაზე როცა გავდივარ, ვფიქრობ, რომ დავბრუნდი, სახლში მოვედი, არ აქვს მნიშვნელობა სად არის ეს სცენა: ლოს-ანჯელესში, სან-დიეგოში, რომში, მილანში თუ პარიზში“.

ქეთის, თავისი მშვიდი და განონასწორებული ხასიათის გამო, საოპერო წრეებში ზოგადად ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს, თუმცა ისეც ხდება, რომ დახმარების სანაცვლოდ წყენითა და გულისტკივილითაც გასაჩუქრებენ კოლეგები: „არიან მომღერლები, რომლებიც მზად არიან თმაში გწვდნენ, აგატირონ...“. ოპერა გამოწაკლისი არ არის, რადგან კონკურენტული გარემოა, კონფლიქტებიც ხშირია: შეიძლება მომღერალს კოსტიუმი დაუმალონ, გასვლის წინ ანერვიულონ, ნერვი შეტოკდება თუ




SOBRANIE  
LONDON

სობრანია სობრანია  
ლონდონი 1879 წლის 3000-ე  
წლის აღწერის მიხედვით



მოწევა  
კლავს



მოწევა  
კლავს

სობრანია  
ლონდონი

SOBRANIE BEYOND COMPARE  
სობრანიაზე იმდენად ჯობია





"LSS" ტექნოლოგიით გაზდიდრებადი ჰეროლაქტი  
\*ტექნოლოგია, რომელიც ხელს უწყობს თაბაკის  
კვანძის სუნის ინტენსივობის შემცირებას

მოწევა კლავს  
მოწევა იწვევს კანის  
ნაადრევ დაბერებას

არა, შეიძლება ხმაც შეიცვალოს ან იმ მომენტში სრულიად დაიკარგოს კიდეც, მაგრამ ქეთი ასეთ შემთხვევაში წყენას გულთან ახლოს არ იკარებს, უკმეხად ნათქვამს მეორე ყურიდან უშვებს, საოცრად მშვიდი ადამიანია, ჭორაობა არ უყვარს, ზომიერად მეგობრული ურთიერთობა აქვს კოლეგებთან. მიდის, საქმეს აკეთებს, შინ ბრუნდება და მეორე დღეს ისევ საქმეს უბრუნდება. „ჩემი კოლეგები მეხუმრებიან, არცერთ სადილზე არ მოდისო. თუ გეტყვის, რომ მოდის, არ დაიჯეროთ, მაინც არ წამოვა ბოლოსო“. – იცინის ქეთი და ამბობს, რომ არიან მომღერლები, რომლებსაც გართობაც, ღამისთევაც, მუშაობაც, მეცადინეობაც – ყველაფერი ერთად გამოსდით, მაგრამ მას ასე არ შეუძლია: მისი არჩეული გზა, საყვარელი პროფესია იმდენ ენერჯიას მოითხოვს, რომ აღარც დრო და არც ენერჯია აღარ რჩება, და თანაც მაინც ურჩევნია ყოველთვის რეჟიმში იყოს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობაც, რომელიც ბავშვობიდან მოყვება. „ჩვენ – 90-იანი წლების ბავშვები – ისეთ მკაცრ და პირქუშ პირობებში გავიზარდეთ, რომ ამ ქაოსისა და უიმედობის შემყურეს შრომისუნარიანობა უფრო და უფრო მემატებოდა“, ცელქმა და მოუსვენარმა ხასიათის სიმტკიცეც მალე გამოაჩინა: მიზანდასახულ და შრომისმოყვარე გოგოდ იქცა.

გაკვირვებული დარჩებით ქეთის როლების სიუხვით: ბერლინის დოიჩე ოპერის, პარმის სამეფო თეატრის, ტულუზის კაპიტოლის თეატრის, მონპელიეს ნაციონალური თეატრის, პალერმოს ტეატრო მასიმოს, სანტიაგოს მუნიციპალურ თეატრის, რაინის დოიჩე ოპერისა და მარსელის მუნიციპალური ოპერის სცენებზე და ვაშინგტონის ნაციონალურ ოპერაში ქეთევანი როზინას პარტიის (როსინის ოპერიდან „სველიელი დალაქი“) ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად არის აღიარებული. შესრულებული როლებით, განსაკუთრებული ვოკალური და სასცენო მონაცემებით, დიდი წარმატებით გამოდის მსოფლიოს მნიშვნელოვან საოპერო თეატრებში: ქეთევანის მიერ ლონდონის სამეფო თეატრში, ვენეციის ფენიჩეს თეატრსა და ვერონას არენაზე შესრულებუ-



www.javierdelreal.com ©

## ისტორია

ლი სტიფანოს როლი გუნოს ოპერიდან „რომეო და ჯულიეტა“, ბარსელონას ლისეუს თეატრში ემილია ვერდის ოპერიდან „ოტელო“, ზიბელი გუნოს ოპერიდან „ფაუსტი“ დაუვიწყარი როლებია მაყურებლისთვის. ლა სკალას საოპერო თეატრის სცენაზე შესრულებული სახეები ვერდის ოპერიდან „რიგოლეტო“, მოცარტის „ასე იქცევა ყველა ქალი“, „ასკანიო ალბა“, როსინის „სევილიელი დალაქი“, შტრაუსის „სალომე“, მანეს „მანონი“ და მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ – ეს განსხვავებული, ლამაზი, საინტერესო როლები ერთმანეთს დაუსრულებლად ცვლიან. თესალონიკის თეატრ მეგარონში კეისრის სახასიათო, მამაკაცური როლი ჰენდელის ოპერიდან „იულიუს კეისარი“ კი უდავოდ უზარმაზარი შრომის, გარდასახვის უნარის, საშემსრულებლო ტექნიკის საუკეთესო წარმომჩენია. ყველა ეს როლი ნაბიჯ-ნაბიჯ მოპოვებული წარმატების შედეგია. „რომ არ მემღერა ყველაფერი, რასაც შემომთავაზებდნენ, მომიწევდა ტვინის ყყლეტაც და ხმის გადატვირთვაც. ახალი, უფრო რთული როლის დამუშავების პროცესში ვხვდები, რომ დაძლეულია ტექნიკური სირთულე, მუშაობის პროცესიც უფრო იოლი და სასიამოვნო ხდება. მიხარია, რომ ეტაპობრივად სწორად მივდივარ“ – სიამოვნებას ვერ მალავს ქეთი. ერთადერთი დიდი საოპერო თეატრი, სადაც ქეთის ჯერ არ უმღერია, მეტროპოლიტენ ოპერაა.

### დომინგოს ქართველები

2010 წელს ბათუმში გამართულ კონცერტზე, სადაც ქეთი არ ყოფილა მიწვეული, პლასიდო დომინგოს სასწრაფოდ თავად დაუფარავს მისი მგზავრობის ხარჯები. უცნაურად მომჩვენა ჯერ ერთი ის, რომ ქეთიმ საერთოდ არ იცოდა ამ კონცერტის შესახებ და მეორეც ის, რომ თავად მაესტროს გაახსენდა მაინცდამაინც ქეთი და პირადად იზრუნა მის აუცილებელ მონაწილეობაზე. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ქეთის ვთხოვე მოეყოლა ეს ამბავი. დომინგოს 2008 წლის ცხელ აგვისტოს შეხვედრია კანადაში, კონკურსზე „ოპერალია“, რომლის ფინალში 40 რჩეულს შორის პიანისტებთან – ნინო და თამარ სანიკიძეებ-

თან ერთად გამარჯვებით მისი მონონება დაუმსახურებია. საოპერო წრეებში დომინგო ცნობილი ყოფილა, როგორც ტალანტების მძიებელი და კონკურსების მოყვარული ქველმოქმედი. „ჩემი კონტრაქტებიც და გამოსვლა ქოვენთ გარდენსა და მადრიდში დომინგოს დასახურებაა“. დები სანიკიძეებიც ახლა უკვე დომინგოს საყვარელი პიანისტები გამხდარან. ქეთის თქმით, „დომინგო სადაც მიდის, იქ დებიც მიჰყავს“. ქეთის დებიუტი ვაშინგტონის ნაციონალურ ოპერაშიც პლასიდო დომინგოს მონვევით შედგა. ასევე დომინგოს მონვევით ქეთის განსახიერებულმა – მონდომებულმა, მებრძოლმა, მეომარმა, ცხენზე ამხედრებული კონკიას ქართველმა ტიპაჟმა მაყურებელი ემოციების გარეშე

„შეიძლება ერთ დღესაც გაიღვიძო და ხმა ვეღარ ამოიღო“. წარმატება სიფრთხილში ასწავლა, თითქმის პარიერის დასაწყისში უფრო მებრძოლი იყო, ახლა – ნაკლებად. უფრო მონუსრიგებულნი ბახდა.

ვერ დატოვა. „ლოს-ანჯელეს ტაიმსშიც“ წერდნენ, ქემოკლიძემ საოცარი ატმოსფერო შემოიტანაო.

### ანჩხლი დონა ელვირა

2011 წელი, გრაცი. კვლავ წარმატებული გამოსვლა და კიდევ ორი ახალი სპექტაკლი. პარალელურად რომში კასტინგი კარლოს საურას ფილმში მონაწილეობაზე, რომელზეც ქეთი სულ ბოლო წამს მისულა: თავიდან არც დაინტერესებულა, უფიქრია, რაღა მე ამიყვანს საურა ამდენ კარგ მომღერალს შორისო, თანაც თბილისისკენ ბილეთიც ნაყიდი ჰქონია, მაგრამ, საბოლოოდ, გულიკო კარიაულის ძალდატანებით, ღამის მატარებლით ჩაურბენია რომში, მოუწეს-

რიგებელსა და გაბურძენილს კომინი შეუღია სტუდიის კარი. „დაწყნარდი, იქ ხართ, სადაც უნდა იყოთ!“ – გაუღიმა საურამ... ქასთინგის დროს ქეთისა და ერთ ნეაპოლელ ქალს ბოროტი მომღერლების როლი უნდა ეთამაშათ. ქეთის „სიბოროტითა და სიანჩხლით“ დაუფაბნია მეტოქე. მოგვიანებით, საურასაც უთქვამს, კასტინგის მერე აეროპორტშიც გაკვირდებოდი, როგორ ჩუბობდი ბორტამცილებლებთან და ამ ინციდენტმაც დამარწმუნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების სისწორეში. ვინ იცის, ფიქრობდა: „ეს გოგო როგორი კარგი გიჟია“ – ანუ ზუსტად ისეთი გიჟი, როგორიც მისი პერსონაჟის გაფერადებას სჭირდებოდა, და მიუცია ადრიაანა ფერარეზეს (დონა ელვირას) როლი ფილმში „მე, დონ ჯოვანი“. ოპერატორი ვიტორიო სტორარო, რომელიც ცნობილია თავისი განსაკუთრებული ხედვით კარდში (ჩაცმულობის, მაკიაჟის, განათების, გარემოს), „ღირიფორობდა“ გადაღებებს, რომელიც ჩინეიტასა (რომში ყველაზე ცნობილი კინოსტუდია) და დინო სტუდიაში თვენახევარი მიდიოდა. ქეთის თქმით, იმ პირობებში, როცა ფილმის გადაღებისას შესაძლებელია ერთი, ორი, სამი და ა.შ. დუბლის ჩაწერა, „მსახიობები ჩანერდნენ ერთ დუბლს, არ გამოვიდოდა, გაიზმორებოდნენ, ჩანერდნენ მეორეს, მესამეს და ასე, სანამ არ გამოუვიდოდათ“. საურა კი განცვიფრებული დაუტოვებიათ თეატრალებს, ამბობდა თურმე: „ვინ ხართ ეს ოპერის მომღერლები, რა ხალხი ხართ, ასე ორ დუბლში რომ გამოგდით ყველაფერიო! „კინოს მსახიობისგან განსხვავებით, როდესაც თეატრალი სცენაზე დგას და ათეულობით მეტრი ნინ აქვს მაყურებელამდე“, არ ჩანს მისი მიკროსკოპით გადიდებული ნაკვთები, სამაგიეროდ, მისი გამოსვლა მაყურებლის წინაშე იდეალურ შესრულებას მოითხოვს, იდეალური შესრულება კი – მუდმივ ვარჯიშსა და გაუთავებელ მეცადინეობას. ოპერის მომღერალს ხომ ერთი წამი აქვს, იმ წამში უნდა იმღეროს, წამი არ მეორდება, არც მონტაჟდება. კარგია, ცუდია, რჩება როგორც არის. ამგვარ რეჟიმს მიჩვეულ არტისტს კი სრულებითაც არ გასჭირვებია პირველსავე ან მეორე დუბლზე მაინც ჩანე-

რა ავსტრიელ და იტალიელ ვარსკვლავებთან ერთად. კვლავ წარმატება, ახლა უკვე კინოშიც, თვითონ ფილმს კი არაერთი გამარჯვება ერგო კინოს საერთაშორისო ფესტივალებზე.

და კიდევ

წარმატებული ადამიანი იცვლება. კარგისკენ. ცუდისკენ. იცვლება. დღეს არის, ხვალ – არა. „შეიძლება ერთ დღესაც გაიღვიძო და ხმა ვეღარ ამოიღო“. წარმატებამ სიფრთხილე ასწავლა, თითქოს კარიერის დასაწყისში უფრო მეტბრძოლი იყო, ახლა – ნაკლებად. უფრო მონესრიგებული გახდა და კიდევ? გაგიკვირდებათ და სიყვარულიც ამ გზაზე უსწავლია, თანაც უცხო ქვეყანაში. ქეთის თქმით, იქ ყველაფერი გიყვარს, გიყვარს შენი სახლი, სადარბაზო, სამსახური: „სიყვარულის მომენტი, ვფიქრობ, უცხოეთში ვისწავლე, პატივისცემა ვისწავლე. ჩვენთან კი ვამბობთ, გვიყვარს და ვგიჟდებით ერთმანეთზეო, მაგრამ ქუჩაში, ტრანსპორტში ან სადმე სხვაგან – არ იგრძნობა ეს სიყვარული... ჩვენ ძალიან გვაკლია ეს სიყვარული... ღიმილი...“

საკონტრაქტო სისტემაზე მომუშავე მსახიობისთვის რთულია ოჯახის შექმნა, რასაც ვერ ვიტყვით ქეთიზე: „ჩემი წარმატება გუნდური მუშაობის შედეგია“. ქმარი, შვილი, დედა... ყველას თავისი წილი საქმე აქვს. ქეთი პირველი ერთი წლის განმავლობაში კულისებშიც აჭმევდა თურმე ბავშვს. კოლეგები სიცილით კვებოდნენ, როდესაც დიუსელდორფში დადგმულ სპექტაკლზე, რომელიც მწერების უფლებების დაცვას ეძღვნებოდა და ქეთი პეპელას როლს ასრულებდა, შუა ანტრაქტზე გავარდებოდა სცენიდან ბავშვთან პეპელას კოსტიუმში გამოწყობილი, აჭმევდა, ეფერებოდა, მერე კი უკან გარბოდა სცენაზე. თურმე თავიდან სხვა ოთახში მყოფ, სათამაშოებში ჩაფლულ ლუკას ეშინოდა „ვიღაც ქალის კივილის“, ვერ მიმხვდარიყო რატომ კიოდა ასე გამწარებული, მაგრამ როცა ცოტა წამოიზარდა, აჩვენეს ბავშვს: „აი, შვილო, დედაშენი ასე მღერის“, – და შეეჩვია. ქეთის თქმით, დედის იავნანას საოპერო ვერსია არ მოსწონს ბავშვს ჯერჯერობით და ბებიას სთხოვს ხოლმე თურმე, მიმღერეთ.



თუმცა ზოგადად დედის ნამღერის კალთაში მოსმენას არაფერი ურჩევნია. გასტროლოგზე ყოფნისას, ლუკა საყვარელ და მზრუნველ მამასთან რჩება. ინტერვიუს ჩანერას ლუკაც ესწრებოდა და იმასაც მოვკარი ყური, როგორ უხმობდა ბავშვი მამას ისე, როგორც დედას ეძახიან ხოლმე. ახლა, როდესაც ოპერის მომღერლები დასში მუშაობაზე მეტად კონტრაქტულ სისტემას ანიჭებენ უპირატესობას, პრესტიჟისა და პონორარის მიღების თვალსაზრისით, ქეთიც აგენტთან ერთად განიხილავს შეთავაზებებს და სასურველი და საინტერესო როლის შესრულებაზეც თანხმდება. თუმცა კონკრეტულად მისთვის და მისი ოჯახისთვის ვენის საოპერო თეატრის დასში მუშაობა ბევრად პრაქტიკული იქნებოდა.

ქეთი შესანიშნავი კულინარიც აღმოჩნდა. მახსოვს ერთხელ ნესვის წვნიანის გემოვნურ თვისებებზე მესაუბრა, მაშინ ვიფიქრე, რაღაც შეეშალა ალბათ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, მართლა აკეთებს ნესვის წვნიანსაც, ბაჟესაც და სუშისაც. სცენაზე გავლის წინა საღამოს კი „ვაპირის ულუფა“ სისხლიან ბიფშტექს იზხადებს და მიირთმევს, როგორც ოპერის მომღერლებს სჩვევიათ თურმე.

სულ მაინტერესებდა, მუსიკის რომელ ჟანრს უსმენდნენ ოპერის მომღერლები და ქეთისთან ინტერვიუს აღების დროსაც ვერ მოვითმინე და ვკითხე. იცით, რა მივიღე პასუხად? „შენ მუსიკა არ გიყვარს“ – თურმე ასე ეხუმრება ქეთის მეუღლე. როცა არ მღერის, არაფერსაც არ უსმენს, თუ არ ჩავთვლით იმას, რასაც ძალაუფლებურად ისმენს ხოლმე: როკი, ქანთრი... „ჩემს თავში მუსიკა ისეთი დოზით არის, თავისუფალ დროს არაფერს ვუსმენ“. ქეთის ლუკას სასაიდროდ წაყვანა, ქართველ მეგობრებთან სკაიპით ჭორაობა, ცურვა და წიგნების კითხვა უფრო ანიჭებს სიამოვნებას. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ქართულ თანამედროვე მწერლობას მშვენივრად იცნობს, ჩემი სტუმრობის დროს კი თორნიკე გურჯინთახის, რომლის შესახებ, სიმართლე გითხრათ, საერთოდ გაგონილიც არ მქონდა, მოთხრობებს კითხულობდა. დავრწმუნდი, თუ რა რიც

მნიშვნელოვანია დროის განაწილება, სწორი დაგეგმვა რამდენი საინტერესო, განსხვავებული, სასურველი რამის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა!

CIAO ანუ ნახვამდის და ბამბარაობა კარგია ისეთ გარემოში ცხოვრება, რომელიც შრომისა და თავდაუზოგაობის სანაცვლოდ უზრუნველ და მშვიდ გარემოს გთავაზობს. „ავსტრია ასეთია: სახლიდან გადახარ, ყველგან კომფორტია, პანდუსი, კომფორტული ტრანსპორტი, ბავშვისთვის ყველგან კარგი გარემოა შექმნილი. ასეთი კომფორტი ბევრ ქვეყანაში არ არის“. მიუხედავად ამისა, საქართველოს მუსიკოს-შემსრუ-

**პარგია ისეთ გარემოში ცხოვრება, რომელიც შრომისა და თავდაუზოგაობის სანაცვლოდ უზრუნველ და მშვიდ გარემოს გთავაზობს. მიუხედავად ამისა, მაინც საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობს.**

ლებელთა III რესპუბლიკური და ახალგაზრდული კონკურსების ლაურეატი მაინც საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობს. მანამდე კი დროს არ კარგავს, თავს არ ზოგავს, მუშაობს და თან ტრავიკული ამერიისის როლზე ოცნებობს დრამატული და პომპეზური ოპერიდან „აიდა“. საინტერესოა, რომ ოპერის მომღერლებსაც ჰქონიათ ისეთი საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელში მონაწილეობაც ეროვნულ საოპერო თეატრში დიდი გამოწვევა იქნებოდა საკუთარი თავისთვის. თავიდან ვიფიქრე, რომელიმე ცნობილი უცხოელი კლასიკოსის ნაწარმოებს მეტყობოდა, მაგრამ შევცდი – ქართული გენი მაინც რა არის – აქაც იჩენს თავს: საუბარი არაყიშვილის ოპერაზე, „თქმულება

შოთა რუსთაველზე“ ყოფილი წარმართისა და ქართული ბუნება. „ვეფხისტყაოსნის“ ხსენება და მის დადგმაში ქართულ საოპერო თეატრში შესრულების სურვილზე ძლივს შევიკავე თავი ემოციებისგან.

რეპეტიციები, სპექტაკლები, ფრენები... მადალენას, როზინას, დორაბელას, კონკიას, ქერუბინოს, სტეფანოს, ამორის, მაჩერატას, ფენენას, პრინცესა კლარისას, იულიუს კეისრის როლები ერთმანეთს ცვლიან მსოფლიო სცენებზე, რომელთაც დროდადრო ბევრი ახალი ემატება. ქეთიმ სულ ახლახან, სექტემბერში, ვერდის „რიგოლეტოდან“ მადალენას პარტია შეასრულა ტოკიოში, ოქტომბერში „ბედის ძალაში“ პრეციოზოლა – ვაშინგტონის ეროვნულ თეატრში, იანვარში – კარმენის როლის შესრულება ელის – ტოკიოს ახალ ეროვნულ თეატრში, თებერვალში – ოლგას ჩაიკოვსკის „ვეგენი ონეგინიდან“ – ნეაპოლის სან კარლოს თეატრში. ვერაფერს იტყვი, მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში ფრენა, რომლის დროსაც შეფუთული და „ჩადრშემოხვეული“ იცავს ხმას, კონცერტები და შუალედებში მუდმივი რეპეტიციები, სპექტაკლები, წარმოდგენილად რთულად მეჩვენება.

ვუსმენ ქეთის, რომელიც საოცარი გაცხებით საუბრობს ოპერაზე, კონცერტებზე, მუსიკაზე. ბედნიერია. ვუყურებ მის გაბრწყინებულ თვალებს და ვრწმუნდები, რომ ოპერა მისთვის ყველაფერია, ოპერის სიყვარულს კონკიას მოთმინება და შრომისმოყვარეობაც ემატება და ვფიქრობ, რომ ერთ დღესაც ვერ გაძლებს კარმენის, მადალენას, პრეციოზოლას ან თუნდაც უკვე მობეზრებული პაჟის გარეშე, მისთვის მუსიკას, ხატვას, ცეკვას, კითხვას – ამ ყველაფერს ერთად ოპერა ჰქვია და თანაც „ძალიან ცხოვრებისეულია, იმდენი ადამიანური მომენტია, გაოცდები“, – აღტაცებით საუბრობს ქეთი. როსინიც ხომ ამბობდა, „ჭამა, სიყვარული, სიმღერა და საჭმლის გადაშეშავება სინამდვილეში ოპერის ოთხი აქტია, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და ისინი შამპანურის ბოთლიდან ამოსულ ბუშტებს ჰგვანან. სულელია ის, ვინც მათ ბოთლიდან სიხარულის/სიამოვნების გარეშე უშვებს“. ეს ციტატა, ვფიქრობ, სწორედ ქეთიზეა ზედგამოჭრილი: ის ბედნიერია.







## მარიამ მარიაძე

# მევიოლინე და მოქალაქე

ავტორი: თამარ სუბელიანი  
ფოტო: ლელი ბლაგონრაპოვა

იმ ადამიანების სახეებს, რომლებიც ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვერ ვიმახსოვრებ. მარიამის სახე არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს მისი ყვავილებიანი კაბა, ვიოლინოს ბუდე, გრძელი, ნაბლისფერი თმა, ხმა და თითები. მახსოვს მარიამის ზურგი – წიგნის მაღაზიაში შევხვდით ერთმანეთს, ქართული პროზის თაროებთან აკა მორჩილაძის რომანებს ათვალიერებდა.

მარიამის სახე არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს მისი ხმა და ისტორიები – მარიამ მაჩაიძე ჯულიარდის მუსიკალური სკოლის ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტია. ჯულიარდი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული თეატრალური ხელოვნების კონსერვატორია, ნიუ-იორკში მდებარეობს და 1905 წელს დაარსდა. აქ სხვადასხვა დროს სწავლობდნენ მაილს დევისი, სტივ რაიხი, ფილიპ გლასი, ჰენრი მანჩინი და სხვა ცნობილი ხელოვნები. დღეს ჯულიარდის მუსიკალურ, დრამატულ და ქორეოგრაფიულ სკოლებში 800-მდე სტუდენტი სწავლობს, მარიამ მაჩაიძის კურსზე – 24 სხვადასხვა ეროვნების მევიოლინე.

### თბილისი და სხვა ქალაქები

მუსიკალურ ოჯახში გაიზარდა, დედა მევიოლინე ჰყავს, ბებია – მუსიკათმცოდნე. ბავშვობაში თურმე დედის ვიოლინოს იპარავდა და თამაშობდა. ხუთი წლისა მასწავლებელთან – ლეო შიუკაშვილთან მიუყვანიათ. ხემსაც ვერ ვიჭერდი და ბატონი ლეო რეზინით მიმაგრებდაო, – იხსენებს მარიამი. ერთი წლის შემდეგ ნიჭიერთა ათნლედში თეიმურაზ ფერაძესთან ჩააბარა. 2007 წლიდან სახელმწიფო კვარტეტის პირველ მევიოლინესთან, კონსტანტინე ვარდელთან სწავლობდა.

პირველად 2002 წელს, ათი წლის ასაკში თბილისში გამართულ ახალ-

გაზრდა მუსიკოსების მეორე ლია კონკურსში იმ იმედით მიიღო მონაწილეობა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებდა. კონკურსამდე ცხელი ზაფხული იყო დარჩენილი და ზარმაცობდა. დედა აიძულებდა ყოველ დღე სამი საათი მაინც ემეცადინა. გავიდა მოსაწყენი ზაფხული და პირველ კონკურსში გამარჯვებული მარიამი მიხვდა, რომ შრომით წარმატებას შეიძლება მიაღწიო. მომდევნო წლებში გერმანიაში, იტალიაში, ლიტვაში, საბერძნეთში, საფრანგეთსა და რუსეთში გამართულ ფესტივალებში მონაწილეობდა. ორ კონკურს ღიმილით იხსენებს – 2005 წელი, მოსკოვი, კონკურსი „მაკნატუნა“ და 2005 წელი, კაუნასი, ლიტვა, – ვივალდის „წელიწადის დროებს“ ორკესტრთან ერთად ასრულებდა, სამი სიმი აუშალა, დაკვრა მაინც განაგრძო. დამსწრე აუდიტორიამ მოგვიანებით ვიოლინო აჩუქა.

ერთხელ არამუსიკალურ – ინგლისური ენის კონკურსშიც გაიმარჯვა და ლონდონში ერთთვიანი ენის კურსის საგზური მოიპოვა. ლონდონში ცხოვრების ერთი თვის მანძილზე თბილისში დაბრუნებამდე დარჩენილ დღეებს ითვლიდა. შიშობდა, ნიუ-იორკში ცხოვრებაც ასე გაუჭირდებოდა.

ბავშვობაში, როდესაც ჰკითხავდნენ, დიდი გოგონა როცა გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდეთო, უყოყმანოდ პასუხობდა: მევიოლინე! მაგრამ 17 წლისას ეჭვები გაუჩნდა – გულწრფელად სურდა მევიოლინე გამხდარიყო თუ იქამდე მუსიკალურ განათლებაში ჩადებული შრომა ენანებოდა? ამავე პერიოდში სცენაზე გასვლის შიშიც გაუჩნდა, დამორგუნველი გახდა აუდიტორიის წინაშე შესრულება. ორი კვირა აღარ უკრავდა, მერე კი საბუთები მხოლოდ ჯულიარდის სკოლაში გაგზავნა.

### NEW YORK! NEW YORK!

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაბარება არ უნდოდა, ბატონ კონსტანტინე ვარდელთან ხომ იქამდეც ვსწავლობდი, სიახლე მჭირდებოდაო. ევროპაში სწავლის გაგრძელებაზე უარი თქვა, მხოლოდ ინგლისური ენა ვიცოდი, ბრიტანეთი კი არ მომწონდაო. არჩევანი ამერიკაზე შეაჩერა. სხვები ოცნებობდნენ ნიუ-იორკზე, ზღაპრულ ქალაქზე, მარიამი – არა. ამერიკა არ იყო მისთვის აღთქმული მიწა, მეგაპოლისმა ჯულიარდის სკოლით მოხიბლა, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორები ასწავლდნენ. არცერთ სხვა მუსიკალურ სკოლაში საბუთები არ შეუტანია. ევროპაში ისე აღგიქვამენ, როგორც უცხოელს, ნიუ-იორკში კი ყველა უცხოა და მაინც ყველა საკუთარ სახლში გრძნობს თავსო, – ამბობს მარიამი.

ძალიან კომუნიკაბელური და აქტიური, ნიუ-იორკში ჩასულს პირველ კვირაში ჯულიარდის სკოლის ყველა სტუდენტი გაუცნია. ყველაზე დიდი გავლენა მარიამზე ამდენმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანმა მოახდინა. დღეს ტაივანელ და ბრიტანელ მეგობრებთან ცხოვრობს და კვირა დღით, სანამ ჯულიარდის სკოლა გაიღება – 11 საათამდე – მათთან ერთად ოჯახურ სადილებს ამზადებს.

სახლიდან ყოველ დღით რვის ნახევარზე გადის. რვა საათზე უკვე ჯულიარდის სკოლაშია და მაშინვე მეცადინეობას იწყებს. სკოლის ადმინისტრაცია სტუდენტებს ხელს უწყობს, სასწავლო გრაფიკი თვითონ შეადგინონ. გაკვეთილებს შორის შუალედებს სარეპეტიციო ოთახში ატარებს.

„ყველაფერი, რაც ჯულიარდის სკოლაში მასწავლეს, იქამდე თბილისში ვისწავლე. აქ მიღებულ ცოდნას ვაღრმავებთ, მაგრამ სწავლა მაინც საკმაოდ რთულია.



ძალიან მოკლე დროში ძალიან ბევრი რამის ათვისება გვინევს. პირველად ორკესტრის რეპეტიციაზე როდესაც შევედი, გვითხრეს, რომ მუსიკა ფურცლიდან უნდა წაგვეკითხა და ისე შეგვესრულებინა. შტრაუსის „დონ ხუანი“ იყო, ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაწარმოები. ისე შევასრულეთ, როგორც თბილისში სამ-ოთხთვიანი მომზადების შემდეგ კონცერტზე შევასრულებდით. შევმინდი, ამას როგორ უნდა ავუწყო ფეხი-მეთქი. იმ დროს ძალიან ბევრს ვმუშაობდი, რომ მზად ვყოფილიყავი რეპეტიციებისთვის. დღეს შევდივარ და პირდაპირ ფურცლიდან ვკითხულობ“, – ამბობს მარიამი.

დღესაც ბევრს მეცადინეობს, ზამთრის სემესტრი იმდენად დატვირთული ჰქონია, სახლში ლამის პირველ საათამდე ვერ ბრუნდებოდა.

ჯულიარდის სკოლაში გავლილმა სამმა წელმა საკმაოდ შეცვალა. მსმენელის წინაშე საკუთარი თავის გამოხატვის აღარ ეშინია, ამას ჯულიარდის სკოლის პროფესორების დახმარებით მიაღწია.

„ჩემი მასწავლებელი სრულყოფილი ადამიანის იდეალია. ფანტასტიკური მასწავლებელია და არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს. იმ წელს, როდესაც ჩავაბარე, კიბო აღმოუჩინეს. ამ სამი წლის მანძილზე ვაკვირდებოდი, ღიმილითა და ოპტიმიზმით როგორ უმკლავდებოდა საკუთარ ავადმყოფობას. მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. პროფესორებისგანაც არასდროს მიგრძნია, რომ ან მე ვარ გამორჩეული, ან რომელიმე სხვა სტუდენტი. ისინი ჩვენს თავისუფალ პიროვნებებად და მუსიკოსებად ჩამოყალიბებას ცდილობენ. ერთი ნათქვამი ფრაზით მსოფლმხედველობას შეგიცვლიან, ცხოვრებას თავდაყირა დაგიყენებენ“.

თბილისში სწავლის დროს მასწავლებლები უთითებდნენ, რა როგორ უნდა შეესრულებინა. იმ დროს ძალიან პატარა ვიყავი, ბევრი რამ არ ვიცოდი, ამიტომ ქართველი მასწავლებლების მეთოდიც სწორი იყო, – ამბობს მარიამი. დღეს ამ გადანყევტილების მიღება თავად უნევს. ჯულიარდის პროფესორები ცალსახად არაფერზე მიუთითებენ, სტუდენტმა თავად უნდა გადანყვიტოს, რას როგორ შეასრულებს, მაგრამ აუცილებლად უნდა ახსნას, რატომ გააკეთა ესა თუ ის არჩევანი.

„მუსიკაში პატარა დეტალები გაძღვევენ შენი ინტერპრეტაციის საშუალებას. ეს დეტალები ხდიან მუსიკოსს ერთადერთად, განუმეორებლად. ჩემთვის სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობა საინტერესო ამით არის. ისინი დეტალებს განსხვავებულად აღიქვამენ“.

ზაფხულობით ჯულიარდის სკოლის სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობენ და მასტერკლასებს ესწრებიან.

მეორე კურსზე ჯულიარდის კამერული მუსიკის ზამთრის ფესტივალში კვარტეტთან და კვანტეტთან ერთად მონაწილეობდა. ამ ფესტივალზე მსახიობები და მოცეკვავეებიც ჩართეს საკუთარ მუსიკალურ ნომერში და ედგარ ალან პოს ნაწარმოების მიხედვით პატარა სპექტაკლი დადგეს.

2011-2012 წლებში მარიამმა აპენის და ფონტენბლოს მუსიკალურ ფესტივალებში მიიღო მონაწილეობა. 2012 წელს სიღვია როზენბერგის მასტერკლასებს დაესწრო, რომელიც ყველაზე მკაცრ მასწავლებლად ითვლება.

მარიამი ახალი ჯულიარდის მონაწილედ არის. ეს ფესტივალი თანამედროვე მუსიკისა და ახალგაზრდა კომპოზიტორების პოპულარიზაციას ეწევა. „საქართველოში მუსიკალური მასწავლებლები გაცილებით უფრო კონსერვატიულია, აქ აზრადაც არ მომსვლია, თანამედროვე კომპოზიტორის ნაწარმოები შემესრულებინა. არც კი ვიცნობდი რომელიმე კომპოზიტორს“. ნიუ-იორკში მის სამეგობროში ხუთი კომპოზიტორია. მარიამიც თხზავს, თუმცა იმპროვიზაციების გაკეთება უფრო უყვარს.

„21-ე საუკუნის მუსიკა აღარ არის ქაოტური, უფრო მელოდიური და ტენდენციური გახდა. შესასრულებლად დღეს შექმნილი მუსიკა ყველაზე რთულია. ადრე ვერც კი ნაწარმოვიდგენდი, ელექტრონული მუსიკის თანხლებით ვიოლინოზე თუ დავუკრავდი. თანამედროვე მუსიკოსებს გიტარა და სხვა პოპულარული ინსტრუმენტები მოსწონთ, ვიოლინოს კი ყველაზე კონსერვატიულ ინსტრუმენტად თვლიან და არ იყენებენ. მაგრამ ამ ინსტრუმენტს ძალიან ლამაზი ბგერა აქვს და შეიძლება თანამედროვე მუსიკალურ ქაოსში სათანადო ადგილი ვუპოვოთ“.

ყველა ჟანრის მუსიკას იმეორებს ცხელ საკუთრებით მოსწონს ის თანამედროვე შემსრულებლები, რომლებსაც ფოლკმუსიკის გავლენა ეტყობათ. ამჟამად მისი საყვარელი მუსიკალური ბენდია Mumford & Sons.

**არჩევანი**

მომავალ წელს ბაკალავრიატს ამთავრებს. კიდევ ერთი არჩევანის წინაშე დადგა – სად ჩააბაროს მაგისტრატურაში. ჯულიარდის სკოლას ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლის, მაგრამ აქ სწავლის გაგრძელება არ უნდა. სურს ახალი სტილით ისწავლოს, ევროპული სკოლების ცოდნაც შეიძინოს. გერმანია-ავსტრიის მხარე ამოარჩია. გერმანული ენის შესწავლა უკვე დაიწყო. რამდენიმე მუსიკალური სკოლა და რამდენიმე მასწავლებელიც შეარჩია, რომლებსაც უნდა ესტუმროს და გაეცნოს. ვაჩვენებ, მე რა შემიძლია და შევამოწმებ, ისინი თუ დამიკმაყოფილებენ ინტერესებსო.

დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნებას და იქ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების მოსწავლეებისთვის გაზიარებას აპირებს. სწავლება ძალიან მოსწონს, ნიუ-იორკში უკვე ჰყავს რამდენიმე მოსწავლე.

ოცნებობს დედოფალ ელიზაბეტისა და ჩაიკოვსკის კონკურსებში გამარჯვებაზე. „ორი ყველაზე ცნობილი კონკურსია. მაგრამ იმისთვის, რომ რომელიმე ამ კონკურსში გამარჯვების შანსი მქონდეს, ვერ კიდევ ბევრი ცოდნის მიღება და შრომა მჭირდება“.

**ხელოვანი და მომალაქი**

ჯულიარდის სკოლის დევიზია „ხელოვანი, როგორც მოქალაქე“. აქ მუსიკის ისტორიასთან და სოლოფეჯიოსთან ერთად ფილოსოფიასაც ასწავლიან. სტუდენტები არისტოტელეს და პლატონს კითხულობენ.

ჯულიარდის სკოლაში სტუდენტური ორგანიზაციებია, რომლებიც სხვადასხვა პრობლემის გამო დაზარალებულ ადამიანებს ეხმარებიან. წელს მარტში მარიამი კურსელებთან ერთად ნიუ-ორლეანში ჩავიდა ქარიშხალ კატრინას მიერ დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. ჯულიარდის სტუდენტებმა



კონცერტი გამართეს და ადგილობრივ ბავშვებს დაკრას ასწავლიდნენ. ერთ-ერთი დაზარალებულს სახლი აუშენეს, მეორეს – შეუღებეს. „ამ დროს მივხვდი, რომ ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ მუსიკით ვანუგეშოთ ადამიანი, არამედ ფიზიკურადაც დავებმართო. ჩვენი ხელით სახლი აგურ-აგურ ავაშენეთ. 24 სტუდენტისთვის ეს საქმე არც ისე რთული აღმოჩნდა. იმ ადამიანებისთვის დიდი სიხარულის მისანიჭებლად მხოლოდ ერთი დღის გაღება იყო საჭირო. სხვებისთვის დახმარების განევა შენც ძალას და სტიმულს გაძღვეს“.

მარიამს სურს, საქართველოს მაცხოვრებლებსაც დაეხმაროს. ნიუ-იორკში ჯულიარდის ორ სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გამართა.

ფიქრობს, რომ მხოლოდ მუსიკით ადამიანებს ვერ დაეხმარები, მაგრამ მუსიკოსებს შეუძლიათ თავი ერთად იმ ადამიანებს მოუყარონ, რომლებსაც დაზარალებული ადამიანებისთვის რეალურად დახმარება შეუძლიათ.

„შევეცდები კიდევ ბევრი საქველმოქმედო კონცერტი გავმართო. მინდა ადამიანებს ვაჩვენოთ, რომ გვერდით ვუდგავართ და მართო არ არიან საკუთარი პრობლემების წინაშე. მინდა ყვე-

ლას ვაჩვენოთ, რომ თუ ვინმეს რაღაც გაუჭირდება, ასე ერთად შევიკრიბებით მის დასახმარებლად“.

### ბახი

ბახის ნაწარმოებების შესრულება მისთვის უდიდესი სიამოვნებაა. სოლო კონცერტებს ყოველთვის მისი კომპოზიციებით ხსნის. ბახი სხვანაირია და ყველაზე რთული შესასრულებელია, ბახი არის ყველაფრის სანყისი და დასასრულიო, – ამბობს მარიამი.

„თუ ისტორია არ იცი, ბახს ვერ შეასრულებ. ნელს ბრაზილიაში ფესტივალზე ბახის ერთ-ერთ კომპოზიციას შევასრულე. მის შესასწავლად ცეკვა ვისწავლე, რომ ტემპი შემეგრძნო და განმეცადა. ბახის შესაგრძნობად ისტორიულად სწორი უნდა იყო. საცეკვაო მუსიკა ისე არ უნდა დაუკრა, რომ მოცეკვავემ ფეხი მოიტეხოს“.

ბახი ერთ-ერთი უძველესი კომპოზიტორია, რომლის ნაწარმოებებმაც ჩვენამდე მოაღწიესო, – მიხსნის, – და ზოგიერთმა ჩანაწერმა არასრულად მოაღწია. ამიტომ არის რაღაცები, რაზეც ვერ ვთანხმდებით მუსიკოსები. ზოგი ნოტი ორნაირად სრულდება და სრულად სხვადასხვა ჰარმონიას ქმნის. შენს ცოდნასა და მოსაზრებაზეა დამოკიდებული, რომელს აირჩევ. საინტერესო

ამიტომაც არის. დასაწყისისთვის ძალიან ადვილი შესასწავლია, შემდეგ ძალიან რთული ხდება. ტექნიკურად ყველა სწორად უკრავს, მაგრამ მასთან ბევრნაირად შეიძლება იყო არასწორი. ბახთან ყველა არასწორია.


### სცენაზე

სცენაზე ბევრი რამ ხდება. არ უყვარს მუსიკის გარშემო შეთხზული ისტორიები. მუსიკას ფერებად ხედავს – ხედავს მზის სხივს, რომელიც წყალში ირეკლება, ან სინითლეს, ან ზღვისფერს. სურს, მსმენელიც იმავეს ხედავდეს.

მარიამისთვის ბევრჯერ უთქვამთ, რომ მისი ყოველი შესრულება სხვადასხვაგვარია. ცდილობს, იმ მსმენელისთვისაც საინტერესო იყოს, რომელიც ერთსა და იმავე კონცერტზე ორჯერ მივიდა.

ზოგჯერ ვერ გრძნობს, რომ სცენაზეა, ზოგჯერ პირიქით – ყოველ მოძრაობას აკვირდება. სცენაზე ჯადოსნური სამყაროა. სამეცადინო ოთახებში რაც ხდებოდა, ყველაფერი ავინყდება და სცენაზე თავიდან ქმნის მუსიკას.

სცენაზე თითქოს სხვადასხვა მარიაში გამოდის, არასდროს ერთი და იგივე, ყოველთვის – სხვადასხვა ფერებით, ყოველთვის სხვადასხვა განწყობით, ყოველთვის ახალი მუსიკით.



# წლის ადამიანები 2013

ავტორი: ბეჟა მაისურაძე  
ფოტო: მაკა გოგალაძე

თუკი განვიხილავთ წელს გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ 2013 წელი ჩვენი ქვეყნის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წელი გამოდგა. მრავალ ისტორიას შორის ათი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბავი ავარჩიეთ, მათი გმირები კი წლის ადამიანებად დავასახელებთ.

შეიძლება არ დაგვეთანხმოთ და გაგიკვირდეთ კიდეც. გაიფიქროთ, რატომ მაინცდამაინც ეს ადამიანები?! მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, წლებანდელი ზაფხული როგორი ცხელი იქნებოდა ხელოვნების ქართველი თაყვანისმცემლებისთვის, მწერალთა სახლის დიდი ხნის განმავლობაში დახურული გრილი ეზოს კარი რომ არ გაღებულიყო... კიდეც უფრო ცხელი იქნებოდა ზაფხული, პარტიზან მებრძოლებს რომ არ ეყოჩაღათ და ჩვენი ბუნება ხელიხელჩაკიდებულებს არ დაეცვათ.

დეკემბერიც უფრო ცივი და სუსხიანი აღმოჩნდებოდა, რომ არა წლის ისეთი მასშტაბური მოვლენა, როგორც „თბილისის კინოფესტივალი“ იყო.

2013 წელი ჯადოსნური აღმოჩნდა ლიტერატურული სამყაროსთვისაც – ფრანკფურტში ქართველების წარმატებებით დაწყებული და გიორგი მაისურაძის მიერ „საბაზე“ სიტყვით გამოსვლით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, მოგეწონათ თუ არა მისი გამოსვლა, ფაქტია, რომ დიდი ხანია პირდაპირ ეთერში არცერთ მწერალს არ უთქვამს ის, რაც ასე საჭირო აღმოჩნდა.

მოკლედ, მიყვებით ჟურნალს და ყოველ მომდევნო გვერდზე ახალ, საინტერესო და აქამდე მხოლოდ კულუარებში გაგონილ ამბებს ამჯერად ჟურნალის ფურცლებზე გაეცანით. როგორც კი კითხვას დაასრულებთ, მიხვდებით, რატომ შეირჩა ეს პიროვნებები წლის ადამიანებად. და თუ მაინც ჩათვლით, რომ ისინი ამ ტიტულს არ იმსახურებდნენ, – არაუშავს! ყველას გვყავს ჩვენ-ჩვენი გმირი.



## ბაბა ჩხეიძე ნინო ანჭაფარიძე

ფილმებს, რომლებიც ჩვენთან საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობენ, ერთი რამ აერთიანებთ: ეს არის თანამედროვე ადამიანის მიერ საკუთარი ადგილის ძიება ცხოვრებაში და საზოგადოებაში დამკვიდრება. ფესტივალის დასრულებისთანავე იწყება მუშაობა მომდევნო ფესტივალზე. ჩვენ არ ვაჩვენებთ ისტორიულ კინოს; ჩვენი მიზანი თანამედროვე თემატიკაზე გადაღებული ფილმების ჩვენებაა და ვთვლით, რომ კონკურსი წელსაც საინტერესო გამოგვივიდა.

ფილმები არ ყოფილა მხოლოდ საერთაშორისო კონკურსისთვის. ისინი გავანაწილეთ სხვადასხვა სექციებში, მაგალითად, როგორებიცაა ევროპული ფორუმი, ჰორიზონტები, – სადაც მსოფლიო კინოს ვაჩვენებთ, – დოკუმენტური კინო ან ქართული პანორამა. წელს, სექციაში რეჟისორი ფოკუსში, ფესტივალს სტუმრობდა ავსტრიელი რეჟისორი ულრიხ ზაიდლი. კინოფესტივალის ფარგლებში ქართველმა მაცურებელმა ნახა რეჟისორის ტრილოგია „სამოთხე“ – „სამოთხე: სიყვარული“, „სამოთხე: რწმენა“ და „სამოთხე: იმედი“. რეჟისორს თან ახლდა ფილმი „სამოთხე: სიყვარულის“ მთავარი როლის შემსრულებელი მარგარეტ ტიზელი. წლევანდელ ჟიურიში კი გვყავდა ამერიკელი რეჟისორი მაიკლ ჰოფმანი, რომლის ერთ-ერთი ნამუშევარია „უკანასკნელი სადგური“, ასევე ირანელი კინემატოგრაფი სამირა მახმადზადე, უნგრელი არქიტექტორი და კინოს მხატვარი ლასლო რაიკი, პოლონელი კულტურის ფილოსოფოსი და კინოკრიტიკოსი მათეუმ ვერნერი. ჩვენი მხრიდან კი ჟიურიში იყო მსახიობი გიორგი ნაკაშიძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლევანდელი ფესტივალი ეძღვნებოდა კინოთეატრებს. თბილისში არსებული 50-მდე კინოთეატრიდან ახლა სამი-ოთხია დარჩენილი; უმეტესობა დაიხურა, მთლიანად დაინგრა ან ფუნქცია დაკარგა. ეს ძალიან მტკივნეული საკითხია, რადგან კინოს სჭირდება საჩვენებელი ადგილი. კინოთეატრს თვისი ფუნქცია არ დაუკარგავს და თუ ის განაგრძობს მუშაობას, აუცილებლად მივა მაცურებელი.

ძალიან გვინდა, მუნიციპალური კინოთეატრების ქსელი გაკეთდეს, თუმცა ეს უკვე ადგილობრივი ხელისუფლების მონდომებაზეა დამოკიდებული. ვერ ვხვდებით, რატომ უნდა შენდებოდეს ქვეყანაში ახალი სტადიონები და ვერ შენდებოდეს დარბაზები. ეს კულტურისთვის დამღუპველია.



## ნატაშა ლომოური

მწერალთა სახლი 2013 წლის აპრილში გაეხსენით, თუმცა სანამ ამას გადაკეთებდით, საკმაოდ მძიმე წელიწადნახევარი გვექონდა, რომელიც რემონტსა და რესტავრაციაში გავატარეთ. თავიდან მხოლოდ მე და მუშები ვიყავით, შემდეგ დამემატა ერთი თანამშრომელი. ამ დროის განმავლობაში ყველა ელოდებოდა როდის გაეხსნებოდა, ამიტომ თავისთავად ძალიან დიდი წნეხის ქვეშ მინეცდა მუშაობა. ვფიქრობდი, რამდენად გავამართლებდით ხალხის მოლოდინს. ახლა სამომავლო გეგმებზე ნაკლებად ვსაუბრობ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრად უფრო მეტი სწორედ ახლა უნდა გაკეთდეს.

მოულოდნელი იყო, რომ ასე უცბად დავიმკვიდრეთ ჩვენი ნიშა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში; მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია; გვინდა, რომ ამ სახლმა უფრო სიღრმისეული დანიშნულება შეიძინოს და არ იყოს მხოლოდ პრეზენტაციების ადგილი. ჩვენი მისიაა ამ შენობას შინაარსობრივი დატვირთვაც ისეთივე ლამაზი მივცეთ, როგორც გარეგნულადაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან გამართული ღონისძიებების 80-90% ლიტერატურული პროექტებია, გვსურს, ეს არეალი კიდევ უფრო განავარცოთ და შეექმნათ კულტურულ-სამეცნიერო გარემო. გარდა კულტურულისა, სახლს ამავე დროს საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს. მგონია, რომ ჩვენთან სამოქალაქო განათლების ძალიან სერიოზული ცენტრი შეიძლება შეიქმნას. მუზეუმების არსებობა კი, რომელთაც გახსნასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ, კიდევ უფრო ფართოდ გააღებს ამ სახლის კარს ხალხისთვის.

წლებანდელი წელი იყო მოთელვითი პერიოდი. საკმაოდ ბევრი ბრძოლა გადავიტანეთ. არც კი ვიცი დამთავრდა თუ არა ეს პროცესი. სახლის გახსნის წინააღმდეგი იყო როგორც მწერალთა კავშირი, ასევე მწერალთა აკადემია. ვიღაცებს ისევ უნდათ ძველი სამუშაო სტილის დაბრუნება და დახურული სივრცის შექმნა. ჩემთვის ამ სივრცის დახურვა მიუღებელია. მწერალთა სახლი არის ღია სივრცე ნებისმიერი ხელოვანისთვის.





## ნატა ფერაძე

ეს წელი პარტიზანი მებაღეებისთვის პირველი და შემოდია ვთქვა – ძალიან წარმატებული იყო. ჯერ სულ 5 თვეა რაც ვარსებობთ და სიმართლე გითხრათ, რეზონანსმა და შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, რასაც გადამწყვეტი როლი აქვს ჩვენ მიერ დასახული მიზნების მიღწევაში, მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა. სრულიად თავისუფალი, არარეგისტრირებული სამოქალაქო მოძრაობა ნელ-ნელა სერიოზულ ძალად იქცა. უკვე გვაქვს კონკრეტული მიღწევები, თუმცა ძირითადი წინ არის და ამისთვის ჯერ კიდევ ბევრი ძალისხმევაა საჭირო. გარდა სამოქალაქო აქტივიზმისა, მნიშვნელოვანია ქალაქმგეგმარებლების, იურისტების, არასამთავრობოებისა და ფონდების მხარდაჭერა, ვისი დახმარებითაც მოხერხდა იურისტების დაფინანსება, რომლებიც ევროპულ ურბანისტებთან ერთად იმუშავებენ და ქართულ კანონმდებლობას ისეთ სახეს მისცემენ, რომ თითო ხის მოჭრაზე აღარ იყოს საჭირო ცოცხალი ჯაჭვით ტერიტორიის დაცვა და ეს უკვე კანონით იყოს დაცული. გაზაფხულისთვის მზად იქნება ჩვენი კანონპროექტი და სარეკრუაციო სტატუსის მქონე ტერიტორიებს ეს სტატუსი შეუნარჩუნდებათ, ჩვენ კი შევძლებთ მშვიდად ძილს და გაუთავებლად მომდინარე საინფორმაციო ნაკადის გამო სადღაც გასაქცევი აღარ ვიქნებით ყოველდღე, თითო მტკაველის დასაცავად. თუმცა ეს ყველაფერი ისევ და ისევ სამოქალაქო აქტივიზმით თუ არ იქნა გამყარებული, ფუჭ შრომად დარჩება – ამ კანონმდებლობის ამოქმედებაში აქტივობა ისევ გადამწყვეტი იქნება.

რუსთავში ასევე დაფუძნდა პარტიზანული მებაღეობა, რომლის მენეჯმენტსაც წარმატებულად ართმევს თავს სოფიკო ბურიძე. იმედი მაქვს, სხვა ქალაქებშიც შემოგვიერთდებიან და მთელ საქართველოს მოვიცავთ. მწვანე პარტიზანობისთვის მხოლოდ საკუთარი სურვილია საჭირო და მეტი არაფერი.

ყველა უნდა მიხვდეს, რომ ჩვენი სახლების იქითაც ჩვენი ქვეყანაა და როცა ამას გავითავისებთ, გაცილებით სასიამოვნო იქნება ამ ქალაქში ცხოვრება.



## დავით ჭიკაშვილი, ირაკლი მაჭარაშვილი

გარემოს დაცვითი საკითხები ძალიან რთული და კომპლექსურია. ხშირად მრავალი წელია საჭირო, რომ შედეგს მივაღწიოთ. საბედნიეროდ, წელს ნაყოფიერი წელი გვექონდა. მაგალითად, გაუქმდა კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც გასულ წელს ნებადართული გახდა საფრთხეში მყოფ, წითელ წუსხაში შეტანილ სახეობებზე ნადირობა. ასევე გაუქმდა კანონი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ კომპანიას შეეძლო გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ გარემოს დაცვის სფეროში დაშვებული ნებისმიერი დანაშაულისთვის პატიება მიეღო.

ყველა გარემოს დამცველის მრავალწლიანი ბრძოლა ახლა კიდევ ერთ შედეგს გამოიღებს: საქართველოს ექნება სახელმწიფო სატყეო პოლიტიკა. რაც შეეხება ხუდონძესს, ეს არის პროექტი, რომელიც ყოველმხრივ პრობლემატურია. ეს ეხება როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ გარემოზე რეაგირებას. ასევე აღმოჩნდა, რომ არანაირი ეკონომიკური სარგებელი არ ჩანს ამ პროექტიდან, არანაირი ენერგეტიკული სარგებელი არ ჩანს და, ამასთანავე, პოლიტიკურ რისკებსაც ზრდის.

ეს არის პროცესის დასაწყისი. ადგილობრივი მოსახლეობა არ არის მარტო. მთელი წლის მთავარი შედეგი ხუდონთან დაკავშირებით ის არის, რომ ამ თემის განხილვა მასობრივად ხდება. ეს პროექტი სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მონეულმა პოლანდიელმა ექსპერტებმა ჩვენი ვარაუდი დაადასტურეს. ახლა იწყება უფრო გაძლიერებული ადვოკატირების კამპანია. დიდი იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ მოუწევს გადასახლება და გამოინახება საუკეთესო ალტერნატიული გზა, რომელიც მინიმალურ ზემოქმედებას მოახდენს როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ისე გარემოზე.



## გიორგი მაისურაძე

განვიღო ნელს შემოძლია სამუშაო წელი ვუნდო და ახლაც, წლის ბოლომდე ასე მომიწევს ყოფნა. რალაცები მოვახერხე, რალაცები ვერ მოვახერხე. სამუშაოსთან დაკავშირებით სხვა იმედები მქონდა, თუმცა ყველაფერს ვერ მოვაბი თავი.

გამოვიდა ჩემი გერმანული წიგნი; მერე ამას მოჰყვა „Kill თბილისი;“ მესამე წიგნის – „მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფლების სული“ – პრეზენტაცია 5 ოქტომბერს გაიმართა. 17 მაისის მოვლენებმა შთამაგონა, რომ ამ თემაზე უნდა გამეკეთებინა წიგნი. გამოვიყენე რადიო „თავისუფლების“ ბლოგისთვის დანერგილი სტატიები, თუმცა რადიკალურად შეცვლილი სახით. „Kill თბილისზე“ მუშაობას წელიწადნახევარი დავუთმე. ამ თემაზე სპონტანურად დავინყე წერა და „ცხელ შოკოლადში“ ვაქვეყნებდი; შემდეგ მივხვდი, რომ რალაც ეტაპიდან ეს უნდა გამხდარიყო რომანი. წიგნის ფორმა ქართული პუბლიკისთვის ნაკლებად ცნობილია და არ ველოდი, რომ განსაკუთრებული ენთუზიაზმით მიიღებდა საზოგადოება.

ძალიან სასიამოვნო იყო ჩემი ორი ჩამოსვლა თბილისში. სიურპრიზი იყო ჩემთვის ის, რომ მიუხედავად დიდი სიძულვილისა, რომლის გამოვლინებაც 17 მაისს მოხდა, გამოჩნდა ძალიან ძლიერი სურვილი, რომ რალაც შეიცვალოს. სხვა თაობაა მოსული, რომელსაც მეფეებით, რაინდებით, მამაოებით და სხვა არაფერზე მდგარი ფუყე აზრებითა თუ იდეალებით ვეღარ დააბოლებ. მათ რალაც სხვა სჭირდებათ, უფრო სერიოზული ინტერესები და უფრო ცოცხალი მოთხოვნები აქვთ. სიცოცხლისგან დაცლილი ტრაფარეტული იდეებისა და იდეალების ფონზე, რომლებმაც მთელი თაობები მონამლა საქართველოში, თითქოს გამოჩნდა ხალხი, რომლისთვისაც ასეთი არაფრისმთქმელი სიყალბეები მოსაბზრებელია; მათ არ სურთ ამით ცხოვრება. ეს ძალიან სასიამოვნო განცდა იყო ჩემთვის. ვფიქრობ, კონტრასტები, რომლებიც მრავლადაა საქართველოში, შეიძლება პირობა იყოს იმისა, რომ სერიოზული კულტურული ძვრები მოხდეს. ამიტომ გამიჩნდა იმედი, რომ საქართველოში მართლა გაჩნდება რალაც საინტერესო და მდგომარეობა შეიცვლება. სწორედ ეს იქნება გამოსავალი იმისგან, რომ მომძლავრებული სიბნელე მოგერიებულ იქნეს.



## ნანა ქაპრიძე

2013 წლის თებერვალში ბერლინის კინო-ფესტივალზე „გრძელი ნათელი დღეების“ პრემიერა გაიმართა და ამის მერე ფილმი მსოფლიოს ბევრ ფესტივალზე იყო წარდგენილი, მათ შორის – ჰონკონგის, პარიზის, სარაევოს, ლოს-ანჯელესის და ტოკიოს კინოფესტივალ-ებზე. ამ ფესტივალებიდან, მთლიანობაში კი 20-ზე მეტი კინოფესტივალიდან, ფილმი გამარჯვებული დაბრუნდა.

ეს წელი მოგზაურობის წელი აღმოჩნდა ფილმისთვისაც და ჩემთვისაც. პრემიერა საქართველოში 19 სექტემბერს გაიმართა და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებამ ძალიან წარმატებულად ჩაიარა. ფილმი ფაქტობრივად 27 000-ზე მეტმა ადამიანმა ნახა და ეს ციფრი თბილისის ორი კინოთეატრისთვის ძალიან კარგი მაჩვენებელია. ამჟამად ფილმი საფრანგეთის და ბელგიის კინოთეატრებში გადის, 19 დეკემბრიდან ჰოლანდიაში, 10 იანვრიდან კი აშშ-ში გამოვა. მომავალ წელს ფილმი სხვა ქვეყნების კინოთეატრებშიც იქნება ნაჩვენები.

ახლა რომ ვნახულობ, ის ქუჩები, სადაც ეს ფილმი გადავიღეთ, უკვე შეცვლილია. ამიტომ, ვფიქრობ, წლების მერე გაცილებით მეტი თანხა დასჭირდებოდა იმ გარემოს გაცოცხლებას, რომელიც ჩვენ ამ ფილმის გადაღებისას შეექმენით. მიხარია, რომ ის დრო, რომელიც ჩემს მესხიერებაში იყო შემონახული, მოვასწარი და ვიზუალურად დავაფიქსირე. შეცვლით ალბათ ფილმში არაფერს შეცვლიდი, ის სცენარი, რაც მე დავწერე, ამ სახით განსხვულდა. ალბათ ერთადერთი, რასაც მომავალში შეცვლიდი, არის ის, რომ მუშაობის დროს უფრო სწორად გავანაწილებდი ჩემს ენერჯიას, იმიტომ, რომ ამ ფილმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს თუ პატარა დეტალს ერთნაირად დიდი ენერჯია დავახარჯე...

ამ ერთი წლის განმავლობაში ფილმთან დაკავშირებით იმდენ კითხვაზე მომიწია პასუხის გაცემა და იმდენი ვისაუბრე ფილმზე, რომ ხანდახან მგონია, მასთან არანაირი კავშირი აღარ მაქვს. ამჟამად წერის პროცესში ვარ, შემდეგ ფილმსაც საქართველოში გადავიღებ და ერთი ქართული ოჯახის ისტორიას მოვყვები.

ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართულ კინოში შესაძლებელია თქვა ის, რისი თქმაც გსურს. მინდა უფრო თამამი იყოს ქართული კინო და ის რეალობა ასახოს, რომელშიც ვცხოვრობთ, ის დაგვანახოს, რასაც ვერ ვხედავთ, ან რისი დანახვაც არ გვსურს.



## ანუკა ლომიძე კოკა ვაშაკიძე

გვინდოდა ისეთი რამე გავგვეკეთებინა, რაც თანამედროვე ხელოვნების შეხვედრის ადგილი გახდებოდა. ეს ჟურნალიც გაკეთდა ქართული თანამედროვე ხელოვნების გაშუქებისა და პოპულარიზაციისთვის. ამ ეტაპზე ძირითადი აქცენტი ვიზუალურ ხელოვნებაზე და კინოზე კეთდება, მაგრამ მეორე ნომრიდან, უკვე ხელოვნების სხვა სფეროებსაც შევხვებით – თეატრს და მუსიკას.

პირველი ნომერი იანვარში გამოვიდა და მსოფლიოში სახელოვნებო განათლების თემას, არაფორმალურ განათლების სისტემას და იმ სკოლებს მიექცენ, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებენ. რა თქმა უნდა, დაწყება მართლაც, მაგრამ შემდეგ დიდ სირთულეებს აწყდები და რადგანაც ამ ყველაფერს დაუფინანსებლად, სრული ენთუზიაზმით აკეთებ, რაღაც ეტაპზე ხვდები, რომ ეს შეუძლებელია და თავსაც ანებებ. შემდეგ ფიქრობ, რომ აზრი არ აქვს დაფინანსების ლოდინს, რადგან თუ რამის გაკეთება გინდა, აუცილებლად უნდა დაიწყო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენთვის და ჩვენიანებისთვის გავგვეკეთებინა ეს პროექტი. თუ ჩვენ გვინდა ევროპის დიდ ოჯახთან გაერთიანება, ჯერ შიდა, არა ჩრდილოელ მონსტრებთან, არამედ სხვა მეზობლებთან უნდა გვეკონდეს კულტურული მიმოსვლა. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სასომხეთის კულტურული ცხოვრების დეტალები პრაქტიკულად ხელმოუწვდომელია ერთმანეთისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის. რეგიონში არ იმართება კულტურული დიალოგი, არ არსებობს წყარო, რომელიც საზოგადოებას რეგიონში მიმდინარე კულტურულ პროცესებს გააცნობდა.

თანამედროვე ხელოვნების შესახებ ინფორმაციის სიმწირე ქმნის ბარიერს მასმედიის სფეროში კულტურის მიმართულებით მოღვაწე ჟურნალისტებისთვისაც, რის გამოც ისინი თანამედროვე ხელოვნებას დილეტანტის დონეზე აშუქებენ. ამასთან, არასაკმარისი შიდა კულტურული ცვლა რეგიონში, ასევე ხელს უშლის საზოგადოებას აღიქვას და გააანალიზოს ხელოვნების მიერ მიწოდებული აქტუალური თემები. ჩვენი მიზანი სწორედ კავკასიური კულტურული კაპიტალის ერთ ადგილას შეგროვებაა – კულტურული დიალოგის აღდგენა რეგიონის ქვეყნებს შორის და კავკასიური თანამედროვე არტის ხელმისაწვდომობა მთელი მსოფლიოსთვის.



we are feminists.

## ბაია პატარაია სალომე ცოფურაშვილი

ამ ეტაპზე ჩვენ რეაქციული ჯგუფი ვართ, ჩვენი ჩამოყალიბებაც ძალიან სპონტანურად მოხდა. იძულებული ხარ, რომ რაც ქვეყანაში ხდება – საკანონმდებლო ცვლილება, პატრიარქის ქადაგება თუ სექსისტური რეკლამა, – ყველაფერზე მოახდინო რეაგირება. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა. აქციის შემდეგ, რომელიც აბორტის სანინალმდეგო კამპანიას აპროტესტებდა, გადავწყვიტეთ ამ საქმიანობისთვის მუდმივი ხასიათი მიგვეცა. ეს არის უბრალოდ თანამოაზრეების და ერთუზიასტების ინიციატივა. ეს არ არის ჩვენი სამსახური, ამიტომ ვისაც რა და როგორ შეგვიძლია, ისე ვაკეთებთ.

აქტივობას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგიანები, სხვადასხვა ინტენსივობით ვიჩენთ. დაფინანსება არ გვაქვს – ეს არის პრინციპული საკითხი. არ გვაქვს განა იმიტომ, რომ ვერ ვშოულობთ, არ გვაქვს იმიტომ, რომ არ გვინდა. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო ვინმეს შემოსავლის წყარო. ეს არის თავიდან ბოლომდე მოხალისეობრივ საწყისზე დაფუძნებული ინიციატივა, ამიტომ ყველაფერს ჩვენი ხელით და ჩვენი ჯიბით ვაკეთებთ.

ჯგუფისთვის ყველაზე რთული ბოლო წელი იყო, განსაკუთრებით 17 მაისი და შემდგომი მოვლენები. რთული პერიოდი ახლაც გვაქვს. ვფიქრობთ, რომ გარდამავალ ეტაპზე ვართ. უფრო კონკრეტულად უნდა განვსაზღვროთ, რას ვაკეთებთ, და რა გვინდა რომ გავაკეთოთ. ეს არის ჩვეულებრივი სირთულე, რომლის წინაშეც ამ გზაზე მიმავალი ნებისმიერი ჯგუფი დგება. ჯგუფს არ ჰქონია წინასწარ შეთანხმებული სამოქმედო გეგმა, ახლა ამის საჭიროება უკვე არსებობს.

ფემინისტები საქართველოში სულ იყვნენ, მაგრამ ასეთი ფემინისტური გაერთიანება აქამდე არ ყოფილა. თვითონ ფემინიზმი არ არის მარტივი და ცალსახა ფენომენი. ფემინიზმში არსებობს მრავალი მიმართულება, როგორც ბრძოლის მეთოდებში, ასევე იდეოლოგიაში. ახლო მომავალში ჩვენ დაინახავთ ამ მრავალფეროვნებას თვითონ ფემინისტებს შორის საქართველოშიც.

2013 წელი ძალიან საინტერესო იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ „ქალთა ფონდის“ მხარდაჭერით გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი „უთქმელი ისტორიები“ – რომელიც youtube-ზე შევიტვირთეთ ნახოთ. ეს არის პირველი ქართველი ფემინისტების, – ეკატერინე გაბაშვილის, ბარბარე ჯორჯაძის, კატო მიქელაძის ისტორიები. აქტივიზმი, რომელიც დამყარებულია იმის რწმენაზე, რომ ყველანი თანასწორი ვართ, აუცილებლად ითხოვს მოქალაქეობრივ ჩართულობას. კარგია, რომ ფემინიზმზე უკვე საუბრობენ; ხშირად პოზიტიურ კონტექსტშიც. ეს ასე უნდა გაგრძელდეს. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ უფრო ჰუმანური, უფრო შემწყნარებელი და უფრო თანასწორი გახდეს ჩვენი საზოგადოება.



## ნათია მიქელაძე თამთა მელაშვილი

წლეუანდელი წელი ჩვენთვის ძალიან კარგი იყო. მარტში, ლაიპციგის წიგნის ფესტივალის ფარგლებში, ნომინირებული გავხდით ახალგაზრდული ლიტერატურის პრემიაზე, უკვე ოქტომბერში, ფრანკფურტში პრიზი ავიღეთ. გერმანიაში აღებული ეს ჯილდო კიდევ იმით იყო სასიხარულო, რომ თანამედროვე ქართული წიგნი გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე.

წელს საქართველო ხელოვნების სხვა სფეროებმაც ასახელეს საერთაშორისო ასპარეზზე, მაგალითად, ფილმებმა, მაგრამ ვიზუალური ხელოვნება უფრო მარტივად ნახულობს თავის გზას. ვერბალური ხელოვნება უფრო რთული გასატანია საზღვრებს გარეთ. „გათვლა“ სტილით უნიკალურია, თარგმანში შესაძლებელი გახდა არ დაკარგულიყო ეს უნიკალურობა. წიგნი ისევე იგრძნო და გულთან მიიტანა უცხოელმა მკითხველმა, როგორც ქართველმა.

გერმანიის ახალგაზრდული ლიტერატურის პრემიაზე სულ 600 წიგნი იყო ნომინირებული. ფინალურ ეტაპზე ჩვენს ნომინაციაში – საუკეთესო წიგნი ახალგაზრდებისთვის ექვსი ავტორი გავიდა. ამ ექვსიდან კი ჩვენ გავიმარჯვეთ.

ეს პრემია ერთადერთი სახელმწიფო პრემიაა გერმანიაში და ახალგაზრდებში კითხვის კულტურის განვითარებას ემსახურება. იქ უამრავი სამკითხველო კლუბი არსებობს და ახალგაზრდები ჟიურისთან ერთად აფასებდნენ ფესტივალზე წარდგენილ წიგნებს.

რამდენიმე წელიწადში საქართველო ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე სტუმარი ქვეყანა იქნება. ეს ძალიან დიდი მოვლენაა და ამისთვის სერიოზული მომზადებაა საჭირო.

ჩვენ ჯერ კიდევ ფრანკფურტში შევპირდით ერთმანეთს, რომ ერთად კიდევ ვიმუშავებთ.



## ემი კორტავა

ნელს დავინწყეთ გაჩუქების აქცია რუსთაველის მეტროსთან, ძალიან გვინდა, რომ რაც შეიძლება მეტი ძალის დავაბინაოთ. მიუხედავად იმისა, რომ აქციაზე ბევრი ადამიანი მოდის, ქართველებს ძალის ჯიშზე აქვთ გართულება და თვლიან, რომ უჯიშო ძალის ძალის არ არის, შესაბამისად, მაისიდან დღემდე მხოლოდ 135 ლეკვი გავაჩუქეთ. მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ცუდი შედეგია. რა თქმა უნდა, ძალებს ასე ბედის ანაბარა არ ვტოვებთ და შემდეგ ვამონებთ როგორ უვლიან ლეკვებს მათი ახალი პატრონები.

პირველად ქუჩიდან ექვსი ლეკვი მოვიყვანე სახლში. სანოვარათი ვზრდიდი და ლამებს ვუთენებდი. ამის შემდეგ ნელ-ნელა ვიყვანდი ქუჩიდან ცხოველებს. ჩვენ ასევე ვეხმარებით ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ ცხოველების მოვლა. ვცდილობთ, რომ დავეხმაროთ და ვაჭამოთ ცხოველებს. ფინანსურად ძალიან გვეხმარება მოსახლეობა, ასევე ვეტერინარები, რომლებთანაც ხშირად შელაგათიან ფასებში ვმკურნალობთ ცხოველებს.

მინდა დროებითი თავშესაფრის გახსნა, სადაც ცხოველებს სტერილიზაციას გაუუკეთებთ. ამას დიდი თანხა სჭირდება, ამიტომ ცხოველები ამ ეტაპზე საკუთარ სახლში მომყავს. საერთო ჯამში, ძალიან კარგი წელი იყო. ბევრი ცხოველი გავაჩუქეთ და ბევრიც გადავარჩინეთ.



# სიმღერა თბილისზე

ავტორი: ლამა ბულაძე

ილუსტრაციანი: გიორგი მარი

*ეს მოთხრობა 2011 წელს დაწერილ პროექტისთვის Citibooks. პროექტში მონაწილე მწერლები სხვადასხვა ქალაქების შესახებ წერდნენ ლექსებს, სტატიებს, ჩანახატებს და მოთხრობებს. მე ორი ქალაქი მერგო წილადა: თბილისი და ტურნაუტი. თუმცა არ ვიცი, რამდენადაა ეს ტექსტი უშუალოდ თბილისზე – მგონი, განაწყენებულ ხალხზე უფრო გამოვიდა. „სიმღერა თბილისზე“ გამომცემლობა deBuren-მა გამოსცა ფლამანდიურ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.*

*ქართულად იბეჭდება პირველად.*

ლ.ბ.

1983 წელია.

მარტი.

ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აქვს, თავს უხეიროდ გრძნობს. აგერ, ავიღოთ თუნდაც საქ სსრ დამსახურებული არტისტი, კომპოზიტორი ლადო მენთეშაშვილი — ის დღეში რამდენჯერმე იზომავს წნევას. ეს ბოლო დღეებია, ისარი ას ორმოცდაათსა და ოთხმოცდაათს შორის ტორტმანებს... კომპოზიტორი წნევის დამწვევებს სვამს. წნევის აღმასვლას ორ მიზეზს უკავშირებს: **A)** ფარული საყვარელი (ყოფილი სტუდენტი ქეთი) და **B)** კომპოზიტორთა კავშირში გამოცხადებული დახურული კონკურსი. ქეთის ამბავი გასაგებია: მძიმეა, როცა ოცდაორწლიანი სტაჟის მქონე, ასოციკლოიან ცოლსა და ოცდაორი წლის სტუდენტს შორის მერყეობ, მაგრამ კონკურსის შემთხვევაში უფრო რთულადაა საქმე. ახლოვდება დედაქალაქის მორიგი ზეიმი (მთავრობის მიერ „თბილისობად“ წოდებული), საქართველოში საკავშირო გენერალური მდივნის ჩამოსვლას ელიან, ხოლო რესპუბლიკის წამყვან კომპოზიტორებს ცენტრალურ კომიტეტში იბარებენ და სთხოვენ, დახურულ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა.

– გეჭირდება სიმღერა თბილისზე,  
– ამბობს ცენტრალური კომიტეტის

მდივანი იდეოლოგიის დარგში, – თანამედროვე, ლამაზი, ადვილად აღქმადი...

დამატებითი დეტალები: გენმდივანს თბილისში ჩამოჰყვება ცნობილი იუგოსლავიელი მომღერალი იოანკა კარლოვიჩი, რომელიც დედაქალაქის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტზე შეასრულებს ახალ სიმღერას.

– ქართველი მომღერალი რატომ არა? – ეკითხებიან ცეკას მდივანს.

– ქართველები ბანკეტზე ვიმღერებთ, – ეძლევათ პასუხი.

„რა საჭირო იყო შიდა კონკურსის გამოცხადება?“ – არ მოსწონთ კომპოზიტორებს, – „პირდაპირ ეთქვათ: შენ დაწერ, ან შენ დაგევალა. რა, არ იციან, ვინ რას წარმოადგენს! ცოცხალი უხერხულად ხომ არ გამოუდით!“



ოდითგანვე ცნობილი იყო, რომ საბჭოური ჩინოვნიკები ტელეპატებით ზუსტად გრძნობდნენ, თუ რა ეფიქრებოდათ ან რა ანუხებდათ კულტურის მუშაკებს. ახლაც, გეგონება, მათი ფიქრის ხმა შემოესმაო, ცეკას მდივანი გამოცდილი და სათნო პედაგოგივით ჰყვება შიდა კონკურსის გამოცხადების მიზეზების შესახებ და ალაგ-ალაგ სტუმართა მსუბუქ ფერებსაც არ ერიდება; სათითაოდ უახლოვდება ექვსივე კომპოზიტორს

(სულ ცენტრალურ კომიტეტში ექვსი სული გამოცხადდა) და მხარზე და წელზე უთათუნებს ხელებს, უცოდველი ბავშვივით შეჰხარის და ისეთ გამომეტყველებას იღებს, თითქოს ერთ დიდ, გაბმულ ბოდიშს იხდიდეს.

– ხალხო, როგორ უნდა აგვეჩვიოთ, აბა? – ამბობს, – განა სამართლიანი იქნებოდა, თქვენგან რომელიმე ერთი გამოგვეძახა ცენტრალურ კომიტეტში და მისთვის მიგვეცა შეკვეთა? ვერ გავბედავით, ბატონო შალვა... ვერ შემოგვადრებდით, ბატონო სანდრო... ვერ გამოგარჩევდით, ბატონო ვლადიმერ... ვერ ავიღებდით ასეთ პასუხისმგებლობას. ყველანი გვეძვირფასებით, ყველა თქვენგანით ვამაყობთ.

კომპოზიტორები იძულებულები ხდებიან, ძალიანაც არ გაიბუტონ (მაღალჩინოსნის გაღიზიანებაც არ ღირს), რადგან ყველა აცნობიერებს, რომ, ასე თუ ისე, ექვსივე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა; ქვეყნად უამრავი კომპოზიტორია, რომელიც ბეჯითად დაწერდა სიმღერას თბილისზე, მაგრამ რჩეულთა შორის მოხვედრის შანსი მხოლოდ ამ ექვსეულს ერგო. ამის არდაფასება კი დაუნახაობაა. მით უმეტეს, ამ პირობებში:

– ძალიან მრცხვენია, საერთოდ რომ ვეხები ფინანსურ საკითხს, მა-





## პროზა

გრამ ესეც სათქმელია, რას ვიზამთ, – განითლებას ცდილობს მდივანი, – საუკეთესო ნიმუშს კულტურის სამინისტროს მიერ დაკომპლექტებული სამკაციაანი ჟიური და პირველი მდივანი გამოავლენენ, გამარჯვებული 50 000 რუბლს მიიღებს პრემიად...

„ჟიურის წევრების ვინაობაა დასადგენი“, – სახე ეფოთლებათ კომპოზიტორებს, – „დარეკვა, ტაქტიანად თავის შესენება“.

– დაბოლოს, – ხმას უკლებს ცეკას მოხელე, – უმორჩილესი თხოვნა იქნება: ჯერჯერობით ნურსად ნამოცდებათ კონკურსის შესახებ. ამის თაობაზე ჩვენ თვითონვე გამოვაცხადებთ თავის დროულად. დაიწყება მერე მითქმა-მოთქმა და ძალიან გავანვალებენ.

წვეიანის ბარბაცით გადის ოთახიდან.

როგორ უნდა წეროს? რა უნდა წეროს? მელოდია სად მოიძიოს? ერთადერთი, რაც ყურში ჩაესმის, ნასტუდენტარი ქეთის ხმაა. საყვარელ სტუდენტს ორი ნაწარმოები უძღვნა (თუმცა წარწერა არსად დაუტოვებია): საფორტეპიანო სუიტა „მდინარე ვერეს ელეგია“ (ერთმანეთს ამ ხეობაში აკოცეს პირველად) და დუეტი კლარნეტისა და დასარტყამი ინსტრუმენტისათვის. მაგრამ ან, გრძნობს, ვერაფერს შექმნის, მითუმეტეს თბილისისათვის (ისე, ამ ქალაქზე, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი სიმღერა აქვს დანერილი) – თვალწინ ნამტირალევი, თვალებამოღამებული ნასტუდენტარი ქეთი უდგას და მხოლოდ ეს ესმის: „თუ გინდა, აბორტს

შემთხვევა, როცა სკოლის მოსწავლეებს გაუჩრებიათ ავტოგრაფის გამოსართმევად („ბატონო ლადო, ძალიან გვიყვარს თქვენი „ტოტზე ვიჯექ, მომკლეს“), მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, რა სიხშირით იბეჭდება მისი პორტრეტი თუნდაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, წესით ბევრად მეტი ადამიანი უნდა აბრუნებდეს მისკენ თავს. ეტყობა, მეტისმეტად ტიპური გარეგნობა აქვს: კეხიანი ცხვირი, შავი უღვაში, მოლიპლიპებული თავი და თმა სარტყელად კეფაზე. ასეთს ხომ ათასობით ნახათ საბჭოური ხანის თბილისში.

„რა მოენონა? რამ მიიზიდა ჩემში? რა უნდოდა?“ – ქეთიზე თუ საკუთარ თავზე ბრაზობს კომპოზიტორი და თავისი ბინის კარს აღებს. ცდილობს, უცებ შეიცვალოს, დამშვიდდეს, ტრადიციულად ომახიანად შეუბღვიროს ასოცილოიან მეუღლეს: „დამირეკა ვინმემ?“, მაგრამ ხმა უწყდება, გული უჩუყდება, რაკი ხვდება, რომ ეს ყველაფერი – ღირსეული ბღვერა, ასოცილოიანი ცოლისა და შვილების კეთილგანწყობა და, რაც მთავარია, ტრადიციული შემოსვლა ბინაში – ერთ ნამში შეიძლება დაკარგოს.

– რა ჩუმაღ შემოხვედი, – ეუბნება ცოლი.

– დამირეკა ვინმემ? – ყელში ბურთი ებჯინება ლადოს.

ცოლს საყვარლად ეკიდება მოფამვალეული მკლავები, მისი კანი, ვარცხნილობა, სუნი, დგომის მანერაც კი სიმშვიდესა და სტაბილურობას აფრქვევს, ცოტაც და კომპოზიტორი ყველაფერს დაფქვავს, პირს მოაღებს და ტირილით მოჰყვება თავისი ცოდვის ამბავს, ყველაფერს იტყვის, – ცოდვებისგან დამცლელი ოყნის გაკეთებას შესთხოვს, სენტემენტალურ ფეკალიად დაიღვრება...

„დარდი მუსიკის წერაში უნდა ჩაკვლა!“.

ლადოს შოსტაკოვიჩის სიტყვები ახსენდება: როგორ ცუდადაც არ უნდა იყო, მაინც ბეჯითად უნდა წერო.

– ისადილებ? – ეკითხება ცოლი.

როგორ უყვართ ჭამა ამ ოჯახში და რა უსამართლობაა აქ მადის დაკარგვა!

# როგორ უნდა წეროს? რა უნდა წეროს? მელოდია სად მოიძიოს? ერთადერთი, რაც ყურში ჩაესმის, ნასტუდენტარი ქეთის ხმაა. საყვარელ სტუდენტს ორი ნაწარმოები უძღვნა (თუმცა წარწერა არსად დაუტოვებია): საფორტეპიანო სუიტა „მდინარე ვერეს ელეგია“ (ერთმანეთს ამ ხეობაში აკოცეს პირველად) და დუეტი კლარნეტისა და დასარტყამი ინსტრუმენტისათვის.

კომპოზიტორ ლადო მენთეშაშვილის გარდა ყველა ცდილობს, როგორმე ცალკე მოიხელთოს ცეკას მდივანი (თითო-თითო პრივატული შესავადრი ყველას მომზადებული აქვს), თუმცა კაბინეტში შეყვონება არც ერთს გამოუდის – ხელს უშლიან ერთმანეთს, პირველი არავინ დგება. უწინ ბატონი ლადოც იგივეს მოინდომებდა, მაგრამ ახლა თავი არა აქვს, მისი გონება და გული ნასტუდენტარ ქეთის უკავია (ფეხმძიმედ ვარო – დღეს დილით გამოუცხადა ასოცილოიანი ცოლისა და ორი ზრდასრულო შვილის პატრონ კომპოზიტორს), ამიტომ ცეკას მდივანს სხვებზე ადვილად თმობს და კოლეგებს უტოვებს ულუფად, თავად

გავიკეთებ, მარტო წავალ, ოღონდ შენ უნდა მითხრა, შენ გადანყვიტო“.

კომპოზიტორი მთვრალივით ფეხარეული მიუყვება ძერჟინსკის ქუჩას. უკან იტოვებს ცენტრალური კომიტეტის წინ მჯდომარე ოქროსფერ ლენინს, გამვლელებს არ იმჩნევს, წარმოსახვით ქეთის მიმართავს:

– მე ნუ მეკითხები... მე არაკაცი ვარ... არაფრის ღირსი არა ვარ...

ცენტრალური კომიტეტიდან მის სახლამდე (ბარნოვის 51-მდე) საკმაოდ გრძელი გზაა. გზად ოთხჯერ ასწრებს ტირილს. კიდევ კარგი, გამვლელები ვერ ცნობენ (როგორც წესი, კომპოზიტორებს იშვიათად თუ ცნობს ვინმე ქუჩაში). თუმცა ყოფილა



- კი, - ძალით შეჭამს, არცერთ ჩვეულებას არ უღალატებს!

თუმცა მანამდე ოთახში შედის. პოეტზე ფიქრობს - პოეტის პოვნაა საჭირო. მუსიკას ლექსის მიხედვით დაწერს. თუ იქნებ ჯერ თემა მოიძიოს? სიმღერების ციკლი „მაია“ და „დადიანის კუპლეტები“ პოეტური ტექსტების მიხედვით შექმნა, ხოლო ცნობილი „მანდოლინა“ თავისთავად, უსიტყვებოდ მოუვიდა თავში. მაგრამ გრძნობს, ახლა არც ასე გამოუვა საქმე, არც ისე. თვალწინ ისევ წარმოსახვითი ნასტუდენტარი ქეთი უდგას და შეგონებასავით უმეორებს: „თუ გინდა, აბორტს გავიკეთებ... თუ გინდა, აბორტს გავიკეთებ“. ეგებ ბარემ ამ სიტყვებზე დაწეროს სიმღერა („თბილისო, ფეხმძიმეთა ქალაქო“), ან - კიდევ უკეთესი - ორატორია

(„არდაბადებულ ბავშვთა სიმღერები“)?

ცუდადაა. საჭმელად გადის. ასოცილოიანი ცოლი ზედმეტ 500 გრამს იმატებს.

ლადო ვერც იმ და ვერც შემდეგ დღეს ახერხებს მუსიკაზე კონცენტრირებას. ქეთი მელოდიებს დეენის მისი გულიდან. დილით ქუჩის ტელეფონის ჯიხურს პოულობს, აპარატში ორკაპიკიანს აგდებს და ნასტუდენტართან რეკავს.

- სალამოს გნახავ, - ეუბნება, - ასე ხუთისთვის, მოიცლი?

- სად? - გამომწვევად მონყენილი ხმა აქვს ქეთის.

- „ჩაის სახლში“.

ჯიხურიდან ათი წლით დაბერებული გამოდის. მადლობა ღმერთს, ვერ ცნობენ.

რა უნდა უთხრას ქეთის ხუთ საათზე? სიყვარული აუხსნას თუ თავი შეაძლოს? ვარდები აჩუქოს თუ ფული შეაჩეროს? სალამომდე დიდი დროა. საინტერესოა, სად უნდა წავიდეს? კონსერვატორიაში? კომპოზიტორთა კავშირში? ვის სთხოვოს შველა, ვის გაუმხილოს გულისნადები? ერთი ძმა ვაკის სასაფლაოზე უნევს, მეორე მოსკოვში ცხოვრობს; ბავშვობის მეგობარ სევასთან საუბარს აზრი არა აქვს, წინასწარ იცის, რასაც ეტყვის. იქნებ შვილ რეზოს დაელაპარაკოს კაცურად? როგორც ბიჭი ბიჭს. არა, ბავშვს ზაფხულში გამოცდები აქვს, ვერ ააღლეგებს - ვაი და, ჩაიჭრას, მერე რაღა ქნას, ვერასდროს აპატიებს საკუთარ თავს! ცუკას მდივანს ხომ არ მიაკითხოს? ფეხებს ვერის ბალში მიჰყავთ. აქაურობას სარეველასავით მოდებიან



მოთენთილი პენსიონერები, – ჯერ აკრთობს, მერე კი, როცა ხვდება, რომ ჭადრაკის სასახლის ვიტრინებში არეკლილი ორფეხა უბედურება არა ვინმე სხვა, არამედ თვითონ ყოფილა, ბასრ და უცაბედ ჩხვლეტას გრძნობს გულში – როგორი ახალგაზრდა, მხნე და ბედნიერი იყო თუნდაც ერთი კვირის წინ... საღამომდე კიდევ ათ წელს დაიკლებს.

კომპოზიტორი ლურჯ მონასტერსთან ყოვნდება და თითქოს იოცებს კიდევ, რატომ შევჩერდიო, თუმცა ადგილიდან არ იძვრის, სოკოსავით ერჭობა მინას. ფიქრობს: „ნეტავ მოქმედია?“, აქეთ-იქით იხედება (გეგონება, არ უნდა, რომ დაინახონ). ეკლესიაში შედის. ასე, ერთი შეხედვით, მთლად არამოქმედსაც არ ჰგავს, მაგრამ აქტიურად მოქმედიც რომ

ფიქრობს: „ახლა შესვენებაა, ესე იგი, ორზე რალაც უნდა მოხდეს“. რჩება. დროს ბაღში ბორილით კლავს. ორისთვის ეკლესიასთან ბრუნდება. შედის. ამჯერად დამლაგებელი ქალიც აღარ ხვდება. ლადო საათზე იყურება – სამის ათი ნუთია.

– რა გნებავთ? – ესმის.  
ლადო ვერ ხვდება, საით გაიხედოს.  
– ღია იყო, – ამბობს, – შესვენებააო, ქალბატონმა...

მღვდელი ყოფილა – დეკანოზი დავითი. კუთხეში მდგარა.

დეკანოზი გაოცებული უყურებს.  
„მიცნო?“ – უკვირს ლადოს.  
– კი ბატონო, რა გნებავთ? – უმეორებენ.

უმნიშვნელოვანესი შეკითხვაა. მართლაც რა ნებაგ? რატომ შემოვიდა ზედიზედ მეორედ?

კი არ გელოდით... ბიჭებო... ში ვმღეროდით თქვენს „ნატვრას“... ჯერ კიდევ ერობაში ყოფნისას, უნივერსიტეტში... ჰო... აღსარება? რაზეა ლაპარაკი... როცა გნებავთ...

კომპოზიტორს მღვდლის ტონი არ მოწონს, ნასვლაზე ფიქრობს, მამა დავითიც, თითქოს ჩანაფიქრს უხვდებაო, მისი სტატუსის შესაბამის გამომეტყველებას იღებს.

– საერთოდ გითქვამთ აღსარება?  
– ეკითხება რალაცნაირად განრიდებულად.

– კი, – პასუხობს ლადო.  
– როდის?  
– დიდი ხნის წინ. ჩემი უფროსი ძმა დადიოდა ეკლესიაში, კალისტრატეს იცნობდა...

– რომელ კალისტრატეს?  
– კათალიკოსს.  
– აჰა.

– კი. ხოდა ვთქვი მეც. სკოლას ვამთავრებდი მაშინ.

– ახლა გნებავთ?  
– შესაძლებელია?  
– თქვენთვის, კი ბატონო.

ლადო დეკანოზთან ერთად შედის საკურთხეველის გვერდით გამოჭრილ ნიშაში. ფიქრობს: „როგორ გადაუშალო გული აბსოლუტურად უცნობ მამაკაცს? მისი სახელიც არ ვიცი“, თუმცა, მისთვისვე მოულოდნელად, რაც ენაზე ადგება (და გულზე აწევს), ყველაფერს ჰყვება; დეკანოზი დავითი შესაშური პროფესიონალურობით უძღვება პროცესს. კომპოზიტორი ნასტუდენტარ ქეთის ასენებს, – ამბობს, რომ მოსვენება დაკარგა მის გამო, და რომ სწორედ ამ მიზეზით საქმესაც კი ველარ ართმევს თავს – აგერ, თუნდაც ცეკაში გამოცხადებულ კონკურსს, და ისე იგზნება, რომ ცრემლები მოსდის, ამხელს ქეთის ფეხმძიმობის ამბავს და დანაოჭებულ ხელებს იფარებს სახეზე.

ორმოც ნუთზე მეტს ლაპარაკობენ.

– თუ უყვარხართ, გააჩენს და ოჯახს არ დაგანგრევენებთ, – ასკვნის დეკანოზი, – მთავარია, მამობაზე არ თქვათ უარი. ნუ მოასპობინებთ სიცოცხლეს. ერთადერთი, პირობებზე უნდა შეუთანხმდეთ. თუ გნებავთ,

**სთლს საყვარლად ეკიდება მოფამფალეპული მკლავები, მისი კანი, ვარცხნილობა, სუნი, დგომის მანერაც კი სიმშვიდესა და სტაბილურობას აფრქვევს, ცოტაც და კომპოზიტორი ყველაფერს დაფქვავს, პირს მოაღებს და ძირილით მოჰყვება თავისი ცოდვის ამბავს, ყველაფერს იტყვის, – ცოდვებისგან დამსვლელი ოყნის გაკეთებას შესთხოვს, სანტიმენტალურ ფეკალიად დაიღვრება...**

არაა, ეს კი ცხადია: შიგნით მხოლოდ დამლაგებელი ქალი ხვდება – სველი ჩვრით ხელში, მუხლებზე მდგომი.

– შესვენებაა, გენაცვალე, – ეუბნება ქალი.

– უკაცრავად, – სწუხს კომპოზიტორი („უცნაურია, ეკლესიებშიც ყოფილა შესვენებები“).

– ორამდე, – აგრძელებს ქალი, და უცებ აცემინებს, – ოი, – იცინის, – გამეყინა ხელები...

ლადოს ენაზე ადგება სიტყვა „იცოცხლეთ“, მაგრამ არაფერს ამბობს – საერთოდ რატომ უნდა შეიმჩნიოს უცხო ადამიანის დაცემინება? გადის. ისევ იკვირვებს: ნასვლა არ უნდა.

მცირე პაუზას იღებს (როგორც მძლავრი ალერგოს წინ თავის ორნანილიან სიმფონიურ პოემაში „უჩინაჩინი“) და ამ სიტყვებს იმდენად ხმადაბლა წარმოთქვამს (ნასტუდენტარი ქეთი იტყოდა: „თოთხმეტ პიანოზე“), გეგონება, ამაზე უხერხული არსად, არასდროს ეთქმოდეს.

– შეიძლება, აღსარება გითხრათ?  
– თქვენ ლადო მენთეშაშვილი არ ხართ? – უღიმის მღვდელი.

„როგორ არ მჭირდებოდა ახლა ეს“, – სწუხს კომპოზიტორი.

– დიახ... კი, – ამბობს.

– უი, როგორ... უჰ... – ეცინება დეკანოზს, – აი, ვის-ვის და თქვენ

ჩემთან მოიყვანეთ, მივცემ რჩევას, გავესაუბრები...

ლადო უცნაურ შეებას გრძნობს – დეკანოზს მადლობას უხდის; უნდა ამომეთქვა, თორემ ინფარქტი დამარტყამდაო, ამბობს. ეკლესიას კმაყოფილი ტოვებს („თუკი ვუყვარვარ, ისე მოიქცევა, როგორც მე მიინდა... თუკი ვუყვარვარ...“); აღსარების თქმამ შეება მოჰგვარა, მეტიც, თითქოს იცის, ქეთის რას ეტყვის, – თითქოს სიტყვებიც მოძებნა, თემაც, მელოდიაც... თამამად გადის ჭადრაკის სასახლის ვიტრინების გასწვრივ – წლები აღარ ემატება.

ეს კაცი ახლა აქ უნდა დავტოვოთ. ან ჩვენს გარეშე, თავად მოაგვარებს თავის პრობლემებს. ჩვენი ინტერესის ობიექტი დეკანოზი დავით მუჯირია. მას უნდა გავყვეთ.

ხოდა, საინტერესო არაა, საით მიდის? სად და იქ, სადაც დიდად არც სიამოვნებს მისვლა, მაგრამ მიზეზთა გამო ხშირად უწევს. ოღონდ ერთი რამ აქვე უნდა ითქვას (ეს მისთვის მნიშვნელოვანია), – იქ თავისი ნებით არ მისულა, იძულებული შეიქნა, შეიძლება ითქვას, მასზე იძალადეს.

რომ ჰკითხო, ჭირივით სძულს ასეთი დღეები. რამდენჯერ მოუმიზეზებია ავადმყოფობა, რამდენჯერ მოუტყუებია მომლოდინენი; მაგრამ ახლა ტყუილის თქმის უფლება არა აქვს – საქვეყნოდ ცნობილ კაცთან, თბილისური ელიტის საყვარელ კომპოზიტორთან მოუწია შეხვედრა. ეს რომ დამალოს – და, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე გაუგოს – სასტიკად დასჯიან. ცნობილებზე განსაკუთრებული მოთხოვნაა, თორემ უბრალო მოკვდავებისთვის (თუკი რაიმე საეჭვოს არ მოჰკრავს ყურს) ჩვეულებრივი მღვდელია.

დავით მუჯირი და ოცდაათობეტი წლის ზაურ ცერცვაძე მეტრო „ოცდაექვსი კომისრის“ უკან, ავლანის ერთ-ერთი სახინკლეს კუპეში ხვდებიან ერთმანეთს. დეკანოზი სამოქალაქო ტანსაცმელშია გამოწყობილი, შეხვედრებზე არასდროს მიდის სასულიერო ტანსაცმლით. საკუთარ თავს პირობას აძლევს, რომ უშიშროების თანამშრომელს არაფერს ეტყვის

კომპოზიტორისა და მისი ნასტუდენტარის რომანის შესახებ, – ამ მთავარ ამბავს ხელუხლებლად შეუნარჩუნებს მუსიკოსს, – სხვა დანარჩენს კი, ჩვეულებისამებრ, მოკლედ, კონსპექტური სახით ჩამოყრის. დღეისთვის ოთხი ამბავი აქვს (ოთხი აღსარება), თითოს შვიდ-რვა წუთს უთმობს, ლადოს მონათხრობს ბოლოსთვის იტოვებს.

– ხშირად დადის ეკლესიაში? – ცხოველ ინტერესს იჩენს ცერცვაძე.

– ჩემთან პირველად მოვიდა.

– რელიგიურია?

– უფროსი ძმა ყოლია რელიგიური, ამჟამად გარდაცვლილია.

– რატომ მოვიდა?

– გარდაცვლილი ძმის პატივისცემით.

– რაზე გესაუბრათ?

– ცხოვრებაზე, პროფესიულ პრობლემებზე, ოჯახზე...

– უკმაყოფილოა საბჭოთა წყობით? – ამ თემას არ შეხებაია.

– გამოხატავს თუ არა საერთოდ რაიმეს მიმართ უკმაყოფილებას?

– მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ.

– ახსენით...

– მუსიკას ვერ წერს.

– მუსიკას ვერ წერს?

და მუჯირი დანვრილებით ჰყვება, როგორ ვერ დაწერა ბ-ნმა ლადომ ერთი ნოტიც კი ცეკაში გამოცხადებული კონკურსისთვის.

– ცეკაში კონკურსი გამოცხადდა? – ცხოველ ცნობისმოყვარეობას იჩენს ცერცვაძე.

– კი, ასე მითხრა.

– საინტერესოა... რა კონკურსია?

– თბილისზე უნდა დაინეროს სიმღერა.

– თბილისზე, როგორც უძველეს ისტორიულ ფენომენზე თუ როგორც თანამედროვე სოციალისტურ ქალაქზე?

– ვერ გეტყვით, არ დაუკონკრეტებია.

– ერთი სიტყვით, შემოქმედებითი კრიზისი აქვს?

– დიახ, ასეა.

– კონკურსი ფულადია?

– არ უთქვამს.

– თქვენ მოგწონთ მისი სიმღერები?

– სტუდენტობის დროს ოთხ ხმაში ვმღეროდით მის „ნატვრას“.

– გასაგებია. სხვა არაფერი?

– არაფერი.

იმლებიან. მუჯირი კმაყოფილი მიდის („მთავარი ამბავი არ გავთქვი“), ცერცვაძე არანორმალურად აღელვებულია. ამჯერად მასვე გავყვებით.

ზაურ ცერცვაძეს მისთვის ჩვეული (სხვებისთვის უცნობი) განცდა ეუფლება – როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ავიწყდება, სად არის, სად მიდის, რა ევალება...

„სიმღერა თბილისზე... სიმღერა თბილისზე...“, მხოლოდ ესლა უტრიალებს თავში. არეული ნაბიჯით მიიწევს მეტროსკენ.

არა, ახლა ვერ ჩავა გვირაბში, სუფთა ჰაერზე ყოფნა სჭირდება... ასეთი რამ იშვიათად ემართება, მაგრამ როცა ემართება, სხვაზე ველარაფერზე ფიქრობს.

არ უნდა მოსულიყო დეკანოზთან შეხვედრაზე – ნეტავ მის მაგივრად სხვა გამოეშვათ! თუ პირიქით, იქნებ კარგაცაა, აქ რომ მოვიდა!

მუსიკა მას შემდეგ შეიყვარა, როცა შვიდი წლის ასაკში პირველად ნახა კინოფილმი „ბაში-აჩუკი“. მთელი ერთი თვე მღეროდა მთავარი გმირის სიმღერას. ოღონდ ისე არა, როგორც ფილმშია, – სხვანაირად, თავისებურად. ნათესავებს ეგონათ, რომ სმენა არა აქვს. მაგრამ ეს არ იყო უსმენი ბავშვის სიმღერა...

ხელი რომ შეეწყოთ, სულ სხვაგვარად წარმართებოდა მისი ცხოვრება. არ შეუწყვეს: უშიშროებაში მიუჩინეს ადგილი. ამ დროს, უკვე ოცამდე სიმღერა ექნება დანერილი. მეგობრებმა იციან. მოსწონთ, აქებენ. ზოგი მღერის კიდევ. იცის დედამაც, თანამშრომლებს არ ეუბნება. ფიქრობს, დასცინებენ. არასერიოზულ კაცად ჩათვლიან. ზოგჯერ თავში მოფრენილი მელოდია აღვიძებს ხოლმე – საწოლიდან ხტება და გიტარაზე უკრავს...

რაც დრო გადის, მით უფრო რწმუნდება, რომ არა თვალთვალისთვის, არამედ მუსიკისთვისაა შექმნილი... მუსიკაა მისი ხსნა...

ახლაც ამას ფიქრობს:

– იქნებ სწორედ ახლაა გადამწყვეტი ფაზა? იქნებ ამ ნიშანს უნდა მოვეჭიდო?

მუსიკალური თემა ვირუსისვით ეტაკება ხოლმე – მელოდიები თავისთავად, ძალდაუტანებლად ეყრებიან თავზე; თხზვის პროცესი მისთვის სიამოვნებაა. მოცარტიც ასე იყო, რადიოდან შეიტყო ერთხელ.

ოდესღაც თამრიკომაც უთხრა, კლასელმა, ნიჭს უნდა გაყვეო (თავად თამრიკო, სამწუხაროდ, სხვას გაჰყვა ცოლად). ჰო, უნდა გაყოლოდა, რამდენ სიბინძურეს აცდებოდა, რამდენ საშინელებას აუვლიდა გვერდს. ლავრენტი ბერიასაც ჰქონია ნიჭი – ხატვა ეხერხებოდაო. მის შვილს ძველი ხატი გაუტეხავს და საკუთარი ხელით აღუდგენია. მთე-

ველარაფერი გამოდევნის მისი გულიდან. მხოლოდ სკლეროზი. მაგრამ მეხსიერება კარგი აქვს, ამაზე არ ნერვიულობს (ერთხელ, სამ წუთში დაიმახსოვრა საექვო სტუდენტთა სამასკაციანი სია).

ცერცვაძე ორ იდეას ატარებს სამი დღის განმავლობაში – მუსიკალურსა და საბედისწეროს; ქალაქის ქუჩებში დადის, ფიქრობს, ბრაზობს. ათჯერ, ოცჯერ ცვლის გადაწყვეტილებას; გეგონება, ერთი კი არა, მრავალი ცერცვაძე დაიარებოდა თბილისის ქუჩებში: „საქმეს უნდა დაფუზრუნდე, შევეშვა სისულელებზე ოცნებას“, „თავი უნდა მივანებო ყველაფერს და მუსიკის ნერა დავინყო, ნერტილი დავუსვა ჩემს ძველ ცხოვრებას, ასე აღარ შემიძლია“, „რას იტყვის დედა? რას იტყვის მამა? რას იტყვიან თა-

ერთი და იგივე: „საექვო ხანაღვანოებს ხვდება...“, „უსმენს რადიო „თავისუფლებას...“, კითხულობს „არქიპელაგ-გულაგს...“, „რეიგანის ფოტო უკიდია სამზარეულოში...“, „მისმა შვილმა რქები მიახატა ლენინს...“, „იყიდა მეორე მანქანა...“, „აგინა ანდროპოვს...“

ნეტა როდემდე უნდა ეცნობოდე ამ ნაგავს! ახალგაზრდები მაინც ნერდნენ, ინფორმატორთა უმეტესობა ოთხმოც წელსაა გადაცილებული – ოცდაათიან-ორმოციან წლებში გამობრძმედილი ხალხი – ძველი სკოლა... ზოგს სულ მთლად აერია გონება – ნახევარი საუკუნის წინ დახვერტილ ხალხზე წერს საჩივრებს. ერთი ქალი, სტაჟიანი ინფორმატორი, ჯიუტად ასმენს 1937 წელს გამქრალ მეზობელს – ვერავინ არწმუნებს, რომ ეს კაცი კარგა ხნის მკვდარია (მეტიც, ხრუშჩოვის დროს რეაბილიტირებული). ახლაც ამ მოხუცის ტექსტის კითხვას იწყებს, თუმცა პირველივე წინადადებაზე ჩერდება („მოგახსენებთ, რომ გუმინ ტრამვაიში შემხვდა...“), ქალაღდებს უჯრაში ტენის, ნათურას აქრობს და სრულ წყვიდადმი ეფლობა. ზის ასე, სიბნელეში და საკუთარ თავს ელაპარაკება: „თუ არ წავედი, დავიღუბები, ადამიანები შემძულდებიან, ცოლს ვეღარ მოვიყვან, შვილების გაჩენა არ მომინდება“.

ზაურ ცერცვაძის სამსახურს ორი გამოსასვლელი აქვს – ერთი ჩიტაძის ქუჩის მხრიდან, მეორე ძერჟინისკის. ცერცვაძე, ტრადიციულად, მეორე გამოსასვლელიდან გამოდის (სწორედ ამ სადარბაზოდან გამოდიოდა თავის დროზე ლავრენტი ბერია), შუა ქუჩაზე დგება და თავის სამსახურს აპყურებს. „იქნებ აღარც ღირდეს აქ დაბრუნება“, ფიქრობს.

უკვე მერამდენე დღეა, სახლში ფეხით მიდის. უსაშველოდ იხანგრძლივებს სახლში მისვლის პროცესს, მელოდიებს თბილისის ქუჩებში დაეძებს. მელოდიებსაც არა – ერთ ისეთ მუსიკალურ თემას, რომელიც საბოლოოდ გაამყარებს მის გადაწყვეტილებას.

აბანოთუბანში ჩადის, ხარბად ისუნთქავს „ჭრელი აბანოდან“ ამო-

დეკანოზი სამოქალაქო თანსაცმელშია გამონყოფილი, შეხვედრებზე არასდროს მიდის სასულიერო თანსაცმლით. საკუთარ თავს პირობას აძლევს, რომ უშიშროების თანამშრომელს არაფერს ეტყვის კომპოზიტორისა და მისი ნასტუდენტარის რომანის შესახებ, – ამ მთავარ ამბავს ხელუხლებლად შეუნარჩუნებს მუსიკოსს, – სხვა დანარჩენს კი, ჩვეულებისამებრ, მოკლედ, კონსპექტური სახით ჩამოყრის.

ლი ლამე ხატავდა. ნეტა ხატმწერი გამოსულიყო!

ცხოვრება გავიდა ამაზე ფიქრში! იმის მაგივრად, რომ მუსიკა წეროს, არასაიმედო სახელმწიფო ელემენტებს დასდევს. საშინელებაა. როგორც კი დეკანოზმა „სიმღერა თბილისზე“ ახსენა, მაშინვე მელოდიათა კასკადი დაეპენტა თავზე, ხმაც კი აღარ ესმოდა მთხრობელის, გული რიტმებად აუჩქარდა და ყურში მკაფიოდ ჩაესმა გიტარის სიმის ხმა...

ზაურ ცერცვაძეს ერთი სული აქვს, გიტარაზე დაუკრას, რამდენიმე აკორდი აიღოს. ასეც შერება, უკრავს და მშვიდდება. ამ მელოდიას ან

ნამშრომლები? მიმიღებს კი მუსიკალური საზოგადოება?“, „თამრიკოს გაუხარდება? ვემახსოვრები, ქმარს მიატოვებს?.. რა სასაცილო ვარ“.

ცერცვაძე გვიანობამდე რჩება სამსახურში – ანონიმურ საჩივართა ტექსტებს ეცნობა. გამოცდილ ინფორმატორებს პირველივე წინადადებიდან ცნობს (ყველას თავისი სტილი აქვს): „გაცნობებთ რომ...“, „მინდა, მოგახსენოთ...“, „მოვალე ვარ, შეგატყობინოთ...“ როგორი ინტერესით ეცნობოდა უწინ ამ ტექსტებს, ახლა კი თვლენა ერევა, არ სიამოვნებს, ასეთ სისულელებზე რომ ხარჯავს ძვირფას დროს. სულ ერთი და იგივე,



მაველ გოგირდის სუნს და იმასაც ფიქრობს, ბარემ საერთო-სახალხო საშხაპეში ვიბანავებო, მაგრამ ვერ რისკავს – ეშინია, რომელიმე თანამშრომელს, ან თანამშრომელთა ჯგუფს არ შეეფეთოს (აქ მოსვლა და მობანავე ხალხის თვალთვალი ჩინით მასზე ქვემდგომებს ეკუთვნით), რა გარანტია აქვს, რომ კოლეგები არ დაფრთხებიან მისი დანახვისას – ვაითუ, ჩვენც გვითვალთვალებენო!

როგორ სძულს ეს სამსახური! სიმღერას ოჯახური პროფესიის ზიზღი აწერიან. მელოდიის კონტურები ისე იკვეთება, როგორც შიშველ თბილისელთა ტანები ერეკლეს აბანოს გოგირდოვან ნისლში... ცერცვაძე მეჩეთს აპყურებს. აქაც ჭოჭმანობს, ხომ არ ავიდეთ; უნდა, ზემოდან გად-

მოხედოს აბანოთუბანს, თუმცა ვერც ამას ბედავს – მართალია, მეჩეთი მოქმედი არაა, მაგრამ თბილისელ მუსლიმებს თავისი ზედამხედველები ჰყავთ (შიშობს – ვაი და, ამ ადგილებშიც ჩემს რომელიმე კოლეგას გადავეყარო, არასწორი ეჭვები არ აღეძრასო). ცერცვაძის სფერო – ქართული მართლმადიდებლური ტაძრები და მისი მიმდებარე ტერიტორიებია (კათოლიკები, რუსები, ებრაელები და სომხები სხვადასხვა განყოფილებებზეა განაწილებული), ამიტომ მეტეხისკენ ჩადის, მდინარე მტკვართან. სკოლაში ასე ასწავლეს: აქ ჩავარდნილა ვახტანგ გორგასლის ხოხობი. აგერ, ქვის გორგასალიც თავზე დაჰყურებს – ხელანუელი აარსებს თბილისს. ამაზე ხომ არ დაენერა? „ხოხბის სიმღერა“:

იქ მომკლეს, სადაც ქალაქი დაარსდა... თუ, ეგებ, იქ შემწვეს? კომიკურია, ვერ გაუგებენ. ტექსტზე სხვამ უნდა იფიქროს. თუმცა თავისთავად მშვენიერი თემაა: ხოხბის თვალთ დანახული თბილისი... თბილისი მზვერავის თვალთ...

ცერცვაძე მტკვარს გადაჰყურებს. წყალია ადიდებული. ერთ ათ დღეში ორთაჭალაშესის ჯებირებს ახსნიან და წყლის დონეც დაინევის. მტკვარი არანორმალურად სწრაფად გავარდება აზერბაიჯანისკენ. ცერცვაძეს გენერალ-პოლკოვნიკ მიროტაძის სიტყვები ახსენდება (9 მაისის აღსანიშნავ ბანკეტზე თქმული): „თბილისი ჩემთვის მტკვარია; იქ, სადაც მტკვარი არ არის, თბილისიც არაა“. ცერცვაძეც ასე ფიქრობს (სიმღერის





ტექსტი: ჩემი ცხოვრებაც მტკვარივით მიედინება). ამას ხმამაღლა არასდროს იტყვის, მაგრამ გულწრფელად ეზიზღება საბჭოთა ინტელიგენტთა ელიტური უბანი – ვაკე-ვაკეზე მეტად კი აღმასკომის შედარებით ახალი პირმშო – ათობით ერთნაირი კორპუსით შეთეთრებული ბორცვი – ნუცუბიძის პლატო. ამ დროს, როგორ ამყოფს ამ ახალშენით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მას კი გული ერევა კორპუსებიან თბილისზე. ერთხელ პირშიც მიახალა ინსულტგადატანილ მამას: „პრინციპულად, მამა, პრინციპულად არ ვეთანხმები ინდუსტრიალიზაციის რაიონალურ ახალ გეგმას, ეს თეთრი კორპუსები ვირუსივით მოედება ქალაქს, დააავადმყოფებს, თბილისის სულს მოკლავს!“

დედასთან ერთად ჯდება სამზარეულოში და გიტარით ხელში, პირმომუნული ღიღინებს. როცა დედას მოსწონს, ის ამბობს: „კიდევ ერთხელ დაუკარი“, როცა არ მოსწონს, ხელახლა იწყებს უკვე გარეცხილი თეფშების რეცხვას.

ამჯერად გაურეცხავი რჩება თეფშები.

– ტექსტი არა გაქვს? – ეკითხება დედა.

– ჯერ არა. მოვქებნი.

– შენებს მოასმენინე, მოენონებათ. ზაური თავის ახალ სიმღერებს, როგორც წესი, უახლოესი მეგობრების დაბადების დღეებზე წარმოადგენს ხოლმე, თუმცა ამჯერად ბევრად უფრო სერიოზულადაა განწყობილი – სიმღერის ნოტებზე გადატანა აქვს ჩაფიქრებული. მაგრამ, სამწუხაროდ,

კურსზეა, მაგრამ საოპერო სტუდიის უკვე „ეგვიპტიონის“ ფრაგმენტებისთვის აქვს ნადირიჟორები. დედაბი ერთობლივად გეგმავენ შვილების შეხვედრას. იზოლდა, თავის მხრივ, მოვალედ თვლის, ერთადერთი ვაჟი გააფრთხილოს: „ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, ეგ ბიჭი კაგებებში მუშაობს“. მომავალი დირიჟორი და კაგებებიდან წამოსასვლელად მზადმყოფი ცერცვაძე ავლაბრის სახინკლეში ხვდება იან ერთმანეთს (ზაურს განსაკუთრებულად უყვარს ეს ადგილი). მერაბი ისმენს, ცოტას ლაპარაკობს (როგორც დედამ დაარიგა), ცერცვაძე კი, როგორც იტყვიან, ენას არ აჩერებს, ფაქტობრივად აღსარებას აბარებს მისი სიმღერის ნოტებად ჩამწერ ახალგაზრდას; ამბობს, რომ ბავშვობიდან ოცნებობდა მუსიკოსობაზე და თავის დროზე უსამართლოდ დამორჩილდა ინსულტიანი მამის ნებას, და რომ ახლა შანსი აქვს, ერთხელ და სამუდამოდ მიატოვოს საძულველი პროფესია. ცერცვაძე არ აკონკრეტებს, რა პროფესიისაა, მერაბიც, გაფრთხილებისამებრ, მდუმარედ ისმენს. ეს ბიჭი პირველად ხედავს ასე ახლოდან ცოცხალ თანამშრომელს და შიშისგან (თუ, კაცმა არ იცის, კიდევ რა მიზეზით) მთელი არსებით ექცევა ცერცვაძის, როგორც გრანდიოზული და ყოვლისმომცველი ორგანიზაციის წარმომადგენლის გავლენის ქვეშ. და, შეიძლება ითქვას, წინასწარ მოსწონს მისი ჯერ არმოსმენილი სიმღერა. ბოლოს და ბოლოს, ეს წუთიც დგება: ცერცვაძე გიტარას იღებს (სახინკლეში თავისი გიტარით მოვიდა) და მოგონილი სიტყვებით (უმეტესად, პირმომუნული) ასრულებს სიმღერას. მერაბი აღტაცებულია (თავადაც უკვირს, იმდენად გულწრფელად), ვერ იჯერებს, რომ ცერცვაძე არაპროფესიონალია, „უაღრესად დახვეწილი თემია“, – ამბობს. ცერცვაძე ოფლიანდება, ღელავს, არ იცის, გაუხარდეს თუ პროფესიულ-ექვიანი შეკითხვები დაუსვას. მერაბი, არც მეტი არც ნაკლები, ოთხჯერ ამეორებინებს სიმღერას. ბოლოს მთვრალი კაცი შემოდის მათ კუპეში და ბიჭებს გულაჩუყებული კოცნის – თქვენ გე-

**ხელი რომ შეეწყობო, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა მისი ცხოვრება. არ შეუწყვეს: უშიშროებაში მიუჩინეს ადგილი. ამ დროს, უკვე ოცამდე სიმღერა ექნება დანერვილი. მეგობრებმა იცინან. მოსწონთ, აქებენ. გოგი მღერის კიდევ. იცის დედამაც. თანამშრომლებს არ ეუბნება. ფიქრობს, დასცინებენ. არასერიოზულ კაცად ჩათვლიან. გოგჯერ თავში მოფრენილი მელოდია აღვიძებს ხოლმე – სანოლიდან ხტება და გიტარაზე უკრავს...**

თბილისის სული... აი, რა არის მთავარი! ამ სიტყვებს უნდა ჩაეჭიდოს...

ცერცვაძე გიტარით ხელში ათენ-ალამებს. აზრების გადაბმას ცდილობს, თითებს ისიებს (ერთმა მეგობარმა ურჩია – თუკი გიტარაზე გინდა დაკვრა, ფრჩხილების მოზრდა მოგიწევსო. მაგრამ, აბა, როგორ უნდა მოიზარდოს? ეთაკილება). ჯერ კიდევ წინა ზაფხულს აეკვიცა ეს თემა, ნახევარ ნელზე მეტი ატარა და ახლაც მიხვდა, თურმე, რისთვის ინახავდა. იმდენად მარტივი მელოდიაა, საქართველოს ჰიმნადაც გამოდგებოდა. ცერცვაძის პირველი შემფასებელი დედაა. როცა მამა იძინებს, ზაური

ამას თვითონ ვერაფრით შეძლებს, პროფესიონალი ესაჭიროება. ადამიანი, რომელსაც ნოტების კითხვა (და წერა) ეხერხება. ასეთი კაცის მოძებნაში დედა ეხმარება (თვითონაც მოძებნიდა, თავისი კანცელარიის წყალობით, მაგრამ არ უნდა, რომ მუსიკოსი ცერცვაძის დასახმარებლად უშიშროების სამინისტროში მიღებული გამოცდილება გამოიყენოს). დედა თბილისის ბაქტერიოფაგში მუშაობს, მისი თანამშრომელი კი იზოლდა სამუშაო გახლავთ, რომლის შვილიც, მერაბ წეროძე, კონსერვატორიაში სწავლობს საკომპოზიციო-სადირიჟორზე. მართალია, ეს ბიჭი ჯერ მესამე

ნაცვალეთ, კიდეც ერთხელ იმღერეთო. ცერცვაძე მღერის. კაცი ოცდახუთმანეთიანის ჩუქებას ლამობს, ცერცვაძე მსუბუქად და ზრდილობიანად ეჭიდავება, კაცი არ ცხრება, დაკუჭულ ფულს მერაბს ტენის კისერში (ჟაკეტსა და პერანგს შორის).

ცერცვაძე კაცის გასტუმრებისთანავე ამხელს თავის გულის ნადილს: „მინდა, კონკურსში მივიღო მონაწილეობა“. შეშინებულ მერაბს კვლავაც ეშინია შეკითხვის დასმა.

– არ გაინტერესებს, რა კონკურსია? – ეკითხება ცერცვაძე. და დეკანოზის, უფრო სწორად, ლადო მენტე-შაშვილის, უფრო ზუსტად კი, ცეკას მდივნის სიტყვებს იმეორებს.

„აჰა, თურმე, რა ხდება!“ – ფიქრობს მერაბი. ერთ საათში უკვე სახლში არიან, მერაბთან. ცერცვაძე არ მოჰყვებოდა (მერაბი საბურთალოზე ცხოვრობს, ამ უბანს ზაურის ქვეგანყოფილება ფარავს – უხერხულია, იქ რომ დაინახონ), მაგრამ მერე მაინც ყაბულდება – ფეხებზე იკიდებს პროფესიულ ფობიებს. ბიჭებს იხოლდა ხვდება (და მერაბის მოხუცი ბებია, 83 წლის ოლია ღვინტიძე), „ბინაში არ უნდა მოეყვანა, მიკროფონები არ დაგვიყაროს“, – ფიქრობს. მერაბი ცერცვაძეს სთხოვს, დედას და ბებიას უმღეროს სიმღერა. ცერცვაძეს ერიდება, აღარც ხმა აქვს და აღარც თავი, მაგრამ მაინც მღერის. „მორჩა, ყველა ხიდი დამწვარია, უკვე უცნობებმაც გაიგეს, რა მინდა“. 83 წლის ოლია ღვინტიძე გაოგნებულია, იხოლდა უხერხულად იცინის. მერაბი სანოტო რვეულში ინერს ცერცვაძის სიმღერას. შუალამამდე მუშაობს. ზაური თვალებს არ უჯერებს, ნოტებს გაოგნებული დაჰყურებს: „ასე გამოიყურება ჩემი სიმღერა? ეს მე დავნერე?“. მერაბი მეორე დღეს იბარებს ზაურს – ლამე წავიშუავებ, შეცდომებს გავასწორებო. ცერცვაძე ბოდიშებს იხდის – როგორ მრცხვენია, დრო წაგართვითო, და ბედნიერი მიდის. გადანყვეტილება მიღებულია – ის უკვე კომპოზიტორია.

– ესე იგი, თქვენც იცოდით ცეკაში გამოცხადებული კონკურსის შესახებ? – ეკითხება მერაბი თავის აღმზრდელს, კონსერვატორიის პროფე-

სორს, ცნობილ კომპოზიტორ აკაკი მგელაძეს.

ბატონ აკაკის ის უკვირს, მერაბმა საიდანღა გაიგო, თორემ თვითონ... თვითონ, საერთოდ, იმ ექვსეულშია. ამ ქალაქში არაფერი იმალებაო, ამბობს. ამ დროს, როგორ გააფრთხილეს, საიდუმლოდ შეინახეთო...

– სულ ექვსნი ხართ? – ეკითხება მერაბი.

– ჰო... უფრო სწორად, ხუთნი. ლადო, როგორც ჩანს, გამოეთიშება...

– მენტეშაშვილი? რატომ?

– ინფარქტი აქვს, დილით რეანიმაციაში გადაუყვანიათ.

– საწყალი...

– სალამოს მივალ... ცოლს ხომ ვნახავ...

– კონკურსი მაინც ჩატარდება?

– აბა, რა გგონია, ანდროპოვს ეტყვიან, ინფარქტმა დაარტყა მენტე-შაშვილს და თბილისობას ვერ ჩავატარებთო? შენ საიდან გაიგე?

მერაბი უშიშროების ორგანოებში მომუშავე, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ვინმე ზაურ ცერცვაძის შესახებ უამბობს პროფესორს. ჰყვება იმას, რაც ცერცვაძემ მოუყვა – მის აღსარებას სიტყვა-სიტყვით ამხელს. ასე მითხრა: ეს კონკურსი ჩემი შანსიაო.

– სიმღერაც დაწერა, თან მაქვს, – ამბობს მერაბი.

პროფესორს ეცინება. ასეთი რამ ნიგნებშიც არ წაუკითხავს. იცინის მერაბიც.

– ნორმალურია? გიჟი ხომ არაა? – ეკითხება აღზრდილს.

– რა ვიცი... მუსიკას კი წერს და...

– დავერბოვკებას ხომ არ გიპირებს?

– ნოტები არ იცის. სიმღერა ნოტებზე გადაუფუტანე.

– აუფ, – ეცინება პროფესორს.

– ნუ იცინით, ცოდოა, – ელიმება მერაბს.

– კი ბატონო, წეროს, ვინ უშლის, – ამბობს პროფესორი, – მაგრამ უნდა აწყენინო, მერაბ... ეტყობა, კარგად ვერ გაუგია: დახურული კონკურსია. მარტო ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას. ის ხალხი, ვინც ცეკაში შეირჩა. დებიუტანტს ვინ გაიკარებს! გაზეთებ-

შიც არ დაბეჭდილა, ხომ ხედავ? ასე რომ, ბოდიში-თქო, სხვა დროს... რაც დროზე მოიშორებ, მით უკეთესია.

– აბსოლუტურად გამორიცხულია მისი მონაწილეობა?

– ჩასვამენ, ანდროპოვს თუ დაარეკინებს, – ელიმება პროფესორს.

– ამ დროს, არაა ცუდი სიმღერა.

– კაი, ერთი, შენი ჭირიმე, – იმანჭება პროფესორი.

– მართლა, მართლა...

და მერაბი სანოტო რვეულს აძლევს პროფესორს. პროფესორი ამრეზით ართმევს, ფურცელს ზიზღით დაჰყურებს, თუმცა ცოტა ხანში წარბებს მალლა სწევს და ტუჩების ცმაცუნს იწყებს.

– როგორია? თემაა, არა? – უხარია მერაბს.

პროფესორი ფორტეპიანოსთან მიდის და ცერცვაძის მელოდიას არჩევს.

– შენ დაამატე რამე? – ეკითხება აღზრდილს.

– არც ერთი ნოტი.

პროფესორი ხელახლა უკრავს. ჩერდება. ნოტებს დაბლვერილი სახით შესცქერის.

– პრიმიტიულია, – ამბობს, – მაგრამ ადვილად დასამახსოვრებელი.

– თბილისს მიუძღვნა, სპეციალურად დაწერა, – უხარია მერაბს.

– ჰო, მაგრამ არ მიუშვებენ. ასე, ყველამ ის რომ აკეთოს, ვისაც რა უნდა, სად გაგონილა!

– ვერაფრით დავებმარებით? – მერაბს დანებება არ უნდა, – კაცის გადარჩენაზეა საქმე... შეიძლება ითქვას, სულის გადარჩენაზე...

– ხომ არ შეგიყვარდა, ბიჭო? – ეცინება პროფესორს. მერაბს ღიმილი აშრება სახეზე; ხვდება – თუკი კიდეც იტყვის რამეს, კვლავაც გაგრძელდება შეურაცხყოფები (კარგად იცნობს თავის აღმზრდელს). ამიტომ დუმდება.

– სულს ეგენი ასე ადვილად ვერ გადარჩენენ, – ცხარობს პროფესორი, – უკაცრავად... ასე არაა, მთელი ცხოვრება ნაძირალა იყო და უცებ ანგელოზი გახდეს! სტალინიც წერდა ლექსებს, მაგრამ ის ლექსები ვეღარ უშველის...

მერაბი კამათს არ აპირებს, სანოტო რეველის აღება უნდა.

- იყოს ეს აქ, - აჩერებს აღმზრდელი, - ხვალ მოგცემ.

მერაბს უკვირს, თუმცა არც ამჯერად ამბობს რამეს. მიდის. ალელეზულ ცერცვაძეს კვლავ ავლაბრის სახინკლეში ხვდება. უხსნის, თუ რატომ ვერ შეძლებს კონკურსში მონაწილეობას, მაგრამ იქვე იმაშიც არწმუნებს, რომ გენიალური სიმღერა დაწერა; უმხელს, ჩემს პროფესორს ვაჩვენე და ზედიზედ ორჯერ დაუკრაო. ცერცვაძე იმდენად ბედნიერია ამ აღიარებით, რომ, მიუხედავად გულდანყვეტისა, კონკურსი აღარც ადარდებას - მთავარი ისაა, მუსიკოსებმა რომ აღიარეს, ნიჭიერ კაცად რომ ჩათვალოს.

- იქნებ მთავრობიდან ჩაგერია ვინმე? - ურჩევს მერაბი.

ისე ადვილია უშიშროების სამინისტროდან წამოსვლა - შეიძლება, არ გამოუშვან, წერს განცხადებას, ავსებს მრავალგვარ ანკეტას; მშვენივრად უწყის, რა საშინელ გზაზეც შედგა - ცხოვრებას გაუმწარებენ, დღეში ხუთჯერ დაკითხავენ, ორ (ან მეტ) აგენტს მიუჩენენ და პირდაპირ დაბომბავენ მუქარებითა და დამთრგუნველი გაფრთხილებებით. შესაძლოა, იძულებითი სამედიცინო კვლევაც ჩაუტარონ. მაგრამ მორჩა - ყველაფერი გადაწყვეტილია: საუბარია, არც მეტი, არც ნაკლები, სულის გადარჩენაზე. ამხელა დაწესებულებაში ერთ კაცს მაინც უნდა მიეცეს შანსი.

კვირები გადის, პროფესორი მგელაძე კი ცერცვაძის სიმღერითაა დაკავებული. თხზავს ვარაიციებს,

ცერცვაძე გვიანობამდე რჩება სამსახურში - ანონიმურ საჩივართა ტექსტებს ეცნობა. გამომცდილ ინფორმატორებს პირველივე წინადადებაიდან ცნობს (ყველას თავისი სტილი აქვს): „გაცნობებთ რომ...“, „მინდა, მოგახსენოთ...“, „მოვალე ვარ, შეგატყობინოთ...“ როგორი ინტერესით ეცნობოდა უნინ ამ ტექსტებს, ახლა კი თვლიდა მრავალ, არ სიამოვნებს, ასეთ სისულელეებზე რომ ხარჯავს ძვირფას დროს.

არა, ამას ცერცვაძე ვერაფრით იკადრებს - ჯერ ერთი, ამხელა გავლენა არა აქვს, ორგანოების ერთი რიგითი თანამშრომელია და მეორეც, ცერცვაძე-უშიშროების თანამშრომელი და ცერცვაძე-თბილისზე დანერგილი სიმღერის ავტორი ორი სხვადასხვა პიროვნებაა. საკმარისია პირველმა მეორეს დასახმარებლად მოიმოქმედოს რამე, რომ ამ უკანასკლენს აუცილებლად გათარსავს. მათი გზების გადაკვეთა შეუძლებელია. „როგორი ღირსეული ადამიანია“, ფიქრობს მერაბი, „მგონი, მართლა შემოიყვარდა“. დღამდე სვამენ.

ცერცვაძე სამსახურიდან წამოსვლის პროცედურას იწყებს (არცთუ

ასწორებს. ამ თემამ უკლებლივ ყველა მელოდია გამოუდევნა თავიდან. ნოტებს წითელი ფანქრით აჭრელებს. ვინმე ცერცვაძე აღარც ახსენდება - პირიქით, კმაყოფილიც კია, შურისძიების საშუალება რომ მიეცა ვილაც ვიგინდარა კაგებეშნიკზე; არა კონკრეტულად ამ სიმღერის დამწერზე, არამედ, ზოგადად, უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ მოხელეზე. სიამოვნებას ჰგვრის იმის განცდა, რომ კათარზისის შესაძლებლობას არ აძლევს ჯალათ-მელომანს. მათ კი მისცეს მილიონობით ადამიანს გადარჩენის შანსი? რამდენი დალუპეს, რამდენი მოსპეს! ღმერთო, როგორ

აშინებდნენ თუნდაც მის უმცლეს ორმოციან წლებში, სტუდენტობის უამს... ახლა კი ფეხებს ველარ მოჭამენ, რადგან ამჯერად საკუთარ მოედანზეა - ამჯერად თავად არის მოსამართლე!

პროფესორი ჩხუბობს: „ბანალურია, ბავშვურია, პრიმიტიულია“, თუმცა თუკი რაიმეს უკრავს თავის ინსტრუმენტზე, მხოლოდ ეს მელოდია... მხოლოდ ამ სიმღერითაა მოცული...

- ინფანტილურია... უხერხულად სწორხაზოვანია...

...  
1983 წლის ოქტომბერია. „თბილისობა“. ქალაქი სტუმრებს ვერ იტევს. ქუჩები გადაკეტილია - რეგიონებიდან ჩამოსულები პირდაპირ პროსპექტზე ხარშავენ ხინკალს, წვავენ მწვადს, ჩურჩხელებს ყიდნიან. ქალაქში დამწვარი ხორცის სუნი დგას. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ქაბაბს ჭამენ. სადამოს ხუთი საათია. ხალხთა „დიდი სეირნობა“ დასასრულს უახლოვდება - მოქალაქენი რიყეზე შეგროვილან. მართალია, ძვირფასი სტუმარი (სსრკ გენერალური მდივანი) ვერ ჩამოვიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ადგილობრივი ხელმძღვანელებიდან ყველა ადგილზეა. თეატრონზე თბილისის ჯაზორკესტრის მუსიკოსები სხედან. სცენაზე ცნობილი იუგოსლავიელი მომღერალი, იოანკა კარლოვიჩი დგას და თბილისზე შექმნილ ახალ სიმღერას ასრულებს.

სიმღერის ავტორი ცნობილი კომპოზიტორი, კონსერვატორიის პროფესორი, ბატონო აკაკი (კაკო) მგელაძეა. საქ სსრ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამხანაგმა ედუარდ მევარდნაძემ სწორედ მას გადასცა საპატიო ჯილდო. იოანკა დამტვრეული ქართულით მღერის. მის სიმღერას მთელი საქართველო ისმენს სახელმწიფო რადიოს წყალობით. მელოდია მარტივი, ლირიკული და ადვილად დასამახსოვრებელია. ბ-ნი აკაკის ახალ ქმნილებას რადიოსა თუ ტელევიზიით კიდევ მრავალჯერ გაიმეორებენ. მოედანზე, ხალხს შორის, გამარჯვებული



კომპოზიტორის მონაფე, ახალგაზრდა მერაბ წეროძეც დგას. მერაბი ადვილად ხვდება, რას ისმენს — საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, კარგი სმენა აქვს: ეს ორგანოელი ცერცვაძის მელოდიაა. სწორედ ის, ავლაბრის სახინკლეში რომ მოისმინა ოდესღაც. ოდნავ სახეცვლილი, ორკესტრირებული, მაგრამ მაინც კარგად ნაცნობი. მერაბი გაოგნებულია: „ნუთუ მოპარა? ნუთუ მიითვისა? რალა ნუთუ — ესაა! აქ კი ჩემს მეტი არავინ იცის, რომ გამარჯვებული პლაგიატორია!“. სხვა დროს მერაბი აუცილებლად მიულოცავდა თავის პროფესორს, ახლა კი ხალხში ირევა და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად გაეცალოს აქაურობას. ცხოვრების გაკვეთილიც ამას ჰქვია: ვისგან და პროფესორისგან არ მოელოდა! „რა საშინელი ქალაქია“, ფიქრობს, „მეზიზღება აქაურობა“. გულგახეთქილი შიშობს, რა შეიძლება უქნას მას და

პლაგიატორ პროფესორს განრისხებულიმა და გაქურდულიმა ცერცვაძემ. მერაბი ეჭვობს, რომ ცერცვაძე აუცილებლად გამოაჩენს თავის ჭეშმარიტ (ჭეშმარიტი ორგანოელის) სახეს და პასუხს მოსთხოვს მას და ქურდმგელაძეს. „რა სულელი კაცი ყოფილა“, ჯავრობს აღმზრდელზე, „რა ჰგონია, თავის მელოდიას ველარ იცნობს? ციხეში ამოგვალპობს! შურს იძიებს, გვანამებს! არ გვაპატიებს!“. მერაბი ნაბიჯს უმატებს, ოფლად იღვრება, გეგმებს აწყობს — ეგებ ის ჯობდეს, მოვძებნო და დავარწმუნო, რომ წარმოდგენაც არ მქონდა, ასეთ რამეს თუ იკადრებდაო. თავის თავზე ბრაზობს: „რამ მიმატანინა ნოტები? ნეტა ფეხი მომტეხოდა და კაკოსთან არ მივსულიყავი!“. „უნდა ნავიდე ამ ქალაქიდან“, — უყვირის დედას, — „არ მინდა აქ! რომც არ მინდოდეს, შარში გამხვევენ, შემაძულეს აქაურობა!“. დედას, ქალბატონ იზოლდას,

წითლად აყრის ნერვიულობისგან, — „რა მოხდა?“ — კივის, — „მითხარი, რა მოგივიდა? ვინმეს ეჩხუბე?“  
 ცერცვაძე კი მხოლოდ მეორე დღეს, ტაქსის რადიოდან ისმენს თავის სიმღერას; ისმენს მორიგი დაკითხვიდან მობრუნებული (სამსახურიდან წამოსვლა იმაზე ძნელი აღმოჩნდება, ვიდრე თავიდან ეგონა), ისმენს და უცებ ვერცკი ცნობს... როცა სიმღერა სრულდება, მაშინდა ხვდება, რაც მოისმინა. ჯერ, ცხადია, ფიქრობს: „მომეჩვენა?“, მერე უხარია, ბოლოს კი ცხარობს...  
 ხოდა საინტერესო არაა, რას მოიმოქმედებს? თბილისის რომელი წერტილიდან დაიწყებს სამართლიანობის აღდგენას? რა მიმართულებით ნაიყვანს ტაქსის? ცეკას შენობისკენ? ლურჯი მონასტრისკენ? მერაბის სახლისკენ? ავლაბრის სახინკლისკენ? თუ იქ, სადაც ხოხობი ჩაიხარმა ოდესღაც?



# ჰაატა შამუბიას

# 90-იანები

ფოტო: გურამ ნიბახაშვილი

ფარენჯიტი 90  
ზვი-ა-დი!

- კარგი ყმაწვილი ჩანს! უფროსია?
- შუათანაა, ბატონო ზვიად!
- გამარჯობა შენი!

გამარჯობა-მეთქი და პირდაპირ მაჩემის კისრიდან ჩამოვანოდე ხელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ასე გავიცანი ზვიად გამსახურდია. ექვსი-შვიდისა ვიქნებოდი. პოლიტიკურად ალბათ ყველაზე ინფორმირებული ბავშვი ვიყავი მთელ მაშინდელ საქართველოში. მამაჩემი მხრებზე შემისვამდა ხოლმე და მიტინგებზე დავყავდი. იყო დიდი შეძახილები, ყარაჩოხლური გამოსვლები, გაუმაართოვლები, „გული გაიმარჯე, დავითები“ და რაც მთავარია, გადაბმული, მონოტონური, ეგზალტირებული - ზვი-ა-დი! ზვი-ა-დი! ზვი-ა-დი!

ამიტომაც, როცა 90-იანებს ვიხსენებ, პირველად მიტინგები მახსენდება და მერე სხვა რამეები - ვანდამი, ჩაკ ნორისი, ცეცხლმოკიდებულ საბურავებზე შემომწკრივებული ბირჟავიკები, მოკოლორიტო ძველი ბიჭები, სვისტოკიანი მილიციელები და ჰალსტუხიანი ქურდები, ალტერნატიული პოეზია და მთლად ალტერნატიული როკი...

სინამდვილეში, როცა 90-იანებს ვიხსენებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს თარიღი კი არა, სიმბოლოა, პირობითი ნიშანი, რომლითაც დროს კი არა, მდგომარეობას აღვნიშნავთ. უფრო ზუსტად, არასტაბილურად გარდამავალ მდგომარეობას.

ამიტომაც, ჩემი გადმოსახედიდან, 90-იანი წლები დაიწყო 80-იან წლებში, ქრონოლოგიურად და ონტოლოგიურად გადაიკვეთა 90-იანებში და დასრულდა 2000 წელს.

მართალია, 2000-ში, ზოგის გათვლებით, სამყაროს გარდაუვალი დასასრული (AKA - აპოკალიფსი) გველოდა, მაგრამ მის ნაცვლად მივიღეთ 90-იანების დასასრული. ძალიანაც ლოგიკური იყო: მთელი ეს წლები ისედაც აპოკალიფსურ რეჟიმში მიდიოდა: ცეცხლოვანი წვიმები გინდა? - იყო. ომები და სისხლ(ებ)ი გინდა? - იყო. პერსონალური განკითხვები და ლინჩის სასამართლოები გინდა? - მაგის მეტი რა იყო. საზვერეები ხომ იყო და იყო. მაგალითად, ვაკის საძმოს საზვერეს ვერელი კაცი ძნელად გაივლიდა, ვაკელებს კი, თავის მხრივ, ნახალოვკის საზვერეების გადალახვა უჭირდათ. იყო ამაში რალაც ძალიან საღმრთო და ფატალური. ნუ, ფატალური ნამდვილად იყო.

### ტელევიზორი

ფატალური იყო ტელევიზიაც - აპოკალიფსური ხმის მქონე დიქტორები, სევედიანი კორესპონდენტები და ფართოთვალეებიანი რესპონდენტები - მზასცენარია მაგანი ტრიერისთვის. ფილმები თუ გადიოდა, ძირითადად, პეროიკული ან „ქართულები“ იყო, „ჟიზნენებიც“. მუსიკაც იყო: ნელეები, ჩქარები და როკები, მაგრამ ეგ ტელევიზორში არ ყოფილა, ეგ ცალკე იყო და მაგაზე ქვემოთ დავწერ.

უღმერთოდ „ძერსკი“ კარატისტები (ვანდამი, ჩაკ ნორისი, ბრუს ლიც ალაგ-ალაგ) მთელ უბანს ან კვარტალს ცემაში სულს ამოხდიდნენ და ბოლოს შეყვარებულთან ერთად საფირმო „ჰია-ას“ ძახილით ხელსაც დაგვიქნევდნენ ეკრანებიდან.

ვბაძავდით, გვიყვარდა... ჩაკიც, ვანიც, ბრუსიც და, თუ გაჭირდებოდა, დოღფ ლუნდგრენიც გვიყვარდა. იმ

დროს სხვა ვინ უნდა გყვარებოდა! ტელევიზორში ან ეგენი იყვნენ, ან მარკ რიკინი. ხოდა, გვიყვარდა ეგენი და არა რიკინი. ბოდიში, მარკ!

- მოდი, დე, ნავისპარინგოთ, შენ ჩაკ ნორისი იქნები, მე ბრუს ლი ვიქნებიო. ასე უთხრა ჩემმა მეზობელმა დედამისს. 13-14 წლისა იქნებოდა ის ბიჭი. დედამ ჩაკ ნორისი არ იცოდა, ბრუს ლი გაეგო, სპარინგი გინება ეგონა და გვარიანად „ნაუჰადლეცა“ კიდეც თავის შვილს. შვილმა, თავის მხრივ, გალანუნება სპარინგის დასაწყისად თარგმნა, ერთი ჰიააო, დაახვენება და ბრუს ლისეული მავამი გერი გაუქანა მშობლიურ ყბაში დედა-ჩაკს.

ასე დაიბადა ქართველი ჩაკ ნორისი - გატეხილი ყბით და უხერხულობისგან კარგა ხანს გარეთ ვერგამოყოფილი თავით. დედის გატეხილი ყბა ორ თვეში მოშუშდა. თავის მხრივ, ამ ბიჭსაც მოუშუშდა დალურჯებები, მამამისმა რომ მიაყენა.

ასე მუშაობდა ტელევიზორი. რომენ გარის აქვს საინტერესო პასაჟი „თეთრ ძაღლში“: უსამართლობისგან გამწარებული შაკანინები წვავენ შენობებს, აფეთქებენ მაღაზიებს, ლენავენ ვიტრინებს. ერთ-ერთ ვიტრინასთან ხალხია შეკრებილი და ტელევიზორში უყურებს, თუ როგორ იწვის შენობა. სინამდვილეში ეს ცეცხლმოდებული შენობა ამ მაყურებლებისგან ათ მეტრშია და გაცილებით უკეთ დანახავენ, თუ, უბრალოდ, შემობრუნდებიან, მაგრამ არა! მათ ურჩევნიათ ეს ტელევიზორში ნახონ, ასე უფრო დამაჯერებელია, ასე უფრო ნამდვილია, ტელევიზორი უფრო მართალია, უფრო რეალურია, ვიდრე რეალობა, ის ოთხკუთხა მოსეა, ციმციმა ჰერმესია, რომელმაც რეალობა უნდა განმარტოს.



გარშემო უბნებს შორის სისხლიანი გარჩევები, მკვლელობები, დრამები და ტრაგედიები ტრიალებდა, მაგრამ ეს ბოლომდე არ გვძრავდა, კათარზისს ბოლომდე არ განგვაცდევინებდა. არა, სამწუხარო იყო, ძალიან სამწუხაროც, მაგრამ ასე უნდა მომხდარიყო თითქოს, ფატალისტური მიდგომა გვქონდა. მოკლავდნენ ვინმე ახალგაზრდას, ნავიდოდნენ ჩვენი მშობლები, დაიტოვებდნენ და მერე ცხოვრება ჩვეულად გრძელდებოდა. მაგრამ აი, როგორც კი „რაბინია“ იზაურას ან „პროსტა“ მარიას ბედს საფრთხე დაემუქრებოდა, განგაში ტყდებოდა – ქალები ავად იჯავრებოდნენ, კაცები უხერხულად იშმუშნებოდნენ.

90-იანების მამები და შვილები

კაცები უხერხულად იშმუშნებოდნენ. ქალებიც იშმუშნებოდნენ და ბავშვებიც ვიშმუშნებოდით. კაცებმა ომი წააგეს, ქალებმაც წააგეს ომი, ბავშვებს არაფერი წაგვეგო, მაგრამ ვერაფერი გაგვეგო. ამიტომ შედარებით მშვიდად ვიყავით და ძალიანაც გვიკვირდა, გაფითრებულ მამებს რომ ვხედავდით. არადა, ეს ის მამები იყვნენ, მთებს რომ დაძრავდნენ და ჩვენც იმ ასაკის ვიყავით, ჩვენს მამებს მთები რომ უნდა დაეძრათ, სხვა ვარიანტი რომ არ იყო.

მაგრამ მამებმა, ძირითადად, რამდენიმე ფუთა დაძრეს, შეყარეს ტრაქტორის მისაბმელზე და შეიღებს აფხაზეთიდან პირდაპირ „სადმე შეგვიფარებენში“ გაუძღვენენ.

ახლა, როცა ვანალიზებ იმ შეგრძნებებს, გარემოს, ხალხს, ფერებს, სუნებს – კი, ეს იყო ჩემი პერსონალური 90-იანების დასაწყისი (ოღონდ ეს ცოტა გვიან გავაცნობიერე).

მე იმ ასაკის ვიყავი, როცა გარშემო ყველაფერი კარგადაა – გთბილა, არ გცივა, არ გშია, გყავს „ძველი“ მეგობრები (9-10 წლის კლასელები), გაქვს სახლი... და ამ იდილიიდან უცებ აღმოვჩნდი გარემოში, სადაც ყველაზე გავრცელებული მოვლენა იყო სიბნელე, უშუქობა, შიმშილი, ძარცვა-გლეჯა, მხედრობა, ქურდები, „ბეზარედელი“...

არა, იქამდე მთლად ომი იყო, მაგრამ ეს ომი ჩვენ – ბავშვებს – არ გვხებოდა. ის ჩვენ გარეშე მიდიოდა. ჩვენ მხოლოდ საბოლოო შედეგი შეგვეხო. გვერდზე

სოფლები იბომბებოდა, მაგრამ არ გვეშინოდა. ვიცოდით, რომ ჩვენი მამები ახლოს არავის მოუშვებდნენ. საერთოდაც, თუ ჭკვიანად არ იქნებოდნენ, ამერიკაში გააფრენდნენ ყველას ჩვენი მამები. იმიტომ, რომ ისინი ჩვენი მამები იყვნენ. და მაშინაც ჩვენი მამები იყვნენ, დარცხვენილები, გაფითრებულები და დამარცხებულები როცა ვნახეთ. მაგრამ ესენი იყვნენ უკვე დამარცხებული მამები და ამ მომენტიდან ჩვენ აღარ ვიყავით ბავშვები.

ჩვენ ვიყავით 90-იანელი ბავშვები.

90-იანების პომენია

ჩვენ ვიყავით 90-იანელი ბავშვები, მაგრამ უკვე მოზრდილები, სტუდენტები, განსხვავებულობაზე პრეტენზიის მქონენი, უარაფროები, მაგრამ ძალიან ამაყები.

2000 წელს ჩავაბარე თსუ-ში.

2000 წელს, ჩემი გამოთვლებით, 90-იანები დასრულდა.

2000 წელს მე ვაცნობიერებ, რომ 90-იანი წლები იყო ყველაზე ცუდი და ყველაზე საინტერესო.

მე 2000-იანელთა თაობა ვარ, 90-იანების ბავშვობით.

სტუდენტი ვარ. მყავს შეყვარებული, რომელიც მალევე თხოვდება. ვბრაზდები. ვეძებ სხვა გაბრაზებულებს. ვსვამ და ვმეგობრობ მათთან. ვეცნობით საშინელ წიგნებს, უხარისხო ყდებით, გაღაბნილი ასოებით, გაურკვეველი აზრებით, მეტიც – ურითმო და ურიტმო ლექსებს.

მე გალაკტიონი მიყვარს. ჰა და ჰა, პაოლო. დანარჩენი უნდა გადაყარო, – ვფიქრობ.

მაგრამ გალაკტიონი არ მყოფნის. ჩემს ამღვრეულ მდგომარეობას ეს ფორმები არ ერგება, ზედმეტად ფილიგრანულია, რამე ნაკლებად მონესრიგებული მჭირდება. მერე ისევ ვუბრუნდები იმ გაცრეცილყდიან ავტორებს. და აღმოვაჩენ, რომ ეს „საშინელი“ და „არასწორი“ ლექსები ყველაზე მიმზიდველი ხდება. „მითუხამამირთ შემოდგომას“, „ჯიბის ჰაერი“, „ბენზინის ყვავილები“... მერე და მერე სხვები, მთელი 90-იანები. „საწყალობელ იქნა უბადრუკი გივი, რამეთუ უვარყო ცოლი ჭემმარტი და აღიარა მშვენიერი მირანდა და მოტყნა“.

ვკითხულობ, ძირითადად, ლაპინა როცა სინყნარეა და ქალაქში ბნელა.

როკები...

„ჩემს ქალაქში ბნელა“ – მღეროდა გალენილი მთვრალი რობი კუხინიძე. მე ბოლო რიგში ვიჯექი და ლუდს ესვამდი. აქაც ის დამემართა, რაც 90-იანების პოეზიაზე. ჯერ განზიდვა, რალაც დროის მერე – მიზიდვა.

ჩემს კურსზე 8 ცალი ბიჭი ვიყავით, დანარჩენი – გოგოები. ასეთი იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის ტრადიცია. ამ 8-დან 3 პოეტი იყო, 4 – მუსიკოსი, ერთი – ფილოლოგი. თავიდან, როგორც ვთქვი, გიტარის ფლარუნი დიდად არ მეხატებოდა გულზე, მუსიკოსმა კურსელებმა იმუშავეს. მერე გრძელი თმაც მოვუშვი, ლილოში გაჭირვებით ნაყიდი ჯინსიც ამოვფლითე მუხლებზე და კონცერტებზეც თავს გარდიგარდმო ვიქნევი ხოლმე. ჯერ ბიჭების (კურსელების) შიდაკონცერტებზე, მერე სხვებზეც გადავედი.

ლესელიძეზე რალაც ბუნაგში დამპატიყა მეგობარმა. როკსალამო იყო, რობი იყო, ლადო იყო და სხვების სახელები მთლად ზუსტად არ მახსოვს. მახსოვს ერთი სიმღერა:

„ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო, სათამაშოები გკივია, როგორც ჩემი ყლო“.

აბა როგორ – 90-იანები უხეში იყო. უხეში იყო 90-იანების სიმღერებიც. უხეში, მაგრამ მოძრავი, ცოცხალი. პროტესტის მუსიკაო, ნერენ ახლა. ასეც იყო. საპროტესტოს რა დაღევედა, ასატანზე მეტიც იყო. პანკი, მეტალი, ალტერნატივა... ბევრი სხვადასხვა მიმდინარეობა, მაგრამ საერთო ხაზი – პროტესტი, დაღლილობა (მაგრამ არა ხელების ჩამოყრა), აპათია, ემპათია. 90-იანების ისტორია პოეტებმა და როკ-მუსიკოსებმა დაწერეს. მათ შეითავსეს ისტორიკოსების ფუნქციაც. შეიძლება ამიტომაც მოჩანს ეს პერიოდი ასე მძაფრად და დრამატულად. ხომ იცით, რა საშინელი ხალხი არიან ეს პოეტები და მუსიკოსები.

შენ აფრენ, შენ აფრენ, შენ აფრენ, აფრენ... ლა-ლა-ლა-ლა-ლააა...





# ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი  
 ილუსტრაცია: მანია სუმბაძე

(გაგრძელება; დასაწყისი იხილეთ N 90-95)



## 1993

### ნაწილი პირველი

#### პრინცი

ეს წელი ჩემთვის ხარისხობრივად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რაც უკვე პირველ როკგამოშვებაზეც აისახა. ინგლისური „ტაიმსიდან“ ძალიან კარგი სტატია ვთარგმნე „ბიტლზთან“ დაკავშირებულ განწყობებზე, რომელსაც დაახლოებით იმავე მოცულობის შესავალი წავუძღვარე. სწორედ ამ სტატიის შემდეგ შემომთავაზეს სტატიაში ჩასმა. წინა სტატიებისგან განსხვავებით, აქ ბევრად უფრო გახსნილი ვიყავი და უფრო მეტად ჩანდა ჩემი პირადი დამოკიდებულება თემისადმი. ეტყობა ამანაც განაპირობა დამფუძნებლების გადაწყვეტილება, რომ მოემნიშოდი სტატისთვის.

ახლა არ მახსოვს, მაგრამ ეტყობა სტატიას სათაური არ დავარქვე, რადგან გაზეთში გავიდა სხვისი (რედაქციის) სათაურით, რომელიც ძალიან არ მომწონს – „ბიტლზი“, რომელიც თავის ნებაზე გვათამაშებს“. აქაც არ იგრძნობოდა კორექტორული შეცდომების ნაკლებობა. მშვენიერი კორექტორები გვყავდა, მაგრამ შეცდომე-

ბი მაინც იპარებოდა. ეს შეცდომები უფრო ხშირად შრიფტის კონვერტირებას ახლდა. შეიძლება ზედმეტად დიდ ყურადღებას ვუთმოვ ამ იდიოტურ შეცდომებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ამბებიდან 20 წლის შემდეგაც ქართული პრესა გადავსებულა ანალოგიური ტიპის წუნით.

ამ თემას ალბათ დროდადრო ისევ დავუბრუნდებით ჩვენი თხრობის განმავლობაში, მანამდე კი ვნახოთ რა ხდებოდა მარტის როკგამოშვებაში. პირველ რიგში ის გამრავალფეროვნდა. გაჩნდა ახალი თემა – ქართული როკი. გამოშვებას უკვე გაზეთის ორი გვერდი დაეთმო. საინტერესოა, რომ მთავარ წერილს როკთან ძალიან ბუნდოვანი შეხება ჰქონდა. მისი გმირი ტომ ჯონსი იყო. სამაგიეროდ ქართულ ნაწილს ძალიან ძლიერი როკჯგუფი, „ბლუზ მობილი“ წარმოადგენდა.

ორივე სტატიამ გარკვეული ყურადღება დაიმსახურა. ტომ ჯონსზე წერილი, უფრო სწორედ, იქიდან ამოკრეფილი ფრაზები, სხვა წერილებთან ერთად, გამოქვეყნებიდან ორიოდე წლის შემდეგ „7 დღისა“ და ჩემს გასალანძლად გამოიყენეს. თუმცა ამ თემაზე მოგვიანებით, უფრო შესაფერის ადგილას ვისაუბრებთ. მეორე სტატიამ





კი საფუძველი დაუდო საქართველოში ქართული როკკულტურის გაშუქების ტრადიციას ბექდურ მედიაში. მოკლედ, 1993 წლის 11 მარტს გამოქვეყნებულმა წერილმა – „როკ-ენ-როლი 200 მანეთად“ – მომიტანა არაფორმალური ტიტული, როკ-კრიტიკოსი.

20 წლის წინ დანერგილი სტატიის ნაკითხვამ ჩემში მუსიკალურზე მეტად, იმდროინდელი, ზოგი უკვე დავინყებულ, ყოველდღიურობის ნიუანსებით გამონეული ემოციები გააღვიძა. მეოცე საუკუნის 90-იანი წლები ყოველმხრივ საინტერესო პერიოდი საქართველოს ისტორიაში და მიმანჩია, რომ ყველამ, ვისაც შეუძლია, თავისთვის სასურველი ფორმით უნდა დააფიქსიროს იმდროინდელი, ნებისმიერი მეტ-

ტრადიციული დრო – 16 საათი. დღევანდელი ბილეთის ფასზეც აისახა – 200 მანეთი. ბევრია? ცოტაა? ვერაფერს გეტყვით: იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ ბილეთი ამავე ჯგუფის კონცერტზე ორი წლის წინ მარჯანიშვილის თეატრში ასჯერ უფრო იაფი ღირდა, მაშინ, ალბათ, ძვირია. მეორე მხრივ, ეს მხოლოდ ერთი კოლოფი Magna-ს ფასია. ერთი სიტყვით, მივდივარ.

ოთხს ათი წუთი აკლია. დარბაზში სულ ოცდაათიოდე ადამიანია, აქედან ტელევიზიის რამდენიმე თანამშრომელი. სცენაზე კი პალტოებში და ქურთუკებში გამონყობილი ჯგუფის წევრები ამთავრებენ რეპეტიციას. დათო შუშანიას პალტო აცვია და მღერის.

ბასი და ვოკალი და გიტარა – დასარტყმელი ინსტრუმენტები. ძალაუნებურად გებადება აზრი, რომ მოგელადის Blues Mobile-ში ისევე იცვლებიან მუსიკოსები, როგორც ჯონ მეიელის Bluesbreaker-ში.

...მიუხედავად იმისა, რომ შესრულების დონე მაღალია და პროფესიული, მსმენელი ისე ენერგიულად არ გამოხატავს ემოციებს, როგორც მათ ადრეულ კონცერტებზე. შეიძლება ეს სიცივის ბრალია, ან სიზარმაცის. მსმენელს თითქოს ეზარება თბილი ჯიბიდან ან უბიდან ხელის ამოღება ტაშის დასაკრავად. სცენაზე კი ცხელა.

...კონცერტის ბოლოს, დასავლეთის როკ-შოუების ტრადიციებისამებრ, მოგელადეს სცენაზე გამოჰყავს ქართული

როცა კონცერტის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე სახელმწიფოს მეთაურის უმძიმეს განცხადებას ისმენ საომარი მდგომარეობის შესახებ, მომავალი კონცერტი, რომელსაც წინა დღიდან მოუთმენლად ელი, დღეს მათმეხარისხოვან მოვლენად გიჩვენება. როგორც მსმენელის, ისე შემსრულებლის განწყობა დაქვეითებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში შემსრულებელი უარეს დღეშია. სწორედ ამ უნდა იჩინოს თავი პროფესიულმა უნარმა.

-ნაკლებად ღირებული ფაქტი. ამიტომ ქვევით შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან, რომლებიც მხოლოდ ისტორიულობის ნიშნით შევარჩიე:

„26 თებერვალს თბილისელმა როკის მოყვარულებმა პატარა საჩუქარი მიიღეს: გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართა პოპულარული ქართული ჯგუფის Blues Mobile Band-ის კონცერტი.

ერთი კვირით ადრე რომ გეთქვათ, როკ-კონცერტზე მოხვდებით, ვერაფრით წარმოვიდგენდი – იმდენად მონყვეტილია ჩემთვის დღევანდელი თბილისის რეალობა როკ-კონცერტის ცნებისგან. მაგრამ როცა სადღაც, ქალაქის ცენტრში, საარჩევნო პლაკატების ნახევებზე გადაკრული Blues Mobile-ს აფიშა დავინახე, დიდხანს არ მიფიქრია. თუმცა, დღევანდელი მთლიანად მაინც ვერ მოვწყდი: კონცერტის დაწყებისათვის საკმაოდ არა-

დარბაზიდან ვიღაცას მაგონებს. ცოტა ხნის შემდეგ ვხვდები ვისაც – ეს ხომ Let It Be-ს დროინდელი პოლ მაკარტნის სილუეტია! ჯგუფი გადის სცენიდან გამოსაცვლელად. დარბაზისკენ შევბრუნდი: ხალხი დაემატა, მაგრამ მაინც საწყენია, რომ ცოტა მაყურებელია მოსული, სულ 80-100 ადამიანი. ძირითადად ჯგუფის ძველი თაყვანისმცემლები არიან, ორიოდე თბილისელი მუსიკოსი და რამდენიმე პატარა ბიჭი. დღევანდელი კიდევ ერთხელ გვახსენებს პალტოებში შეფუთული მსმენელი – დარბაზში უფრო ცივა, ვიდრე ქუჩაში.

ცოტა მოგვიანებით სცენაზე გამოდის Blues Mobile. მისი შემადგენლობა ისევე შეცვლილია; დღეს მასში მხოლოდ სამი კაცია: ჯგუფის ლიდერი და უცვლელი წევრი ვლადიმერ მოგელადე – გიტარა და ვოკალი, ქართული როკის ვეტერანი დათო შუშანია –

როკის კიდევ ერთი ვეტერანი ვალერი კოჩაროვი და ის ჯგუფთან ერთად ასრულებს ჩაკ ბერის Johnny B. Goode-ს.

...კონცერტი დამთავრდა. საათზე დავიხედე – საათნახევარი გაგრძელებულა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის განმავლობაში სცენიდან როკის კლასიკა ისმოდა, ეს მაინც ჯგუფის მიერ მაღალ დონეზე შესრულებული საკუთარი და საინტერესო ინტერპრეტაცია იყო. გული კი იმაზე დამწყდა, რომ ამ მაღალი კლასის კონცერტს ასე ცოტა მსმენელი ჰყავდა. მაგრამ, როგორც შუშანიამ გვაუწყა, საზოგადოება სულ მალე მიიღებს ჯგუფის პირველ ალბომს, რაც იმედია, კარგი რეკლამა იქნება მათთვის.

P.S. კონცერტის შემდეგ (თბილისის რეალობას რომ დავუბრუნდი), გაყინულს ქუჩაში ნაცნობი შემხვდა და გაუკვირდა – ასე სად გაიყინეო. მე არ გაეწირე როკ-ენ-როლი, ასე ცივი

რომ დამტოვა, და არ ვუთხარი, რომ ორი წუთის წინ კონცერტიდან გამოვედი“.

წერილში ნახსენები ალბომი მართლაც მალე გამოვიდა. „ბლუზ მობილის“ A New Day Yesterday პირველი კომპაქტდისკია ქართული როკის ისტორიაში. ინგლისურენოვან ალბომში შესულია ბლუზ-როკის კლასიკა და პოპური „ბიტლზის“ სიმღერებზე.

წერილს ერთგვარი რეზონანსი მოჰყვა, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. თუ რა მიუხედავი იყო ეს სფერო და რა იმედები გაუღვიძა ამ ჟანრში მოღვაწე მუსიკოსებს ჩემმა წერილმა, ამაზე თუნდაც შემდეგი ფაქტი მეტყველებს: გაზეთის გამოსვლიდან მეორე დღეს ძალიან შორეულმა ნაცნობმა დამირეკა და შერეული შემადგენლობის კონცერტზე დამპატიჟა, რომელზეც თვითონაც გამოდიოდა. დამპატიჟების მიზეზი გასაგები იყო. იმ ქალბატონს ფაქტობრივად არ ვიცნობდი, მხოლოდ ერთხელ მყავდა ნახაი. რომ მღეროდა, კი ვიცოდი, მაგრამ კითხვაც თუ იცოდა, იმ დღეს აღმოვაჩინე. მოკლედ, დიდი ჭოჭმანის შემდეგ გადავწყვიტე წავსულიყავი და დამენერა. წინასწარ რედაქციასაც შევეუთხანხმე, რადგან შემდეგ ნომერში თუ არ დაბეჭდავდნენ, მერე მოძველებოდა და უკვე აზრს კარგავდა. ზვიად ქორიძემაც გამამხნევა, რაც არ უნდა სუსტი კონცერტი იყოს, დაგებეჭდავთო.

ცოტა ვენერვიულობდი. პირველად უნდა დამენერა არა ჩემი სურვილით, არამედ სხვისი თხოვნით. დიდი შანსი იყო, რომ არ მომენონებოდა, არადა ნაცნობის წყენინებაც არ მინდოდა. ჟანრობრივად შერეული კონცერტები არ მიტაცებდა. ეგეთებზე არ დავდიოდი ხოლმე. კონცერტებიც ცოტა იმართებოდა მაშინ. და საერთოდ, საქართველოს მიძიმე პერიოდი ედგა: აფხაზეთში ძალიან დაიძაბა სიტუაცია და კონცერტის დღეს ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. ცხადია, ამ გავლენებს ვერ გავექვეცი და დაწყებული სათაურიდან – „ჯაზი ომის დროს“ – ეს მთელ წერილში იგრძნობა. წერილი სუსტია. ერთადერთი მიზეზი, რატომაც მომყავს აქ მისი შე-

სავალი ნაწილი ის არის, რომ კარგად ასახავს ეპოქას:

„როცა კონცერტის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე სახელმწიფოს მეთაურის უშიშმეს განცხადებას ისმენ საომარი მდგომარეობის შესახებ, მთავალი კონცერტი, რომელსაც წინა დღიდან მოუთმენლად ელი, დღეს მეთაურის ხსოვან მოვლენად გეჩვენება. როგორც მსმენელის, ისე შემსრულებლის განწყობა დაქვეითებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში შემსრულებელი უარეს დღეშია. სწორედ აქ უნდა იჩინოს თავი პროფესიულმა უნარმა.“

16 მარტს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გამართულმა ჯაზის საღამომ გამოცდას გაუძლო. გაუძლო როგორც მსმენელმა, ისე შემსრულებელმა.

კონცერტის წინ დარბაზში ისევ აფხაზეთზე საუბრობდნენ. ფილარმონიის თანამშრომელი: „რა გეკონცერტებათ, დაინგრა ნახევარი სოხუმი!“ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის საუბრიდან: ვაჟი: „თუ მობილიზაციაა, კონცერტიდან პირდაპირ იქ მიკრავენ თავს“, გოგონა: „შენი თვალების პატრონს ვინ წაგიყვანს, სურამელაშვილს ვერ ცნობთ მეთრში!“

ამასობაში საღამოს წამყვანი, მაია დათუნაშვილი, ესალმება მსმენელს და კონცერტზე შემთხვევით მოხვედრილ მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ დღეს ჯაზის საღამოა და არა პოპის, ნუ ექნებათ თავიანთი კერპების ხილვის იმედი. საღამოს ხსნის ჯგუფი „ადიო“...

ზემოთ შეპირებული ისტორიულობის დასაცავად, შემოგთავაზებთ იმ მუსიკოსების მშრალ ჩამონათვალს, რომელიც „ადიოსთან“ ერთად გამოვიდნენ იმ კონცერტზე. თვითონ „ადიო“ ამ ამბებიდან მალე გერმანიაში გადაბარგდა და მოგვიანებით ორად გაიყო, რის შედეგადაც გაჩნდა „შინ“. კონცერტზე კი „ადიო“ შეცვალა დინი ვირსალაძის (ფორტეპიანო) და მაია კანკავას (ვოკალი) დუეტმა. მართალია, დინი უკვე პროფესინალი მუსიკოსი იყო, მაგრამ იმ დღეს შედგა მისი, როგორც ჯაზ-პიანისტის სცენური დებიუტი. დუეტს სცენაზე ეხმარებოდა ახალგაზრდა საქსოფონისტი ალექო გეგეშიძე. შემდეგი ისევ ჯაზპიანისტია – გოგი ნაკაიძე,

მაგრამ მერე სტილი იცვლება და მთლიანად მეფარიძე ფონოგრამის თანხლებით მღერის. შემდეგ ისევ ჯაზი, ცნობილი პიანისტის ოთარ მალრადის და ბასისტ ნოდარ ექვთიმიშვილის დუეტი. ბოლოს გამოვიდა ახალგაზრდული ჯგუფი „3+1“, ყველაფერი კი გამოცდილმა ჭაბუკა ამირანაშვილმა დაასრულა.

ქართული ჯაზის ეს მიკროფესტივალი, რომელიც სულ რაღაც ორ საათში ჩაეგია, თუნდაც მხოლოდ პრეტენზიულობით და მუსიკალური მასალის ხარისხით, სასიამოვნოდ გამოიჩინა იმდროინდელი თბილისური სცენისგან, რომლის შესახებაც ქვევით ვისაუბრებ.

აპრილში როკს გაზეთმა ორი გვერდი დაუთმო, თუმცა ერთი წერილი ჩემი არ იყო და არც თუ მაინცდამაინც როკს ეხებოდა. ეს გახლდათ ნაკლებად საინტერესო, მეათეხარისხოვანი რუსული პოპჯგუფის თბილისური კონცერტის აღწერა. წერილში კარგად არის ნაჩვენები იმდროინდელ თბილისში საკონცერტო მოღვაწეობის ძალიან დაბალი დონე და ხარისხი.

ძალადობა, ენერგოკრიზისი, შიმშილობა, ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტის, ნივთების და მომსახურების დეფიციტი... მართლაც, ყოველმხრივ საშინელ დროს, ფონადაც ანალოგიური მუსიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაჰყვებოდა. ცოცხლად შესრულებულ მუსიკას დანატრებულ თინეიჯერებს ნებისმიერ ნაკავზე შეიტყუებდი. ამით კარგად სარგებლობდნენ როგორც პრომოუტერები, ისე „მუსიკოსები“ და აგრძელებდნენ ახალგაზრდების სულიერ და მატერიალურ დაცარიელებას. ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ღირებულებებზე ზრუნვა მათ ფუნქციებში არც შედიოდა. უბრალოდ გული მწყდება – ხომ შეეძლოთ იმავე დანახარჯებით უკეთესი შემსრულებლები მიეზიდათ?!

ამ მხრივ, მკაცრი ცენზურის მიუხედავად, 90-იანი წლების საქართველო ახლოსაც ვერ მივიდოდა საბჭოთა პერიოდთან. ადრე ნახსენები სოციალისტური ქვეყნების პოპ- და როკ შემსრულებლების გარდა, აქ დროდადრო გაიღვებდნენ ხოლმე უმაღლესი დონის პროფესიონალები. მაგალითად,



როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, გახურებული უძრობის ხანაში, სხვადასხვა დროს, ჩამოვიდნენ ამერიკელი მუსიკოსები: გეითმაუზ ბრაუნის ჯგუფი, ბლუზის მეფედ შერაცხული ბი ბი კინგი და საუკეთესო ქანთრი ჯგუფი Nitty Gritty Dirt Band.

პერესტროიკის ტალღამ აქცენტი როკზე გააკეთა. საბჭოთა კავშირში როკის ვეტერანებმა დაიწყეს ჩამოსვლა. მათგან საქართველოს ერგო ამერიკელი სიუზი ქვატრო, შოტლანდიური ჰარდ-როკჯგუფი „ნაზარეთი“ და ყოფილი Deep Purple-ელი და როკოპერა „იესო ქრისტე – სუპერვარსკვლავის“ ყველაზე ცნობილ, ბროდვეულ ვერსიაში ქრისტეს პარტიის შემსრულებელი, ინგლისელი მომღერალი იან გილანი.

ფესტივალი, რომელშიც საბჭოთა ჯაზის ელიტა მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ: იგორ ბრილი, ვაგიფ მუსტაფა-ზადე, ჰელმუტ ანიკო, პაულ მიაგი, გიული ჩოხელი, თამაზ ყურაშვილი, გერმან ლუკიანოვი, ვიარსელავ განელინის ტრიო, დავიდ გოლოშჩეკინი, იგორ ბუტმანი, ლეონიდ ჩიუიკი, რეინ რანაპი და სხვები, რომელთა სახელებს, სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ. 86-ში ფესტივალი საერთაშორისო გახდა და საბჭოთა შემსრულებლებს ევროპის სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსებიც დაემატნენ.

რაც შეეხება 1989 წლის ფესტივალს, რომელიც ქართულ-პოლონურ-შვედური თანამშრომლობის შედეგი იყო, ის თავდაპირველად ივნისში უნდა გამართულიყო, მაგრამ...

დიდი პოპულარობა მოიპოვა ამერიკელი მუსიკოსების მიერ დაკავშირებული პროექტმა America For Africa-მ, სიმღერით, We Are The World. სწორედ ამ დასავლური მოდელით აიგო ქართული სიმღერა, რომლის სახელი, თუ არ ვცდები, „ტიტებია“; ყოველ შემთხვევაში, სახალხო სახელი, ნამდვილად ეს არის.

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ფაქტიც მახსოვს: ქართველი მუსიკოსებისგან შემდგარი, სახელდახელოდ შექმნილი ჯგუფი დანიური ტურნესთვის ემზადებოდა. ეს ტურნე საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ამ ტიპის რეპერტუარის ჯგუფი საქართველოდან პირველად გადიოდა საზღვარგარეთ. ჯგუფს დანიაში სხვა რამეებთან ერთად ბლუზ-როკის სტანდარტები უნდა შესრულ-

**ძალადობა, ენერგოკრიზისი, შიმშილობა, ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტის, ნივთების და მომსახურების დეფიციტი... მართლაც, ყოველმხრივ საშინელ დროს, ფონადაც ანალოგიური მუსიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაჰყვებოდა. ცოცხლად შესრულებულ მუსიკას დანატრებულ თინეიჯერებს ნებისმიერ ნაგავზე შეიძუებდი. ამით კარგად სარგებლობდნენ როგორც პრომოუტერები, ისე „მუსიკოსები“ და აგრძელებდნენ ახალგაზრდების სულიერ და მატერიალურ დაცარიელებას.**

ეტყობა, უკვე გვიან იყო. იმის თქმა მინდა, რომ საკმაოდ უემოციოდ მივიღე მათი ჩამოსვლა. მართალია, გილანის ავტოგრაფით კი გავამდიდრე ჩემი არქივი, მაგრამ ქუჩაში სასეირნოდ გამოსულ სიუზი ქვატროსა და მისი ჯგუფის ნევრებს ისე გულგრილად ჩავუარე გვერდზე, თითქოს რიგითი ტურისტები ყოფილიყვნენ.

იმ პერიოდში საქართველოს საკონცერტო რეალობაში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება გაიმართა: 1989 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩატარდა ისეთი ღონის ჯაზფესტივალი, რომლის შემადგენლობასაც მსოფლიოს ნებისმიერი ჯაზით განებივრებული ქალაქი ინატრებდა.







ამ ფესტივალს თავისი პატარა წინამორბედები ჰყავდა: 1978 და 1986 წლებში გაიმართა ორი მნიშვნელოვანი

...მაგრამ 1989 წლის 9 აპრილმა ბევრი რამ შეცვალა საქართველოში. მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის დროს 20 ადამიანის დაღუპვა, ბუნებრივია, გართობათა ინდუსტრიაზეც უარყოფითად აისახა. ბევრ სხვა რამესთან ერთად, ფესტივალის გამართვა ოთხი თვით გადაიდო. ტრაგედიას მიეძღვნა სიმღერა.

80-იანი წლების შუახანებში დასავლეთში საფუძველი ჩაეყარა როკის ვარსკვლავების მიერ ერთობლივი ჩანაწერების გამოშვებას საქველმოქმედო მიზნებით. პირველად ეს ბრიტანელმა მუსიკოსებმა გააკეთეს 1984 წელს. ეთიოპელების დასახმარებლად მათ ჩანერეს და საშობაოდ გამოუშვეს სინგლი Do They Know It's Christmas?, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ყველა დროის მეორე გაყიდვადი სიმღერაა. ამ მიმართულებით ყველაზე

ლებიანა. მოგეხსენებათ, რომ საერთოდ როკი, ამ შემთხვევაში – ბლუზ-როკი, ენერგიული მუსიკაა და საკმაოდ ხმამალლა სრულდება. ჩვენი მუსიკოსები კი, რომლებიც რეპეტიციებს მარჯანიშვილის თეატრში ატარებდნენ, საერთო სამგლოვიარო განწყობის ფონზე თავს უფლებას არ აძლევდნენ პროგრამა სრულფასოვანი ჟღერადობით შეესრულებინათ. ერთი მუსიკოსი ხუმრობდა, ჩურჩულით ვმღერივართო. საბოლოოდ ეს ტურნე შედგა და საფუძველი ჩაეყარა ქართველი მუსიკოსების საკონცერტო მოღვაწეობას არა მარტო დანიაში, არამედ მთელ სკანდინავიაში.

ფესტივალი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოდგომაზე ჩატარდა. მონაწილეთა უბრალო ჩამონათვალი დღესაც ერთობ შთამბეჭდავია: არტ ბლეიკი, ფრედი ჰაბარდი, კენი დრიუ,



ნილს პედერსენი, ლეს მაკკენის და ედი ჰარისის კვარტეტი, ჯიმი სმიტი, სან რა... ფესტივალზე უნდა ჩამოსულიყო ერთ-ერთი საუკეთესო ჯაზგიტარისტი ჯო პასი, მაგრამ იმ მოტივით, რომ „აეროფლოტის“ თვითმფრინავებს არ ენდობოდა, მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

მსგავსი დამოკიდებულება საბჭოთა მომსახურების სფეროსადმი უცხოელთა მხრიდან პირველი არ იყო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში, იმ მიზეზით, რომ თითქოსდა სასტუმროში მიღება არ მოეწონა, საბჭოთა კავშირში ტურნე შეწყვიტა ცნობილი კანადელი ჯაზპიანისტის, ოსკარ პიტერსონის, ტრიომ.

ხაროდ, ეს მძიმე პერიოდი საკმაოდ გაინელა. კიდევ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ მოგვიანებით ახალგაზრდებისთვის ტვინების გამორეცხვაში ჩართო ახლადგაჩენილი FM რადიოსადგურების დიდი ნაწილი. ისინი უხვად ატრიალებდნენ მეათეხარისხოვან რუსულენოვან პოპმემსრულებლებს, რომლებიც მოგვიანებით საქართველოში ჩამოჰყავდათ საგასტროლოდ. ბუნებრივია, რადიოთი მოპოვებული პოპულარობის შედეგად და უკეთესის არარსებობის პირობებში, მათ გარანტირებული ჰქონდათ აუდიტორია.

ამ ყველაფერმა აშკარად შეაინტროვა ძლივს ლეგალიზებული ნამდვილი როკი და მისი მოყვარულები. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ცხა-

თი Sounds და კომენტარები გაუფრთხილეს მასში გამოქვეყნებულ წერილს. თუმცა შინაარსობრივად იქ საინტერესო, მით უმეტეს, დღევანდლობისთვის, არაფერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაზეთი უკვე ორი წლის დახურული იყო, ის ღირდა იმად, რომ საქართველოში სცოდნოდათ მის შესახებ. Melody Maker-თან და New Musical Express-თან ერთად ის ბრიტანული ყოველკვირეული მუსიკალური „სამების“ წევრი იყო.

შემდეგი წერილიც „ექსპერიმენტული“ იყო. აქ ბრჭყალები იმიტომ ვიხმარე, რომ სტატია ექსპერიმენტული ჩემთვის გამოვიდა, თორემ სინამდვილეში ფორმითაც და სტილითაც სავესებით კლასიკური გახლდათ. პირველ

სამწუხაროდ, ეს მძიმე პერიოდი საკმაოდ გაინელა. კიდევ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ მოგვიანებით ახალგაზრდებისთვის ტვინების გამორეცხვაში ჩართო ახლადგაჩენილი FM რადიოსადგურების დიდი ნაწილი. ისინი უხვად ატრიალებდნენ მეათეხარისხოვან რუსულენოვან პოპმემსრულებლებს, რომლებიც მოგვიანებით საქართველოში ჩამოჰყავდათ საგასტროლოდ. ბუნებრივია, რადიოთი მოპოვებული პოპულარობის შედეგად და საქართველოს არარსებობის პირობებში, მათ გარანტირებული ჰქონდათ აუდიტორია.

სხვათა შორის, ფესტივალში მონაწილეობა მიიღო აზიზამ. მაშინ აზიზამს ჯერ არ ჰქონდა მოპოვებული ე.წ. world music-ის საერთაშორისო ვარსკვლავის სტატუსი. ის ჩვენთვის იყო პოპულარული აზერბაიჯანელი ჯაზპიანისტის, ვაგიფ მუსტაფა-ზადეს და ქართველი საესტრადო მომღერლის, ელზა კვინიკაძის ქალიშვილი.

ფესტივალზე ერთი ღამით ჩამოფრინდა ცნობილი ბლუზმენის, ლუთერ ელისონის ჯგუფი, რომელმაც თვითმფრინავის დაგვიანების გამო კონცერტი, თუ არ ვცდები, დილის ოთხ საათზე დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ მან ჰონორარზე უარი განაცხადა.

აი, დაახლოებით ასეთი იყო თბილისის საგასტროლო-საკონცერტო სცენა საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში. ბუნებრივია, რომ მომდევნო რამდენიმე წელი იმ პერიოდთან შედარებით ნამდვილი კატასტროფა იყო. სამწუ-

დია, მეც გამოვეხმაურე ამ სიტუაციას გაზეთიდან და ამის შესახებ შესაბამის დროს მოგახსენებთ, მანამდე კი მივყვეთ ქრონოლოგიას.

იმ სტატიის გვერდით, რომელმაც თბილისის გასტროლოგები გამახსენა, ჩემი წერილიც გამოქვეყნდა ჩაკ ბერის შესახებ. შეცდომები კვლავ უხვად არის – განსაკუთრებით თვალშისაცემია ინგლისურენოვანი დასახელებები ქართული შრიფტით. საოცარია, რომ მაშინ ეს შეცდომები ისე გამაღიზიანებელი არ იყო, როგორც დღეს და საზოგადოებაც მაინცდამაინც არ აპროტესტებდა მათ. ეტყობა იმდენად დიდი იყო ინფორმაციული შიმშილი, რომ მსგავსი ლაფსუსები წერვებს არავის უშლიდა.

აპრილის როკგამოშვების მთავარი მასალა ორიგინალური ფორმით გამოირჩეოდა. იქ მკითხველს საკმაოდ საფუძვლიანად გავაცანი ინგლისური მუსიკალური ყოველკვირეული გაზე-

ყოვლისა, მისი თემა მუსიკა კი იყო, მაგრამ როკი – არა. როკთან დაკავშირებით რაც არ უნდა მიმეტანა, ბეჭდავენ. თუმცა ეს იყო მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ყოფილი არაპროფესიონალი მუსიკოსის პორტრეტი.

საქმე ის გახლდათ, რომ კვირაში სამ საღამოს მაინც ჩვენს ოჯახში ატარებდა ჩემი მშობლების მეგობარი კოტე კარგარეთელი, რომელიც ახალგაზრდობაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზორკესტრის წევრი იყო. სწორედ მისი მონათხრობი დაედო საფუძვლად სტატიას „ჯაზ-მისალმება 50 წლის შემდეგ“.

ბატონი კოტეს თაობა ჩემთვის პირველი საბჭოთა მუსიკალური ანდერგრაუნდია. ისინი იმ პერიოდში ცდილობდნენ ჯაზის მოსმენას, როცა ომის გამო, ხალხს ლამპური რადიომიმღებები უნდა ჩაებარებინა შესაბამისი სამსახურებისთვის. კოტე და მისი

მეგობრები კი გაჭირვებით არა მატო მოსმენას, არამედ სმენით მელოდიის ფორტეპიანოზე გადატანას ახერხებდნენ. მაშინ ხომ მაგნიტოფონები არ იყო?! სამაგიეროდ იყო მშვენიერი მუსიკალური ამერიკული ფილმი, გლენ მილერის ორკესტრის მონაწილეობით - „მზიური ველის სერენადა“. ამ ფილმმა უდიდესი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა ახალგაზრდების თაობაზე როგორც მუსიკით, ისე ქორეოგრაფიით, ჩაცმულობითა და საერთო სტილით.

საინტერესო ადამიანს პირადი ნაცნობობაც დაემატა და სრულიად განსხვავებული რამე გამოვიდა იმისგან, რაც მანამდე მქონდა გაკეთებული. რაღაც რეტრო-ნოსტალგიური სტატია იყო.

ეს წერილი კიდევ ერთი რამით აღმოჩნდა გამორჩეული: თხრობის ერთ მონაკვეთში „7 დღე“ ეპიზოდის მოქმედ გმირად გამოვიყვანე და ასე გაუუკეთე რეკლამა. მოგვიანებით ასეთ ხერხს კიდევ რამდენჯერმე მივმართე,

მაგრამ ასეთი ეფექტური არცერთი აღარ ყოფილა.

და კიდევ ერთი რამ ამ წერილის შესახებ: ის პირველი იყო ჩემს პუბლიკაციებში, რომელშიც არცერთი კორექტურული თუ ტექნიკური შეცდომა არ გაპარულა. შეიძლება ეს ნაწილობრივ იმან განაპირობა, რომ ტექსტში არ მქონდა ინგლისურენოვანი დასახელებები. ამ დასახელებებს კი თემატიკიდან გამომდინარე, ვერ გავუქცევოდი. საერთოდ, ძალიან მაღიზიანებს, როცა სიმღერების სახელებს მხოლოდ ქართულად ბეჭდავენ, ორიგინალური დასახელების მიუთითებლად.

აი, მაგალითად, თუნდაც შემდგომი როკგამოშვება ავიღოთ: როგორ, ან რატომ უნდა აუარო გვერდი ინგლისურ დასახელებებს, როცა ლაპარაკია ლეგენდარულ ჯგუფზე Jethro Tull. ამ სტატიით კმაყოფილი ვიყავი – უცხოელებზე დანერჩლ სხვა სტატიებს მერჩივანა. რედაქციაშიც მოენონათ. განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ჩემს პირად ემოციებზე ვსაუბრობდი, როცა

ეს ჯგუფი პირველად მოვისმინე. წელიწადის ეს პატარა მონაკვეთი ბოლდითაც გამოყვეს.

დაახლოებით ამ პერიოდიდან უფრო ნაყოფიერი გავხდი. ეფექტური სამუშაო გრაფიკი შევადგინე: იმის გამო რომ როკგამოშვება (ჩემი ძირითადი მოვალეობა გახეთქი) თვეში ერთხელ იბეჭდებოდა, წინასწარ რამდენიმე მოვამზადე, ხოლო თავისუფალი დრო თარგმანებს დავუთმე. ამან, ბუნებრივია, გაზარდა ჩემი შემოსავალი, რაც კარგი სტიმული გამოდგა იმისთვის, რომ სამომავლოდ ორიენტირი ჟურნალისტიკისკენ ამელო.

ცოტა გავთამამდი. დაიწყე ფიქრი შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე. თარგმანების და როკის გარდა, ლიტერატურა და სპორტი იყო ის სფეროები, სადაც საკუთარი აზრის გამოთქმა შემეძლო. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ყველა ქართველი პოეტა და ნებისმიერ მწვრთნელზე უკეთ ესმის ფეხბურთი?!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ROOMS HOTELS  
 KAZBEGI

#1 V.Gorgasali street, Stepantsminda, Georgia; Tel: +995 32 2 710099; Fax: +995 32 2 720099  
 E-mail: roomskazbegi@roomshotel.com; www.roomshotel.com





# კლათფორმა სახელწოდებით „ჰარირა“

როგორც აქცია მარამ ალექსიძემ ჯანსუღ კახიძის სიმღერები ცეკვად

ავტორი: დავით ბუხრიკიძე  
ფოტო: გიორგი გოგატიშვილი

ძნელია დიდი ღოზით ჯანსუღ კახიძის სიმღერების მოსმენის შემდეგ წარმოიდგინო, რომ მათი თანამედროვე ქორეოგრაფის ენაზე ამეტყველება შესაძლებელია. თუმცა ვინც რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი ქორეო-ექსპერიმენტი სახელწოდებით – „ჰარირა“ საკუთარი თვალთი იხილა, დარწმუნდებოდა ამ საკმაოდ თამამი და სარისკო იდეის განხორციელებაში.

გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდმა, კერძოდ კი დამდგმელმა ქორეოგრაფმა მარამ ალექსიძემ ზომიერად გარსკვავა. ერთი მხრივ, ძნელი იყო კომპოზიტორისა და დირიჟორის, ვახტანგ კახიძის მიერ მამის ადაპტირებული პოპულარული სიმღერებისა და კომპოზიციების მოთვინიერება და მეორე მხრივ, საკუთარი ფანტაზიის

მორგება ამ სიმღერებთან. დაახლოებით ერთსაათიანმა სპექტაკლმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ჯანსუღ კახიძის ოცამდე სიმღერაა მოქცეული. მთავარი მაინც თანამედროვე ქორეოგრაფიის ჯერ კიდევ გაუკვალავ ლაბირინთებში ხეტიალია საინტერესო.

ქორეოგრაფმა მარამ ალექსიძემ, ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს თანამედროვე ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალის ფარგლებში დადგა თანამედროვე ცეკვით შთაგონებული კომპოზიცია სახელწოდებით V & V, რომელშიც სრულიად განსხვავებული კომპოზიტორების, გია ყანჭელისა და იანის ქსენაკის მუსიკა მოულოდნელადაა გართიმული. დაახლოებით ნახევარსაათიან წარმოდგენას ამკარად ეტყობოდა სიახლისა და ძიების კვალი.



ინტერნაციონალურ მოცეკვავეთა ტრიოს (ნინო გოგუა, მანუელ-ალეხანდრო ვეგა და სილვი შქეშბი) დახმარებით ქორეოგრაფი თითქმის დახვეწილ „გაკვეთილს“ ატარებდა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაიგემოს და განხორციელდეს პატარა ქორეოგრაფიული პროექტები. ბალეტის მოყვარულთ შესაძლოა ასევე ახსოვდეთ მარამ ალექსიძის სხვა პროექტებიც – „ალვა“ და „აჭარპანი“, რომლებიც ალბათ, გასული წლების ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო თანამედროვე ქორეოგრაფიაში. იმედია, ახალგაზრდა ქორეოგრაფი უკვე მომდევნო სპექტაკლში, ახალი და თამამი იდეების განხორციელებას უფრო თამამად შეძლებს.

ახალ სპექტაკლში „ჰარირა“ ქორეოგრაფი ახალი იდეების განხორციელებას უფრო სხვა, თეატრალური ხერხებით ცდილობს. მაგალითად სი-

ჩუმის, ფიზიკური მოქმედებებისა და მუსიკის მოულოდნელი შეზავებით ან კონტრასტით; ზოგჯერ ასიმეტრიული და მაყურებლისთვის უცნაური, დამაბნეველი, მაგრამ საამო ქორეო-ხაზებით, მოქმედების მოულოდნელი გადაკვეთით კახიძის სიმღერების ტექსტებთან. მოკლედ, თანამედროვე ცეკვის ლამის უსაზღვრო შესაძლებლობანი მარიამ ალექსიძეს თამამი ექსპერიმენტის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი და სცენოგრაფიის ავტორი გოგი ალექსი-მესხიშვილი მინიმალური გამომსახველობით საშუალებებით ქმნის და ავსებს სცენურ გარემოს: ქმნის თანამედროვე მასალით დამზადებულ სიმბოლურ საფეხურებს თუ მსუბუქ სვეტებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ეფექტური საუნდის როლსაც ასრულებს. „ჰარირა“ გამოყენებულია აგრეთვე ციტატები ცნობილი შვედი მწერლის, პერ ლაგერკვისტის ესედან „გათავისუფლებული ადამიანი“, რომელსაც რუსთაველის თეატრის მსახიობები ცეკვისას ან მოკლე პაუზების დროს წარმოთქვამენ. სხვათა შორის, ცეკვის პარალელურად ტექსტის გამოყენება ევროპულ ქორეოგრაფიაში არახალია და ეს ხერხი მარიამ ალექსიძემ რეჟისორ დათა თავაძის რჩევითა და მისივე თანამონაწილეობით გამოიყენა.

სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ქეთევან ხიტორი, ლევან ხურციია. ასევე მონაწილე მსახიობები – ნათია ბუნტური და ნატო კახიძე. თუმცა ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მსახიობების პარალელურად, მაყურებელი სცენაზე ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის მოცეკვავეებს იხილავს: დავით ანანიავილს, თამთა ბახტაძეს, ეკატერინე ლომინაძეს, ლანა მღებრიშვილს, უილიამ პრატს, ეკატერინე სურმაზას,



სოფიო ფანცულასა და შორენა ხაინდრავას.

„ჰარირა“ სწორედ იმით გამოირჩევა საბალეტო ან თანამედროვე ქორეოგრაფიული დადგმებისაგან, რომ მასში რუსთაველის თეატრის (და არამარტო ამ თეატრის) მსახიობები თითქოს როლებს უცვლიან პრიფესიონალ მოცეკვავეებს. ეს გარკვეულ იუმორისტულ და ირონიულ ელფერს ანიჭებს წარმოდგენას. მსახიობთა აკვარელური, ფერადი სამოსი და ბალეტის მოცეკვავეთა ქათქათა სამოსი კი ხაზს უსვამს კონტრასტს და მათ ფიზიკურ შესაძლებლობას.

ჯანსუღ კახიძის სიმღერები სპექტაკლისგან დამოუკიდებლადაც საკმაოდ დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე. თუმცა სპექტაკლში ისეა გამოყენებული, რომ მათში მსახიობები და მოცეკვავეები საკუთარ გრძნობებსა და განცდებს „კითხულობენ“. სიმღერები საცეკვაო ნოველების ფორმით ერთიანდება და მათი ნწყობა, ერთიანი მუსიკალური და დრამატურგიული სტრუქტურა პოეტურ-ირონიულ განწყობას ქმნის.

პროექტი გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის

განვითარების ფონდის ინიციატივით, ქუთაისის საამინისტროს მხარდაჭერისა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა. „ჰარირა“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან, კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ქორეოგრაფიულ თუ თეატრალურ ცხოვრებაში.


ორიოდე სიტყვით თავად მარიამ ალექსიძის შესახებ: როგორც სოლისტი, 90-იანი წლების ბოლოს ციურხის ოპერისა და ბალეტის მიწვევით თეატრის დასში ცნობილი ქორეოგრაფის, ჰინც შპორელის ხელმძღვანელობით ცეკვაავადა. შესრულებული აქვს სოლო და წამყვანი პარტიები როგორც კლასიკურ დადგმებში, ასევე ჯორჯ ბალანჩინის მოდერნისტულ ბალეტებში. როგორც მოცეკვავე მონაწილეობდა თანამედროვე ქორეოგრაფების, ირუი კილიანის, ფილიპ კონენის, ტრევი მაკენტაიერის და გიორგი ალექსიძის დადგმებში.

თბილისის საბალეტო დასთან ერთად მონაწილეობდა სპოლეტოსა და ედინბურგის ფესტივალებში. საბალეტო დასთან ერთად საგასტროლოდ იმყოფებოდა იაპონიაში, ამერიკაში, ინგლისში, უკრაინაში. უკვე რამდენიმე წელია მარიამ ალექსიძე თავის სპექტაკლებში ფოლკლორისა და თანამედროვე ცეკვის სინთეზს ცდილობს. „ჰარირა: ამ ძიების კიდევ ერთი მაგალითია. გარდა ამისა, მან დააფუძნა მამის, გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მომავალი თაობებისთვის მის გაზიარებასა და პოპულარიზაციას. ფონდის საქმიანობა ისეთ პროექტებსაც მოიცავს, რომლებიც ქორეოგრაფებს და შემსრულებლებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში შეუწყობს ხელს და მნიშვნელოვანი იქნება ზოგადად თანამედროვე ბალეტის პოპულარიზაციისთვის საქართველოში.

# წიგნები

ავტორი: თინათინ ხომარიკი

უცხოურენოვანი გამოცემები



„ოცნების სასახლეში - ნიუ-იორკის ლეგენდარული სასტუმრო „ჩელსის“ ცხოვრება“

შერილ ტიპინსი

Houghton Mifflin Harcourt  
480 გვ

ფრანგი არქიტექტორ-ფანტასტის მიერ 1884 წელს აგებული სასტუმრო „ჩელსი“ დაარსების დღიდან ამერიკული გამომგონებლობის ეტალონს წარმოადგენდა. ეს ერთ შთაბეჭქდავ ნაგებობაში გაერთიანებული კულტურული დინამომეტრი და კონტრკულტურის ოაზისი იყო. შერილ ტიპინსი „ჩელსის“ და მისი ბინადარი ხელოვნების თაობათა უსაზღვროდ ჩამთრევ ისტორიას მოგვითხრობს. ვის აღარ


უცხოვრია აქ - ტომას ვულფს, დილან ტომასს, ჯეკ კერუაკს, ალენ გინზბერგს, უილიამ ბეროუზს. ბოლოს და ბოლოს, ეს სწორედ ის „ჩელსი პოეტელია“, სადაც ბობ დილანმა „Blonde on Blonde“ ჩაწერა, ლეონარდ კოენმა კი ამავე სახელწოდების ცნობილი სიმღერა („Chelsea Hotel #2“) დაწერა მისი და ჯენის ჯოპლინის ხანმოკლე რომანტიკული შეხვედრის შესახებ და ჯენისს მიუძღვნა.

„ტენისონი - ილტვოდი, ეძიებდე, ჰპოვებდე“

ჯონ ბატჩლორი

Pegasus  
448 გვ

დედოფალ ვიქტორიას საყვარელი პოეტი ალფრედ ლორდ ტენისონი თავისი ეპოქის მკითხველთა ყველაზე ფართო წრეს მოიცავდა. მისი აღზევება არც მხოლოდ ნიჭიერების ტრიუმფი იყო და არც ისტორიული შემთხვევითობა - თავის კარიერას და საზოგადოებასთან ურთიერთობას იგი ოსტატურად განკარგავდა. დიდებას და აღიარებას მისთვის არასოდეს გაუქარვებია უფრო მეტის მიღწევის წყურვილი. ტენისონი, რომელსაც პოეტობის გარდა არაფერი ეპიტნავებოდა, გრძელ თმას ატარებდა, გაუთავებლად ეწეოდა და ლაბადითა და ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდით იმოსებოდა. ახალი ბიოგრაფიული წიგნი ალფრედ ტენისონს როგორც რომანტიკული, ისე ვიქტორიანული იდეალების საინტერესო ნიმუშად წარმოგვიჩენს.





„დიდი, ღვთისადმი  
ბახსნილი გული -  
საუბარი პაპ ფრანცისკთან“

**პაპი ფრანცისკი, ანტონიო სკადერო**

HarperOne  
160 გვ


სამყარო შოკში იყო, როცა მსოფლიოს იეზუიტურმა ჟურნალებმა ერთდროულად გამოაქვეყნეს ექსკლუზიური ინტერვიუ პაპ ფრანცისკთან, რომლის ისტორიული პაპობიდანაც იმ დროისათვის მე-ნ თვე სრულდებოდა. გამოქვეყნებიდან რამდენიმე წუთში ინტერვიუთი უკვე მსოფლიო მედია იყო შეპყრობილი. მრავლისმომცველ საუ-

ბარში პაპმა ფრანცისკმა ამაღლელებლად ისაუბრა თავისი სულიერი ცხოვრებისა და ეკლესიის რეფორმის თაობაზე მოლოდინების შესახებ. ეს ნიშანდობლივი, გარკვეულწილად ისტორიული ინტერვიუ ახლა უკვე წიგნის ფორმით არის ხელმისაწვდომი.

**MORISSEY**

**ავტობიოგრაფია**

Penguin Classics  
464 გვ



„ჩემმა უზარმაზარ-მა თავმა მშობიარობისას კინალამ დედაჩემი შეინირა“ – ასე იწყება „The Smiths“-ის ლეგენდარული ვოკალისტის, მუსიკოსისა და პოეტის, სტივენ პატრიკ მორისის ავტობიოგრაფია. წიგნში ავტორი მისთვის დამახასიათებელი ირონიითა და ექსცენტრულობით მოგვითხრობს საკუთარი ცხოვრებისა და მუსიკა-


ლური კარიერის შესახებ. წიგნის შესახებ პროგნოზები რადიკალურად განსხვავებულია – ზოგი მას დილანის „ქრონიკების“ შემდეგ მუსიკოსის მიერ დაწერილ საუკეთესო ბიოგრაფიად მიიჩნევს, ზოგი საერთოდაც, ბუკერის პრემიას უწინასწარმეტყველებს, ზოგიერთი კიდეც მორიგი აუტანელი ნარცისის ზღვარგადასული ფანტაზიის უინტერესო ნაყოფს უწოდებს. არჩევანი თქვენზეა.

„მეხუთე ბიტლი - ბრაიან ეპსტაინის ამბავი“

**ვივკი ტაივარი, ენდრიუ რობინსონი, კაილ ბეიკერი**

Dark Horse  
144 გვ

„მეხუთე ბიტლი“ ბრაიან ეპსტაინის – „ბიტლზის“ პირველალმომჩენისა და მეგზურის, მათი შორსმჭვრეტელი მენეჯერის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ჯგუფს ლივერპულის პატარა სარდაფებიდან მოყოლებული, უპრეცედენტო მსოფლიო დიდებამდე თან ახლდა და „მწყემსავდა“. ეს დიდწილად უცნობი ისტორიაა – ჯონ ლენონის პირველი ცოლის, სინტიას თქმით: „ბრაიანი მივიწყებულ პიროვნებათაგანია. ის თითქოს საერთოდ ამოშალეს ისტორიის ფურცლებიდან. მაშინ, როცა ბრაიანის გარეშე არა მგონია [ბიტლები] შორს წასულიყვნენ“. ბრაიან ეპსტაინი 1967 წელს, 32 წლის ასაკში ანტიდეპრესანტების გადაჭარბებული დოზის მიღების შედეგად გარდაცვლილი იპოვეს.



ქართულენოვანი გამოცემები




„ლოტ 49-ის გამოცხადება“

თომას პინჩონი

მთარგმნელი თამარ ლომიძე  
გამომცემლობა „დიოგენე“  
224 გვ.

„ლოტ 49-ის გამოცხადება“ – რომანი, რომელიც პოსტმოდერნული ლიტერატურის შედეგად ითვლება და კალიფორნიელი დიასახლისის თავს გადამხდარ უცნაურ ამბავს მოგვითხრობს, თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და საინტერესო ავტორის, თომას პინჩონის მეორე წიგნია, რომლის ავტორის რეალურობასაც მხოლოდ თითო-ორი შავ-თეთრი ფოტოსურათი და მისი რომანები მოწმობს. „ლოტ 49-ის გამოცხადება“, რომელიც „დიოგენემ“ გამოსცა, ქართულად თამარ ლომიძემ თარგმნა.



„მოდერატო კანტაბილი“

მარგერიტ დიურასი

მთარგმნელი: გიორგი ძნელაძე  
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
116 გვ.

1958 წელს გამოქვეყნებულ „მოდერატო კანტაბილეს“ დიდი აურზაური მოჰყვა. ზოგი კრიტიკოსი აცხადებდა, შეუძლებელია, ამას წიგნი ვუნოდოთო. ზოგი კი წერდა, „მოდერატო კანტაბილი“ ყველაზე სრულყოფილი წიგნია, რომელიც კი დიურასს ოდესმე დაუნერიაო. მთავარ გმირს, ანა დებარეს, რომელსაც სული ეხუთება მოსაწყენ, პროვინციულ ქალაქში, თვითონაც ვერ გაუგია, რატომ დასცა თავზარი სრულიად უცნობი ქალის კვიღმა და მისი სისხლით მოთხვრილი ცხედრის დანახვამ. ის ყოველდღე დადის კაფეში, სადაც ეს საზარელი დანაშაული მოხდა და შემთხვევით გაცნობილ მამაკაცს უამრავ შეკითხვას უსვამს.



„რუკა და ტერიტორია“

მიშელ უელბეკი

მთარგმნელი დავით კახაბერი  
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
332 გვ.

მიშელ უელბეკი, რუკა და ტერიტორია, გონკურის პრემიის მფლობელი ეს რომანი თითქოს განსხვავდება ავტორის სხვა წიგნებისგან, უელბეკი აქ ერთი შეხედვით, თავის თავს არ ჰგავს, მკითხველს აღარც სექს-ტურიზმითა და მსგავსი თემებით იტყუებს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში რომანის ნაკითხვის შემდეგ მკითხველს კვლავ „ნამდვილი“ უელბეკისათვის დამახასიათებელი განცდა ეუფლება – ელდანარევი აღტაცების, უხერხულობისა და სევდის ნაზავი.



„მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“

მალხაზ ხარბაძია

გამომცემლობა „დიოგენე“  
გვ. 256.

„მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“ მალხაზ ხარბაძიას ესეების რიგით მეორე წიგნია – პირველი, „პირადი ბიბლიოთეკა“ 2006 წელს გამოცა. ეს გამოცემა რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ელექტრონული

თუ ბეჭდური გამოცემისათვის დანერგულ ესეებს, ლიტერატურულ ბლოგებსა და მიმოხილვებს მოიცავს.

„ჩიტის და კაცის ამბავი“

არჩილ ქიქოძე

გამომცემლობა „სიესტა“

არჩილ ქიქოძის ახალი წიგნი ორ ვრცელ, სიუჟეტურად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მოთხრობას მოიცავს. მათ მხოლოდ ავტორისეული ძიება აერთიანებს – მცდელობა, ახსნას დღევანდელი მდგომარეობა წარსულზე დაყრდნობით. „ვინ ვართ და რატომ ვართ ისეთები, როგორებიც ვართ?“.





*M, JMJ, JMJ*

cafe & concept store

ԱՆՉԸՆ

# ՁՄՅՄԸՎԵՆ

ՁՄԸՎ #3



shirt MARGIELA, shoes Ann Demeulemeester, gloves Rick Owens, bracelet Noir





photo/style GREGORY REGINI  
apparel NO NAME PLUS  
model NINA POTSKHISHVILI  
LOOK MODELS  
make-up CHRISTINA REGINI  
hair LIKA ELEVEN STUDIO  
chief asistent KHATIA MELASHVILI



cape ISABEL BENENATO shirt MARGIELA pants MASNADA

coat DAMIR DOMA, bracelet GEORGE BEZANI, hat Comme des Garçons









# მუსიკა

ავტორი: ლეპან ძნელაძე



**Night Time, My Time**

**Sky Ferreira**

**Indie Pop**

**Capitol Records**

ამერიკელი მუსიკოსი, მოდელი და მსახიობი Sky Ferreira საყოველთაო ყურადღების ცენტრში სადებიუტო ალბომით (Night Time, My Time) მოექცა, რომლის ყდაზეც თავადვეა გამოსახული წელს ზემოთ შიშველი. ფოტო კი ცნობილ რეჟისორს, გასპარ ნოეს ეკუთვნის. თუმცა მთავარი ამ ყველაფერში შაბლონურად სკანდალური საქციელი ნამდვილად არ არის. სადებიუტო ალბომამდე მუსიკოსმა ორი EP გამოსცა მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ დამწყები არტისტია, რომელსაც გარეგნობის გარდა, აშკარად სხვა ღირებული თვისებებიც გააჩნია, და ეს თვისებები აღნიშნულ ალბომში საკმაოდ თვალნათლივ ჩანს. ზოგიერთები ფერერას დღემომავლასაც უწინასწარმეტყველებენ.

**Marshall Mathers LP2**

**Eminem**

**Rap, Hip-Hop**

**Interscope Records**

Marshall Mathers LP2 მართლაც რომ ემინემის შთამბეჭდავი დაბრუნების მათემატიკური ნამუშევარია, რომელიც ყველა მისი სხვა ალბომისგან განსხვავდება, მაგრამ, ამავე დროს, მასში არაფერი იცვლება. მომღერალი კვლავაც მონოდების სიმალღებზე რჩება და ინარჩუნებს ყველა დამახასიათებელ ნიშან-თვისებას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ექსცენტრიკული, ხმამაღალი და მანიფესტური ალბომის შექმნის მცდელობა ემინემის მხრიდან, რაც ყოველთვის ასე ორგანული იყო მისი სცენაზე ყოფნის პერიოდში. პროდიუსერ რიკ რუბინის წყალობით, ჩანანერი მუსიკალურად საკმაოდ უთავბოლოა, თუმცა ეს ნაკლად სულაც არ აღქმება და ყველაფერთან ერთად, ნამუშევარი ამით ერთი-ორად საინტერესო ხდება.

**Wenu Wenu / Omar Souleyman /**

**World, Folk, Electronic / Ribbon**


ომარ სულეიმანი სირიელი მუსიკოსია, რომელმაც ბოლო წლებში, ერთი ამერიკული ლეიბლის წყალობით, დიდი აუდიტორია შეიძინა და ისეთი მუსიკოსების ყურადღება მიიქცია, როგორებიც, მაგალითად, დეიმონ ალბარნი და ჩარიბოუ არიან. ახალი ალბომის პროდიუსერად კი, არც მეტი არც ნაკლები – კირან ჰებდენი (Four Tet) მოგვევლინა; სწორედ მისი ჩარევის შედეგად მივიღეთ სირიული ფოლკის და თანამედროვე ელექტრონული ჟღერადობის საკმაოდ საინტერესო ნაზავი, რომელიც ამავე დროს, საკმაოდ კიტჩურად ჟღერს, რაც, საბოლოო ჯამში, მუსიკოსების ჩანაფიქრიც იყო.



**Matangi / M.I.A. / Hip-Hop, Electroclash**

**/ Interscope Records**

M.I.A. ბრიტანელი R&B/Hip-Hop შემსრულებელია, რომელიც წარმოშობით შრი-ლანკიდანაა. ის საკმაოდ პოპულარული ჯერ კიდევ 2005 წლიდან გახდა, როდესაც მისი სადებიუტო ალბომი Arular მუსიკალური პრესის ყურადღების ქვეშ მოექცა და საკმაოდ კარგი შეფასებაც დაიმსახურა. მას შემდეგ მოყოლებული, არტისტი არ კარგავს ფორმას და გამუდმებით აქვეყნებს ახალ ვიდეოებს, სინგლებს და მიქსთეიფებს; სულ ახლახან კი მომდევნო ალბომი, სახელწოდებით Matangi გამოსცა, რომელიც შესაძლოა მის საუკეთესო ალბომთა სიას არ მიათვალონ, თუმცა ბევრი ფანისთვის და ასევე World Beat ჟღერადობის მოყვარულთათვის კიდევ ერთი საინტერესო ჩანანერის ნოდების პრეტენდენტი ნამდვილად არის.



**Spaces / Nils Frahm / Modern Classical,**

**Electronic / Erased Tapes Records**

ბერლინელი მუსიკოსი ნილს ფრამი მელომანების წრეში ცნობილია თავისი ეპიკური ალბომებით, რომელთა ძირითადი ხაზიც კლავიშებზეა ორიენტირებული და თანამედროვე კლასიკური მუსიკის მისეული ინტერპრეტაცია ბევრად უფრო მეგობრულია მსმენელის მიმართ. Spaces ამ ტრადიციას აგრძელებს და ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მუსიკალურად მდიდარი და ემოციური ნამუშევარია მის შემოქმედებაში, რომელსაც ემბიენტური ესთეტიკა იდეალურად ავსებს. საბოლოო ჯამში, აღნიშნული ჩანანერი საუკეთესო საუნდტრეკი ლამის მელომანური სესიისთვის, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.





Unimotions, შალვა კალაგონი

ონლაინ მაღაზია  
ნახატები / ფოტოები / ხელნაკეთი ნივთები



[www.buyart.ge](http://www.buyart.ge)



ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე



## ითბა iOS-ისტვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

ითბა iOS-ისტვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნივნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აკლიკების გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“

